

კვირის პალიტრა



52(81) 27/XIII/2001-2/1/2002
სანი 60 თ.

სანტა-კლავსები
თბილისში



Handwritten text: 2001-2002


ლელო
წურწუეიას

ბინეკოლოგისგან

ლიზა გაბრაბიონი
გავევს ელოდებს

დღეს სრულფასოვან
მამაკაცად დარჩენა ძნელია





გვ.24

იბედა კახიანი:

**„გაშინ ქალთა და ვაჟთა სკოლები
ცალ-ცალკე იყო, ამიტომაც ჩვენ, გიჭაბუგა
გოგონებთან უკეთ დაასწოვების შანსი
ხელიდან არ გავუშვით და ვი დავკავებარს
მასინკელ ოჯახს ვეწვიეთ...
ოვ, მთელი ღამე ლხინში გავატარეთ...
დილით გამოვადით სხელიდან, დაგვინახეს
ნახალროვკელმა გიჭაბუგა, გამოგვეჭიბნენ წინ
და სუფის გარჩევა დაგვიწყვეს...“**

მინიატურა

„ბელოვის“ წელი მოდის 3

ენერგეტიკა

გვექნება თუ არა
ახალ წელს შუქი 4

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 5

ადამიანი

თოვლის ბაბუები ბავშვებს
ახარებენ, ღიჯი
თინეიჯერებთან მუშაობს,
მიმტანი კი მოკვლს დააბეღებს... 6

ავტორი

ლიზა ბაბრატიონი:
„ტვინის მგურღავი
ეჭიმი ქმარი მყავს!“ 9

კრონოლოგია

ღღვანელ სექსოლოგიაში
სიტყვა „იმპოტენტი“
ალარ იხმარება... 12

კოლორიტი

ქართლოს კასრაძე:
„კაკო კვანტალიანი დედასავით
მიყვარდა, იპოლიტა ხვიჩია
კი ჩემი ლენინი იყო“ 15

ტესტი

ერთგული მკითხველი 17

კრიტიკა

● „კოტას და ვიტას რომეოსა
და ჯულიეტას აღარებდნენ...“ –
კლესიერებატორიის წინ
ღატრიალუბული ტრაგედია 18

● საღისტურ მკვლელობაში
ბრალდებული მკვლელობის
ღებალეგზე არ საუბრობს 20

პაროლია

კონკია უიშვილი 22

ოჯახი

კახიანების და ცერცვაკეების
ახალ წელს ოჯახში შეხვდებიან 24

შეამოვნეთ თქვენი სოფლა

ტესტი ერუდისიანზე 26

შთაშოვავლოვა

ქართველების შვედი ღიღვლა 27

ანტიდუარკანანი

ინფორმაციულ-შეამენებითი
კოლაჟი გონა ღვალის
უბის წიგნაკიღან 28

გვექნება თუ არა ახალ წელს შუქი




ამ ეტაპზე, საქართველო რუ-
სეთიდან მოწოდებული 300 მეგა-
ვატისა და ელექტროენერჯის იმ
მცირე რესურსის იმედზეა ღარჩე-
ნილი, რომელსაც მე-4 ბლოკი
გამოიმუშავებს... რა მღგომარეო-
ბა იქნება შემდეგ? მოგვითხრობს
მინისტრი ღავით მირცხულავა.

4

„კაკო კვანტალიანი დედასავით მიყვარდა, იპოლიტა ხვიჩია კი ჩემი ლენინი იყო“

ოთხი წლის ასაკში ჩვენი ემოს
თეატრში ვითამაშე მთვარე. შუბ-
ლზე მავთულით მქონდა ღამ-
ავრებული მჭადი. კატარა სკა-
მზე ავღიოდი ღა ჩამოვღიოდი,
რაც იმას ნიშნავდა, რომ მთვარე
ამოღიოდა ღა ჩაღიოდა.



15

„კოტას და ვიტას რომეოსა და ჯულიეტას აღარებდნენ...“



არაერთი თბილისელი გახდა
კონსერვატორიის წინ ღაგრი-
ალეული გრაგეღიის მომსწრე.
გარღაცვილ ღეღა-შვილს ოლ-
გა მაკაროვა – ნელი მაკაროვას
ღეღა ჭირისუფლობს. ვიგასა ღა
კოტეს ურთიერთობებზე სწორედ
მან გვიამბო.

18

ტვინის მგურღავი ეჭიმი ქმარი მყავს!

როგორც კი ღაუნახავს ბებია,
ყველას გასავონად, საოცარი
სიამაყით უკითხავს: რა ღაარქვით
ბავშვსო?... ღვას თურმე ღა ელო-
ღება, როღის უკასუხებს ბებია:
„ირაკლი“. ბებომ, რა თქმა უნდა,
უთხრა: „ღიღა“. ბაბუაჩემი ერ-
თიანად გაფითრებულა, შემდეგ კი
გამოტკიღებია მახარობელს.



9

სსრკაბა

სიყვარულსა მალვა უნდა
ანუ ყოფილი ცოლ-ქმრის
გამიჯნურების ამბავი 30

სამყარო

როგორ მოვრთოთ ნაკვის ხე? 32

ტრაფიციები

სეანსალწლო ბედისკვერები 34

საბანური

„ბიკონია, ბიძია,
შინდის კურკა“... 35

ფაქორიტავი

ლუიზ უიგუ:
„ბურთის ბარეშე
ნახეყვარკასი ვიქნეპოლი“ 36

ღლასნაული

ვინ როგორ ხვდება ახალ წელს 40

რომანი

ნუგო ბაშელი.
ღახეული რვეული (გაბრკელება) 43

პარსკლავი

ეული ჯალი:
„კინოში გაღლება იმისთვის
მინდა, რომ რამდენიმე
ხალისიანი თვე გავატარო...“ 46

ავტო

აქეთური-იქითური 50, 51

ჯანვრთელკა

- თქვენი პატარა 52
- ქვიშის ღამე 53
- რა ხლება ჩვენში 54
- როგორ შეხვდეთ გვიმს? 55

ადამიანი-ღებენა

ეშმაკის აღვოკატი
(ღასასრული) 56

ტესტი

ხართ თუ არა ქეღეღალი? 60

სანვორღი

61

ანტროლოგია

- ცხენის წელიწადი 62
- აღმოსავლური კოროსკოპი 63

კალენდოსკოპი

ჩრეულ-ჩრეული ამბავი 64

გარეკანვა: გიორგი ჟორჟულიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გაიძღვის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის კალიტრის“ ღამატვა
ჟურნალი ზელმდღანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესახებ არ ემთხვევოღეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**გეუგაბ და აგაუი გბონი
არაფერი მონსარიღებელი...**



თითქმის მთელი ღღის განმავ-
ლობაში ერთი ბორჯომელი პაგ-
არა ბიჭი თბილისის ქუჩებში აღმა-
ღაღმა ღააქროღებს „კონღას“ მო-
ტოროლოერს და ღამკვეთს მისთვის
სასურველ „სასუსნავს“ შინ მიარ-
თმევს ხოღმე. არაღა, სანღრო ბავშ-
ვობიღან თურმე მსახობობაზე
ოცნებობს...

6

სიყვარულსა მალვა უნდა

რის შესახებაც ამ ცოგა ხნის
წინ შევიგყვე, იშვიათაღ თუ გაღაპ-
ყრია ვინმე. ამიგომ გაღაგწყვიტე,
თქვენთვისაც მომეთხრო ყოფილი
ცოლ-ქმრის ამბავი, რომღებიც ხან-
გრძლივი განშორების შემღევ კე-
ღავ გაღაყვარენ ერთმანეთს და
საყვარღები გახღენ. ნინოსა და
ემზარს ავღაბარში შევხვღი.



30

**ქართველის უგღი ღიღღა ანუ აკლივ
ზურაბაშვილის სამონწლიანი სიყვარული**



ქაღბაგონი ჰღენა ლუნღი
ზურაბაშვიღების ღიღი თჯახის
ღიღღაღა. ძველი აღბომღები, ნიეთე-
ბი, ძველი ავეჯიგბგტონი ავღიპ
ზურაბაშვიღის, საღმუშათ მაგიღა,
წიგნები, მისი ღიღი სკულპტურა +
ყვეღაყერი ერთაღ, გაგრძნობინებს,
რომ ქაღბაგონიგბღენა, უაღ-
რესაღ საინგერესღამიროგნებაღ.

27

ღახეყლოი ზღეყლოი


შემღევ გუნებზეც ვიგრძენი თი-
კოს გუნებზის შეხება... ჯერ ნაზაღ,
მერე კი გიყური ვნებთ... მაისური
მთიღელა და შიშვეღი მკერღიღ
გამოაჩინა.

მე კი... მე შიგნით ყვეღაყერი
გამყინვოღა...



43

„ბედონის“ წელი მოდის



გვინდა თუ არ გვინდა, დროს ვერაფერი შეაჩერებს, დრო გადის და ახალი წელი კი, პირიქით – მოდის, და ვისაც უნდა დავენადლევა, რომ ზუსტად თითო წლის გამოტოვებით ყოველთვის მოვლენ „ახალ-ახალი წლები“. საკვირველია, რატომ ზეიმობს ხალხი ახალი წლის მოსვლას, თუკი მასში მოულოდნელი და განსაკუთრებული არაფერია?! მესმის, რომ სკოლის დამთავრება იზეიმო, ან მინისტრად დანიშნა თუ იქიდან, დაპატიმრების გარეშე განთავისუფლება, ან ლატარიაში მოტოციკლის მოგება, ან დისერტაციის დაცვას მოაყოლო „დესერტაცია“, მაგრამ ახალი წელი?! რა გინარია, არ იცოდი, რომ მოვიდოდა?! გაგიკვირდა?! არა, არა – უცნაური არსება ადამიანი, ქართველი – განსაკუთრებით... ეს სწორედ ის ხალხია, რომელსაც სწორედ ახალი წლის წინ მიმართავდა ილია ჭავჭავაძე: „რა ვითხრათ, რით გაგახართო“, ე.ი., ჩემი არ იყოს, – რა გინარიათო! მაგრამ ვინ უვლდო ყური – ტყვიით გაუშპასინდლდენ და ძველებურად განაგრძეს ცხოვრება...

შენ თუ ინტრიგანი და პროვოკატორი არა ხარ, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ზეიმობს და რაღა ქართველებს გადაგვიკიდო – მეტყვიან. სწორედ სხვების მიბაძვამ და წამხედურობამ დაგვლუპა და ისევ ვაგრძელებთ! თუნდაც, თოვლის პაპა – რა არის, ვინ არის, ვისი ბიჭია?! შემოჯლივინდენ რუსები და სხვა „სიკეთესთან“ ერთად „მედ მოროზიც“ მოაყოლეს. ისე დაგვადებინეს, რომ ბავშვობაში პაპაჩემზე მეტად, თოვლის პაპა მიყვარდა, თუმცა თვალითაც არ მინახავს...

მერე, დამოუკიდებელი გავხდითო, თოვლის პაპა რუსულ-დამპყრობლურ-კოლონიზატორული პერსონაჟი და ახლა „სანტა-კლაუსი“ შემოვიდა მოდამი – თითქოს თოვლის პაპა თუ რუსი იყო, ეს მყადეს ბაგრატიონი!..

არადა, ქართველებს გვყავდა დაახლოებით ასეთივე „ფუნქციის მომლოცველი – დასავლეთ საქართველოში წმინდა ბასილის ემხანენ, ლიხს გამოღმა – უბრალოდ, ბასილას და სჯეჟოდით, რომ ახალ წელს ყველას ოჯახში ხვავსა და ბარაქას შეიტანდა... ვიღას ახსოვს – ჩვენში ხომ შინაურ მღვდელს შენდობას არ სთხოვენ.

მღვდელზე და ბასილაზე გამახსენდა – ბასილა ახლაცა გვყავს, მკალავიშვილი, მაგრამ მას მოსალოცად და სატინციოდ არ სცალია, ანტიქრისტეს ებრძვის ჯვრითა და კეტით ხელში!..

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ – ახალი წელი ზეიმის, ქეთივლა და დროს ტარების კი არა, შედეგების შეჯამებისა და საფუძვლიანი ახალიზის დროა, ამიტომ სხვამ რაც უნდა თქვას და ქნას, მე კი საქმეს მივხედავ – გასულ წელს გადავავლე თვალს და რა იცით, იქნებ ღმერთმა ინებოს და, სულაც არ გამიხდეს სათქმელი, რა ვითხრათ, რით გაგახართო-მეთქი...

XXI საუკუნე, III ათასწლეული... 2001 წელი ამითაც იყო მნიშვნელოვანი – ეპოქის დასაწყისი გახდა. ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელი წელი ისე იქნებო – ნათქვამია და თუ ეს ამბავი ახალ საუკუნესა თუ ათასწლეულზეც ვრცელდება, მაშინ – ვაი, ჩვენს პატრონს კიდევ ასი კი არა, ათასი წელი! არა, მთლად პეინისტიტიც ნუ ვიქნებით, გასულ წელს რაღაც წარმატებებიც გვექონდა:

გათავისუფლდა 18 და დაინიშნა 17 „ძველი ახალი“ მინისტრი; გათავისუფლდა 1 და დაინიშნა ადვინივე პარლამენტის თავმჯდომარე; ელემენტებად დაიშალა 1 მმართველი და მის ადგილზე შეიქმნა რამდენიმე არამმართველი საპარლამენტო ფრაქცია;

საქართველოს ერთმა პრეზიდენტმა კვლავ დაამტკიცა, რომ იგი უკვდავი კომუნის ბიძაშვილია;

საქართველოს „წითელმა ჯვარმა“ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა საერთაშორისო „წითელი ჯვრისაგან“ – ეს პირველი პრეცედენტია მსოფლიოში;

საქართველოს ციხეებსა და კოლონიებში „ხიდებისა და გვირაბების“



200-მდე სპეციალისტმა აიმაღლა კვლი-ფიკაცია და საკუთარი ხელით გაყვანილი კომუნიკაციების საშუალებით უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანას მიაშურა;

საპატიმროებში კონტინენტის შესავსებად სამართალდამცავმა ორგანოებმა იქ მიაბრძანეს ხუთი იძენი მოქალაქე, რომელსაც არც მოპარვის თავი ჰქონდა, არც ყაჩაღობის და არც მკვლელობის (ე.ი. თავის რჩენის), რითაც ისინი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინეს;

საქართველოს ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს ბევრი კილოვატი ელექტროენერგია, კიდევ უფრო ბევრი კილოვატი ვიყიდეთ სომხეთისა და რუსეთისაგან და ეს სამჯერ ბევრი კილოვატი მიეწოდა მოსახლეობასა და საწარმოებს. ეს რაოდენობა 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე მთელი ძირგამომპალი რუსეთის იმპერია მოინდმრდა 1907 წელს;

საქართველოს გზებსა და გზატკეცილებს დაელო 10 ათასამდე „კლატკა“, რომელზეც გერმანიიდან და ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი აძენივე ავტომობილი მოძრაობს – ორ-სამ წელიწადში ყოველი მათგანი ანტიკვარად გამოცხადდება და იგივე ევროპელები ათმაჯ ფასად წაიყვანენ უკან;

საქართველოს სკოლებში ყოველმა მესუთე მეთაუკლასელმა ჩააბარა გამოცდა წერა-კითხვაში, ხოლო ყოველმა მეშვიდე – გამრავლების ტაბულაში;

უმაღლეს სასწავლებლებში სამჯერ გააიფადა დიპლომი, ხოლო წითელი დიპლომის ფასი ორჯერ ნაკლები გახდა, ვიდრე ჩვეულებრივი დიპლომი ღირდა საზინდარი კომუნისტების დროს;

წინა წელთან შედარებით საქართველოში შეიქმნა 1,2-ჯერ მეტი ახალი ოჯახი, მათ შორის 25% ერთი და იგივე სქესის ადამიანების მიერ;

ჰუმანიტარული დახმარება გაეწია 250 ათას უპატრონო ბავშვს – ყოველ მათგანს უფასო სასადილოები უმასპინძლდებიან ბუნს კვრცხებითა და იხვის ტლომით;

არასამთავრობო ორგანიზაციებმა „თირიეს“ 1200-ზე მეტი გრანტი, საერთო რაოდენობით 15 მილიონზე მეტი ლოლარი. საგრძობლად დაიკლო „კლატკის“ ფასიც – წინა წელს თუ 30%-ზე ნაკლებად ვერ იხალიხებდი, 2001-ში ოცდახუთად „ეყარა“, რამდენიც გინდა;

გაიხსნა 16 კაზინო და სამჯერ მეტი ტოტალიზატორი, მეტროს ყოველი სადგურის გამოსასვლელთან დამონტაჟდა „სამი სათითის“ მოთამაშეთა მაგიდა – სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ 215 ლარი შეადგინა – ორჯერ მეტი 2000 წელთან შედარებით; და ა.შ. და ა.შ.

ხომ „ვითხრათ“?! ხომ „გაგახართ“?! ანუ უფრო „თანამედროვე-მოქალაქურად“ რომ ვთქვათ: „გინაროდენ! გინაროდენ!“

მოკლედ, მართლა საქეფოდ გვექონია საქმე და მეც წავიდა ახლა – ინდაურის ფეხები და გოჭის კუდი უნდა ვიყიდე...

P.S. ზუმრობა იქით იყოს და ისევ ის ხალხური რწმენა მახსენდება – პირველ დღეს როგორც იქნები, მთელი წელი ისე გავაგრძელებო და თუ პირველ წელს როგორც ვიცხოვრებთ, მთელი საუკუნე და ათასწლეულიც ისე მოგვიწევს, მაშინ ვართ ცოლო...

P.P.S. ვერია! გამოსავალი ვიპოვე – პირველი დღე არაფერ შუაშია, ბედობად ორი იანვარი ითვლება. ამიტომ XXI საუკუნისა და III ათასწლეულის ბედობა 2002 წელი იქნება – ახრზე მოვიდეთ, ხელები დავიკაბიწოთ, ეს წელი ღირსეულად გავქაჩოთ და მერე ჩვენებურად, ქართულად წამოვწვეთ მხართეძოზე, 3001 წლამდე.



გვეჩვენა თუ არა ახალ წელს უკი

„2001 წლის ბოლო ორი კვირა არავისთვის ყოფილა ისეთი მძიმე, როგორც ჩემთვის. რაც თავი მახსოვს, ასეთი მძიმე დღეები არ მქონა. მე ვარ ადამიანი, ვისთვისაც ეს ახალი წელი ტრაგიკულია და არა საზეიმო“,

— განაცხადა მე-10 ბლოკის აფეთქებით იმედგაცრუებულმა და სასონარკვეთილმა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, თბილისელებს ელექტროენერჯით 24 საათიან მომარაგებას ჰპირდებოდა.

რა იყო ამჯერად მე-10 ბლოკის აფეთქების მიზეზი? იყო თუ არა ეს დივერსიული აქტი და თუ იყო, ვინ ჩაიდინა? უკავშირდება თუ არა ერთმანეთს 1998, 2000 და 2001 წელს მომხდარი ავარიები, რომელიც ყოველთვის ერთსა და იმავე რიცხვში — 22 დეკემბერს ხდებოდა? — უამრავი კითხვა უპასუხოდ რჩება, განსაკუთრებით ერთი: ვინ სარგებლობს ჩვენში შექმნილი მძიმე მდგომარეობით? მენავთობეების გარდა, ალბათ ის ქვეყნებიც, რომელსაც „ეი-ი-ეს თელასი“ სასწრაფოდ უფორმებს ხელშეკრულებებს. გაგრძელებული ინფორმაციის თანახმად, ჩვენმა მეზობელმა სომხეთმა 30%-ით გაზარდა ელექტროენერჯიის ღირებულება. ამ ეტაპზე, საქართველო რუსეთიდან მონოდებული 300 მეგავატიცა და ელექტროენერჯიის იმ მცირე რესურსის იმედზეა დარჩენილი, რომელსაც „თბილსრესის“ ძველი მე-4 ბლოკი გამოიმუშავებს... მაშ, გვეჩვენა თუ არა ახალწლის დღეებში დენი და რა მდგომარეობა იქნება შემდეგ? ვესაუბრებით სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას.

„22 დეკემბერი ჩემთვის კახასტროვის დღე იყო“, — აპოკს დავით მირცხულავა

ნანა ქიბიშაური

— ბატონო დავით, როგორია ექსპერტების მიერ მონოდებული ინფორმაცია? მაინც რა მოხდა მე-10 ბლოკში?

— ამ ეტაპზე დასკვნების გამოტანა კვლავ ნაადრევია. არის სხვადასხვა ვერსია, მეტ-ნაკლებად სარწმუნო. თითოეული საკვებით რეალურია მანამდე, სანამ ექსპერტები თავიანთ საბოლოო სიტყვას არ იტყვიან. თავიდან მეც არ გამოვიციხავდი დივერსიის აქტს, თუმცა, დღეს იმ მოსაზრებას უფრო ვემხრობი, რომ აფეთქება, ქვაბში დაგროვილი გაზის გამო მოხდა.

— თუ ექსპერტები დაადგენენ, რომ ეს არ იყო დივერსიული აქტი,

უიშვი ხდებოდა და „ეი-ი-ეს თელასის“ წარმომადგენელთა განცხადებით, კომპიუტერული დანადგარები უჩვენებს, რომ ავარიამდე იქ ყველაფერი წესრიგში იყო. ჭეშმარიტების დასადგენად დრო არის საჭირო, ამ ეტაპზე კი, ჩემს სუბიექტურ აზრს კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ: მაინც ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებულ უწყესრიგობასთან.

— დივერსიული აქტის ვერსიაზე ის საეჭვო დამთხვევები გვაფიქრებინებს, რაც რამდენიმე ავარიულ შემთხვევას აერთიანებს. რატომ ხდება მაინცდამაინც 22 დეკემბერს ავარიები? ეს უბრალო დამთხვევაა?

— ამ ავარიებს საერთო მსოლოდ თარ-

ისეთი ავარია, როგორიც ახლა მოხდა, 50 წელიწადში ერთხელ ხდება. შემთხვევის ადგილზე მსხვერპლი რომ არ არის, ეს სასწაულად შეიძლება ჩაითვალოს.

ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება? საერთოდ, ვინ აგებს პასუხს ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებზე?

— ჯერჯერობით ამ საკითხზე საუბარი ნაადრევად მეჩვენება. ექსპერტების დასკვნაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუ ისინი დაადგენენ, რომ ეს აფეთქება რომელიმე კონკრეტული პირის დაუდევრობის გამო მოხდა, ამ საქმით მერე ალბათ შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან. ჯერჯერობით კი, სურათი ასეთია: ბლოკების მუშაობა მილიანად ავტომატურ რე-

ილი აქვს, თორემ, მასშტაბებით ერთმანეთს ვერც შევადარებთ. ისეთი ავარია, როგორიც ახლა მოხდა, 50 წელიწადში ერთხელ ხდება. შემთხვევის ადგილზე მსხვერპლი რომ არ არის, ეს სასწაულად შეიძლება ჩაითვალოს. აფეთქების ძალა იმხელა იყო, რომ 2-3 კილომეტრში, დასახლებულ პუნქტებში არ არის შემორჩენილი არც ერთი ფანჯარა. დაზიანებულია რამდენიმე ტონიანი ლითონის კონსტრუქციები, რომელიც უბრალო მავთულივით არის დაგრეხილი და 50 მეტრზე დაგდებული. მთლიანად განადგურებულია ბეტონის ღობე... იმ ავ-

არის შედეგების ლიკვიდაციას, რომელიც 1998 წელს მოხდა, 20 დღე დასჭირდა, ახლა კი, სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ბლოკები მწყობრიდან ისეა გამოსული, რომ მათი აღდგენა, დროსთან ერთად, კოლოსალურ თანხებსაც მოითხოვს. მარტო ქვების აღდგენას 20 მილიონი დოლარი დასჭირდება. ამის გარდა, იქ მრავალი სხვა სამუშაო იქნება ჩასატარებელი. ჩემი ვარაუდით, მე-9 ბლოკის აღდგენას – იმ შემთხვევაში, თუ მისი აღდგენისთვის საჭირო თანხის თავმოყრა მოხდება, – თვე-ნახევარი დასჭირდება. მე-10 ბლოკის აღდგენას კი – მინიმუმ ერთი წელიწადი.

— ამის შემდეგ, რა რეჟიმით მივიღებთ ელექტროენერჯის? როგორ გრაფიკის დაწესების საშუალებას მოგცემთ ის რესურსები, რომელსაც რუსეთიდან და სომხეთიდან მივიღებთ?

ყება, რომელიც ენერგოსისტემასთან რაიმე კავშირშია, საგანგებო რეჟიმში მუშაობს. „ეი-ი-ეს თელასი“, რომელსაც ხელშეკრულების თანახმად, პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული მე-9 და მე-10 ბლოკების ფუნქციონირებაზე, ყველაფერს აკეთებს მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის.

— რომ არა ეს აფეთქება, შეძლებდით თქვენი დანაპირების შესრულებას? — ვგულისხმობ 24 საათიან გრაფიკს.

— ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისს არ ჰქონია ასეთი დეკემბერი. მე ვფიქრობდი, რომ ელექტროენერჯის მიწოდების მხრივ, თბილისს არ ექნებოდა პრობლემა არა მხოლოდ ახალ წელს, არამედ მიუღია წლის განმავლობაში. ამ იმედის საფუძველს მადლებდა ის, რომ წარმატებით ზორციელდებოდა რუსეთიდან დენის იმპორტი,

სომხეთთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რუსეთთან კი „ეი-ი-ეს თელასი“ დებს დამატებით ხელშეკრულებას 30, 31 დეკემბერსა და 1, 2 იანვარს ელექტროენერჯის დამატებითი შესყიდვის შესახებ.

— რეჟიმებზე ჯერ ვერ ვილაპარაკებ, იმიტომ, რომ საქართველო, რომელსაც თავისი ძირითადი ქვესადგური აღარ აქვს, მთლიანად სხვა ქვეყნებიდან მიღებულ ელექტროენერჯაზე იქნება დამოკიდებული. ყველამ ერთად უნდა გავაცნობიეროთ ის სამწუხარო ფაქტი, რომ საქართველომ 22 დეკემბერს 380 მეგავატი სიმძლავრის ქვესადგური დაკარგა. ამ ეტაპზე ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ შეივსოს ბაზისური სიმძლავრის აფეთქების გამო მიღებული დეფიციტი: სომხეთთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რუსეთთან კი „ეი-ი-ეს თელასი“ დებს დამატებით ხელშეკრულებას 30, 31 დეკემბერსა და 1, 2 იანვარს ელექტროენერჯის დამატებითი შესყიდვის შესახებ. ის სიმძლავრე, რომელსაც ჩვენ მოვუყრით თავს, — ვგულისხმობ რუსეთიდან შემოტანილ 300 მეგავატს პლუს სომხეთიდან შემოტანილ 120 მეგავატი, პლუს იმ 120 მეგავატი, რომელსაც ჩვენი მე-4 ბლოკი გამოიმუშავებს, — საკმარისი იქნება იმისათვის, რომ სიტუაცია მართვადი იყოს. ყველა უწ-



— და მაინც, კიდევ ერთხელ უნდა დაგისვამთ შეკითხვა, რომელიც ხშირად გაისმის და ყველას აინტერესებს: ახალ წელს თუ გვექნება შუქი?

— ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ახალ წელს შუქი იყოს.



არავისთვის არ ვარგა ის, ვინც მხოლოდ თავისთვის ვარგა.

ვოლტერი

სხვა ადამიანებში ეძიე მუდამ კარგი და არა ცუდი მხარე.

ლევ ტოლსტოი

მიზნის მისაღწევად ცოდნაზე არანაკლებ საჭიროა საქმიანობა.

პიერ ლეოპოლდ კარონ ბომარშე

ბრძენი რომ სულელს ეპაექრება, თვითონაც იმის ღონეზე ღავა... მცოდნე უმეცარს მაშინ ედრება, როცა უმეცარს უმართავს ღავას.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ვისაც მზაკვრულად დაენანა მადლობის სიტყვა;

მისთვის სიცრუეც და მზაკვრობაც არ არის უცხო.

ფრიდრიხ შილერი

ამას ვსწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ.

დავით გურამიშვილი


ზოგი ისეა მიჩვეული წუწუნს და ჩივილს, რომ მიზეზის დაკარგვის შიშით ლამის უბედურებას განზრახ გადაეყაროს. კალდერონ დე ლა ბარკა

ყორანს სურს ყველაფერი შავი იყოს.

უილიამ ბლეიკი

სიბრძნის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია მუდამ ხალისიანად ყოფნა.

მიშელ მონტენი



თოვლის გაგუაზი გავფიხს ასაკიან, ღიკვი თინიკვიკრატან მუჟატოს, მიმბანი კი მოჰელს ღაკბელოფიხს...

ნიკო ჯავახიშვილი

მუსიკოსი სანტა-კლაუსები

ბოლო წლებში ჩვენს ყოფაში უამრავი ახალი ხელობა დამკვიდრდა, რომელსაც ჩვენს სოციალისტურ წარსულში, მხოლოდ „ხრწნადი კაპიტალიზმის“ ატრიბუტად მივიჩნევდით. სხვადასხვაგვარი საქმიანობა, რომელსაც ვკულისხმობთ, ძირითადად, მომსახურების სფეროს განეკუთვნება. „კლოუნი გამოძახებით“, „პიცა შინ მიტანით“ და უამრავი სხვა ამგვარი განცხადება იმის მაუწყებელია, რომ ჩვენც ე.წ. ინდუსტრიული ქვეყნების გზას ვადგავართ... ახალი ტიპის სერვისის წარმომადგენელთა ჩვენ გვერდით არსებობა განსაკუთრებით, სადღესასწაულო, მით უმეტეს – წინასახალწლო დღეებში იგრძნობა. მოლით, რამდენიმე მათგანს უფრო ახლოს გავეცნით: საინტერესოა, ვინ გვიადვილებს და გვილამაზებს ცხოვრებას...

ვაკეში, ერთ-ერთი ძალაზიის წინ, ერთდროულად სამი სანტა-კლაუსი გაჩნდა, თანაც, სამივე, მუსიკოსი აღმოჩნდა! გამეღელე-გამომკვლეელი დიდი ინტერესით უყურებდა ამ სანახაობას – ზოგი ჩერდებოდა და მუსიკას უსმენდა, ზოგი სამახსოვრო სურათების გადაღებას სთხოვდა ქართულ სანტა-კლაუსებს და ზოგსაც, უბრალოდ ეცინებოდა... სამიდან ორი სანტა-კლაუსი მეტიმეტად სიტყვაძუნწი აღმოჩნდა და მხოლოდ ერთ მათგანს ვესაუბრეთ. თუმცა მასთან სასაუბროლაც

ცოტა დრო გვექონდა – ხუთწუთიანი პაუზით უნდა გვესარგებლა.

— სოსო, როგორც შევეიცვე, ქუჩაში საქსოფონზე უკრავ ხოლმე. სანტა-კლაუსად როგორღა გადაიქციე?

— ძალაზიის მესვეურების იდეა იყო, რომ ახალი წლის დღეებში სარეკლამო კამპანია გაეჩაღებინათ და შემოგვთავაზეს, აქ დაგვეკრა, — ეს არის და ეს...

— როგორც ჩანს, ამ იდეამ მოგნიბლა და უყოყმანოდ დათანხმდი?

— რატომაც არ უნდა დავთანხმებოდი? — თან საქმეს ვაკეთებთ და თან ხალხსაც ვახალინებთ — ქუჩაში ბევრი ადამიანი ჩერდება და სიამოვნებით გვისმენს ხოლმე. უკვე 6-7 წელი იქნება, რაც ქუჩაში ვუკრავ. ჯერ მუსიკალური სასწავლებელი დავამთავრე, მერე კი, იურიდიულ ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა. თავისუფალი დრო თავზე საყრელად მქონდა, მუსიკა კი ბავშვობიდანვე მიყვარდა... ჰოდა, უსაქმურობა ყელში რომ ამომივიდა, საქსოფონი ავიღე და ქუჩის მუსიკოსობა დავიწყე. იმიტომ კი არა, რომ მიჭირდა და ლუკმაპური არ მქონდა! უბრალოდ, ასეთი ცხოვრება მომწონდა — ქუჩაში უფრო კარგად ვგრძნობდი თავს, თან მიხლოდა, საკუთარი ფული მქონდა. ასე რომ, ეს ჩემთვის ახალი საქმე სულაც არ არის. ისე, ჩვენში დარჩეს და, ძალიან მომწონს სანტა-კლაუსობა —

წინასახალწლო განწყობა აღრევე რომ გექმნება და დროსაც ხალისიანად, თამაშ-თამაშში ატარებ, ამას რა სჯობს?! პატარები აღარ ვართ და თოვლის ბაბუების აღარ გვეჯერა, მაგრამ მაინც კარგად ვერთობით.

— ყველაზე მეტად ალბათ მაინც პატარებს უხარებს გულს თქვენი დანახვა. მაინც რა რეაქცია აქვთ ხოლმე?

— ყველაზე მეტად მართლაც ბავშვები ხარობენ ამ სანახაობით და ამიტომ მათი ყურადღებით უფრო განებივრებულები ვართ. ზოგს შეეშინდა და ახლოს არ მოგვეკარა, ზოგს კი ეჭვი შეეპარა: ესენი

ჩვენი რესპონდენტი მარჯვნიდან პირველია



ნამდვილი სანტა-კლაუსები კი არა, გადაცმულები არიანო, — გარშემო გვივლიდნენ და გვაპოწმებდნენ, წვერი მოწებებული გვექონდა თუ ნამდვილი. ერთმა ქალბატონმა ჩემად გადმომცა საჩუქარი — ბავშვს გადაეცია... მართლაც ძალიან გავახარეთ მაშინ ის პატარა...

— **სოსო, შენი შეილისთვის არასდროს გითამაშია თოვლის ბაბუას როლი?**

— უჰ, როგორ არა?! ძალიან ბევრჯერ...

— **თვითონ თუ გჯეროდა ბავშვობაში, რომ საჩუქრები მართლა თოვლის ბაბუას მოჰქონდა შენთვის?**

— სიმართლე რომ გითხრა, არც მას-სოვს... ალბათ მჯეროდა... კარგი დრო იყო... დაარიგებდნენ მოსაწვევებს, ყოველ ახალ წელს მივიდიოდით ნაძვის ხის კონცერტზე, სურათებს ვიღებდით, თოვლის ბაბუა უამრავ კანფეტს გვჩუქნიდა... ახლა კი ზოგი საახალწლო სუფრასაც ვერ აწყობს და ნაძვის ხისა და თოვლის ბაბუისთვის ვიღაც სცხელა?!.

— **თქვენს „შესანიშნავ სამეფულზე“ რაღას იტყვი?**

— რა უნდა გითხრა? ჩემი მეგობრები არიან, ორივე მუსიკოსია — კახა გიტარაზე უკრავს, მიხეილი კი — დასარტყამ ინსტრუმენტზე. ჩვენთვის მუსიკა ყველაფერია და სიმართლე რომ გითხრა, დიდი მნიშვნელობა არც აქვს, ქუჩაში დაუკრავთ თუ სცენაზე, — მთავარია, ხალხმა მოგვისმინოს და მოეწონოს...


საუბრის დასასრულს მოუცვლელმა სანტა-კლაუსმა ბავშვებს საახალწლო სურვილების ახდენა უსურვა, საღაპარაკოდ აღარ მცალია, უნდა დაუკრათო, — მომიბოდიშა და საჩქაროდ დაემშვიდობა...

უცხოურ საცეკვაო მუსიკას ზოგჯერ „შალახოსაც“ ჩავენაცვლებ ხოლმე...

18 წლის დიჯეი **ბაიოზ მიჩილაშვილი** საბაჟო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტია. 8 წლის იყო, როდესაც დიჯეის პროფესიით დაინტერესდა, 16 წლისას კი უკვე მიწვევები ჰქონდა სხვადასხვა კლუბიდან.

— რამდენიმე წელი პოლენეთში ვცხოვრობდი ოჯახთან ერთად. ჩემი ძმა დისკოთეკებზე დიჯეიდ მუშაობდა და მე თვითონაც ხშირად დავდიოდი ხოლმე იქ, რამაც საბოლოოდ გადაამწყვეტინა დიჯეობა.

— **გაიოზ, როგორი უნდა**



იყოს პროფესიონალი დიჯეი? აქვე, მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ გახდეს, მოდი განვმარტოთ, რას ნიშნავს „დიჯეი გამოძახებით“ — ამ შემთხვევაში რა შედის დიჯეის ფუნქციებში?

— პირველ რიგში, დიჯეი მხიარული უნდა იყოს, რათა შეძლოს ხალხის გართობა და გახალისება. დიჯეიმ ისე უნდა შეარჩიოს მუსიკის სტილი, რომ ხალხი საცეკვაოდ აიყოლიოს და კარგი დრო გაატარებინოს. რაც შეეხება იმ დიჯეის ფუნქციებს, რომელსაც ბანკეტსა თუ დაბადების დღეზე, საღამოს წასაყვანად და დისკოთეკის მოსაწყობად გამოიძახებენ, — გაჩნია, როგორი იქნება შეთანხმება: შეიძლება, დამკვეთს მხოლოდ ის უნდა, რომ დიჯეიმ უბრალოდ მუსიკა ჩართოს და გამორთოს. გარდა ამისა, თითოეულ დიჯეის აქვს საკუთარი გასართობი პროგრამაც.

— **კონკრეტულად, რა ხასიათის არის ეს პროგრამა?**

— მაგალითად, ცეკვის დროს უცერად გამოვრთავ მუსიკას. მოცეკვავეებმა იმ წუთშივე უნდა შეწყვიტონ ცეკვა და თუ ვინმე გაჩერებას ვერ მოასწრებს და ინერციით განაგრძობს მოძრაობას, მაშინ მან საცეკვაო მოედანი უნდა დატოვოს. არის ასეთი თამაშიც: დარბაზის შუაგულში რამდენიმე სკამს ვდგამთ, რომლის გარშემოც ცეკვავენ. მუსიკას გამოვრთავ თუ არა, ყველა სკამზე უნდა დაჯდეს. ვინც დაჯდომას ვერ მოასწრებს და ფეხზე დარჩება, დისკოთეკას გამოეთიშება და ა.შ.

— **საახალწლო პროგრამა ხომ არ გაამრავალფეროვნებ?**

— კი, საახალწლო პროგრამა სხვანაირი იქნება და მხოლოდ ადამიანის მოქნილობასა და სისხარტეზე არ იქნება გათვლილი. მოცეკვავეებს ორ გუნდად დავყ-

ვთ და ორივეს მივცემ, თუნდაც ასეთ ელემენტარულ დავალებას: დამისახელონ ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე ცნობილი მუსიკოსები. ნახევარი წუთი ექნებათ მოსაფიქრებლად, ერთ წუთში კი თითოეულმა გუნდმა უნდა ჩამოწეროს მოძღერალთა სახელები და გვარები. ვინც მეტს დაასახელებს, გამარჯვებულიც ის იქნება. შეიძლება, პატარა, მინი-კონკურსიც კი ჩავატაროთ და საღამოს საუკეთესო მოცეკვავე წვეილი გამოვავლინოთ.

— **საახალწლოდ ბევრი მიწვევა გაქვს?**

— რამდენიმე მიწვევა მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, სად შევხვდები ახალ წელს. ახალი წლის წინა დღეებში უკვე ჩავატარე ორი საღამო — ავლაბარში მღებარე თურქულ კოლეჯში, ჯგუფ „სეიშენთან“ ერთად, და საბავშვო-სადღესასწაულო დარბაზ „კაკა-ლუში“ (ბავშვის დაბადების დღე იყო) დისკოთეკები გავმართე. ბავშვებმა ძალიან იმხიარულეს და უზომოდ კმაყოფილები დარჩნენ.

— **ძირითადად, ვისთან გინეგ ხოლმე მუშაობა, ვინ არის დამკვეთი?**

— ძირითადად, თინეიჯერებთან მიწვევს მუშაობა, თუმცა ყოფილა შემთხვევა, როდესაც რესტორანში ან რომელიმე საბანკეტო დარბაზში საკმაოდ სოლიდური ასაკის ხალხსაც მივუწვევივარ. ხომ იცი, როცა კაცი დათვრება და კარგ გუნებაზე დადგება, მაშინ უნდა მუსიკა და გართობა. „შერეულ“ სუფრასთან, როცა ასაკოვან ხალხს ახალგაზრდებიც უმშვენებენ ხოლმე გვერდს, შესაბამისად, შერეული პროგრამით ვმუშაობ — მუსიკის სტილს ვცვლი. უნდა განახათ, უცხოურ საცეკვაო მუსიკას, „შალახოს“ რომ ჩაუნაცვლებ, რა ხდება ხოლმე დარბაზში... დიჯეის გამოძახების შემთხვევაში, როგორც მიღებულია, რესტორანი ყოველთვის იკეტება, ვინმემ ხელი რომ არ შეუშალოს.

— **გაიოზ, როგორ ფიქრობ, პროფესიონალი დიჯეი ხარ?**

— იცი, რა, ალბათ თვითნასწავლი დიჯეი უფრო ვარ, ვიდრე პროფესიონალი. სხვათა შორის, საზღვარგარეთ და უკვე რუსეთშიც, არსებობს დიჯეების სპეციალური სკოლა, სადაც ამ პროფესიას ეუფლებიან.

— **აპარატურის მხრივ როგორ გაქვს საქმე? ტექნიკური პრობლემები ხომ არ გექმნება ხოლმე?**

— რესტორანში აპარატურის პრობლემა მოხსნილია, თუმცა მაქვს საკუ-



თარი „მიქშერი“, „პრისტავკა“, დისკები და ხმის გამამძლიერებელი (სპეცეფექტებით აღჭურვილი აპარატურის კომპლექტი).

— როგორც მითხარი, შემცვლელიც გყოლია?

— კი, კლუბ „ჯოიში“ მუშაობს — დიჯეი „დისკო“...

— კარგი ანაზღაურება გაქვს და ეს გხიბლავს თუ უბრალოდ, მოგწონს, რასაც აკეთებ?

— ერთ საათში 35-დან 50 ლარამდე მიხდიან. განა რამდენი გამოძახება შეიძლება გქონდეს, რომ ამით ნაშოვნით თანხით კაცმა ცხოვრება მოიწყო, მაგრამ ჯიბის ფული კი ყოველთვის მაქვს. ისე, მატერიალური მხარე ნაკლებად მაინტერესებს, რადგან მსიაშობენებს ის, რასაც ვაკეთებ, — ეს არის და ეს...

ვმუშაობ და ამაში მგონი არაფერია მოსარიდებელი...

თითქმის მთელი დღის განმავლობაში ერთი ბორჯომელი პატარა ბიჭი თბილისის ქუჩებში აღმა-დაღმა დააქროლებს „ჰონდას“ მოტოროლერს და დამკვეთს მისთვის სასურველ „სასუნავს“ — პოლიეთილენის პარკებში ჩაწყობილ-დაფასოებულს შინ მართმევს ხოლმე. ზუსტად საჩემო საქმეა — ჩემს ჭიასაც ვახარებ და ჯიბის ფულიც დაუყვედრებელი მაქვსო, — მითხრა 18 წლის **სანდრო სანჩიძემ**. არადა, სანდრო ბავშვობიდან თურმე მსახიობობაზე ოცნებობს...

— აქ მუშაობა როგორ დაიწყე?

— აღრე ჩემი მამიდაშვილი მუშაობდა. ამ სამსახურს თავი რომ დაანება, ადგილი დამითმო და მოტოროლერის მართვაც თვითონ მასწავლა. ეს იყო წელიწად-ნახევრის წინ. ზუსტად იმ წელს

დავამთავრე სკოლა და მუშაობაც დავიწყე.

— სწავლის გაგრძელება არ გინდოდა?

— როგორ არა? — თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებასა და მსახიობობაზე ვოცნებობდი, მაგრამ მუშაობის დაწყება ვამჯობინე — ოჯახში რაღაც პრობლემები გვქონდა...

— მშობლები არ მუშაობენ?

— დედა ბალნეოლოგიურ კურორტში ექთანად მუშაობს, ექთანის ხელფასი კი რა სათქმელია?! მამაჩემი ისტორიკოსია, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია, რაც უმუშევარია. 24 წლის და მყავს. ისიც, როცა რაიმე სამუშაო გამოუჩნდება ხოლმე, მაშინ მუშაობს. ამიტომაც გადავწყვიტე, საქმისთვის მომეკიდა ხელი: არ მინდოდა, ტვირთად დავწოლოდი ოჯახს.

— თბილისში ვისთან ცხოვრობ?

— მთაწმინდაზე, ერთი ოთახი მაქვს დაქირავებული.

— მერე შენი ხელფასი რაში გყოლია?

— 70 ლარი კი მაქვს ხელფასი, მაგრამ ყოველ გამოძახებაზე, გამოირცხულია, კლიენტმა ფული არ მაჩუქოს ხოლმე და ასე, საბოლოოდ, რაღაც გამომდის...

— მოდი, მუშაობის პირველი დღე გაიხსენე: მორიდების ან უხერხულობის გრძნობა ხომ არ გქონია?

— არა, რატომ უნდა მეგრძნო უხერხულობა?! — ვმუშაობ და ამაში მოსარიდებელი, მგონი, არაფერია. პირველ დღეს პოლიციელებმა გამაჩერეს და „პრავა“ მომთხოვეს — არ იცოდნენ, რომ მოპედის ტიპის მოტოროლერს „პრავა“ არ სჭირდებოდა, თან, არასრულწლოვანიც ვეგონე. აღარ მიშვებდნენ. ბოლოს ვუთხარი: გამიშვით და უპატივცემულოდ არ დაგტოვებთ-მეთქი... ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდევ... გამოშვებით კი გამომიშვეს, მაგრამ არაფერი მიმიტანია მათთვის.

— თავიდან, სანამ კარგად გაერკვეოდი თბილისის ქუჩებში, მისამართები არ გერეოდა ხოლმე?

— სხვათა შორის, მე კი არა, თვითონ დამკვეთს ეშლებოდა ხოლმე საკ-

უთარი მისამართი, უფრო სწორად — ზუსტად არ აწერინებდნენ დისპეტჩერს. რამდენჯერ ყოფილა — სხვასთან მივსულვარ, მერე კლიენტთან დამირეკავს და მისამართი დამიზუსტებია. რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე...

— ოჯახში რომ მიდიხარ, მასპინძლები როგორ გხვდებიან?

— ძალიან კარგად. ყველა, შინ შემიპატივებს ხოლმე. ერთხელ ჯემალ ბალაშვილის ოჯახში ვიყავი. სახლში მისი მეუღლე დამხვდა და ძალიან თბილად მიმილო. თითქმის ყველგან ასე მხვდებიან. სხვათა შორის, ჩვენი მუდმივი კლიენტი იყო დათო ყიფანიც. მასსოვს, მუშაობა რომ დავიწყე, მესამე დღეს ვიყავი ყიფიანების ოჯახში — შამპანური, ხილი და ნაყინი შეგვიკვებოდა და 7 ლარი მაჩუქა, ხურდა აღარ გამოურთმევია...

— დღეში რამდენი გამოძახება გაქვს ხოლმე?

— დღეში ზოგჯერ 5-6 შეკვეთა შეიძლება იყოს, ზოგჯერ კი — არც ერთი. უფრო მეტად, ე.წ. პრესტიჟული რაიონებიდან გვირეკავენ ხოლმე ან რომელიმე დაწესებულებიდან, როდესაც ბანკეტი აქვთ ან უცხოელი სტუმრები ჰყავთ...

— სანდრო, ახალ წელს სამსახურში შეხვდები?

— არა, ახალი წლისთვის შევბულება მეკუთვნის და ბორჯომში უნდა წავიდე, მინდა, ოჯახთან ერთად შევხვდე ახალ წელს...

სანტა-კლაუსი და ჯამბაზები გამომახვებით

ტელ: 95-25-02; 899 55-38-11
 მის: ალბაშენაძლის გამზ. 89/24, მე-3 სართ.

ამ ახალ წელს ლიზა ბაბრატიონი თავის თავყანისმცემლებს გაანბილებს: ის უარს აცხადებს საახალწლო კონცერტებსა თუ გადაცემებში მონაწილეობაზე და დღესასწაულს ოჯახში ქმრისა და დედამთილის გვერდით გაატარებს.

ლიზას მეუღლე გახლავთ ზაზა სინაურიძე, ოცდათექვსმეტი წლის, პროფესიით მებან-გინეკოლოგი. გინეკოლოგი მეუღლის მომღერალი ცოლი ორსულად არის. ლიზასა და ზაზას მათში ვაჟიშვილი შეეძინებათ. ზაზას ჰყავს ძმა ვასიკო და ბიძაშვილი, რომელსაც თავის ძმად მიიჩნევს. სამივე ბიჭი ერთად გაიზარდა და მათ საოცარი ძმობა აქვთ. მოხდა ისე, რომ ახლა სამივეს ცოლები ერთდროულად, დედობის მოლოდინში არიან. ასე რომ, მომავალ წელს ქვეყანას კიდევ სამი სინაურიძე მოველინება. ლიზა დარწმუნებულია, რომ ბავშვებსაც ისე ეყვარებათ ერთმანეთი, როგორც მათ მამებს.



ლიზა ბაბრატიონი



ტენის მბუხდავი ექიმი ემახი მყავს!

ლელა ჭანკობაძე

— მოდი, საუბარი იმ დროიდან დაიწყო, როცა ლიზა ბაბრატიონი გაჩნდა...

— გაეჩნდი ზაფხულის პაპანაქება სიციხეში, თანაც ძალიან იოლად. ჩემი მშობლების მეორე ქალიშვილი ვიყავი და ამავე დროს, მეხუთე გოგო ბაბრატიონების ოჯახში (ერთი დაიღუპა). მაშინ არ იყო იმის საშუალება, რომ შეეტყვოთ ჩანასახის სქესი, მაგრამ მამჩემი დაჟინებით ამბობდა თურმე: წუთითაც ვერ წარმოვიდგენ, რომ გოგო შეიძლება გაჩნდეს, დარწმუნებული ვარ — ბიჭი დაიბადებო და დედის მუცელშივე, ირაკლის მეძახდა. ბაბუაჩემს, რომელსაც მთელი საქართველო ჯანო ბაბრატიონად იცნობს, ნამდვილი სახელი, ირაკლი ერქვა. ამიტომაც უნდოდა მამაჩემს, ირაკლი დაერქმია ჩემთვის ანუ ქვეყანას მოვლენოდა ირაკლი გიორგის ძე. მაგრამ გაეჩნდი მე, ეი. გაჩნდა გოგო... გურამ გოცაძე, ჩვენი არაჩვეულებრივი მეანი, რომელიც არაერთი ღამაში ოჯახის მახარობლად ითვლებოდა, ბიძაჩემის — ჯანოს (უმცროსის) მეგობარია. გურამმა გადახედა მამას ღია ფანჯრიდან და დაუძახა: ტოტოს, შე დედალო, შენაო!.. — მეგობრები მამაჩემს მოფერებით, ტოტომას ეძახიან. ამით მიხვდა მამაჩემი, რომ მეორე შვილიც გოგო ეყოლა.

— როგორ შეხვდა მეხუთე გოგოს დაბადებას უფროსი ჯანო ბაბრატიონი?

— სიტყვა „ტრაგედია“ დღევანდელ საქართველოში სულ სხვა დატვირთვა აქვს, იგი სისხლის ღვრასა და უბედურე-

ბასთან არის გაიგივებული, მაგრამ მაშინ ჩემი დაბადება ბაბრატიონებისთვის მართლა ტრაგედია იყო. ყველაზე მეტად, სწორედ ბაბუამ განიცადა. ის თურმე სამშობიაროში არ წასულა: ყველა მშობიარობაზე ვიყავი, იქნებ მე მაქვს ცული ფეხი, ამიტომ სახლში დავრჩებიო, — უთქვამს და სამშობიაროში თავისი მეგობარი გაუგზავნია — შენ მითხარი, ვინ დაიბადებო. ჩემი დაბადების შემდეგ ბეზიას ამ კაცისთვის უთქვამს: მე ვერ წავალ სახლში, ჯერ შენ მიდი, უთხარი და მერე მე მოვალ. მართლაც ასე მომხდარა. მაგრამ ბაბუა ისეთი გამომეტყველებით შეჰკვებებია მახარობლად ქცეულ მეგობარს, რომ ვერ გაუბედა ეთქვა: ისევ გოგაო და უთქვამს: ბიჭია, ბიჭიო! მაშინ პავლოვზე ვცხოვრობდით. ჩვენს ეზოში ცხოვრობდა გოგი ცაბაძე და ბევრი სხვა კოლორიტული ადამიანი. მათ ეზოში „ბესედა“ ჰქონდათ. შაბათ-კვირას ყველას თავისი ულუფა ჩაჰქონდა და განაღებოდა ხოლმე ქეიფი. ბაბუას რომ დაუძახია: ბიჭია, ბიჭიო! — მთელი მეზობლები ჩასულან „ბესედაში“. ბეზიაჩემმა თქვა: შევედი ეზოში და რას ვხედავ?! — ბაბუაშენი ჭიქით ხელში დგას; ძალიან გამიკვირდა, შემდეგ კი გამიხარდა, ასეთი გაგებით რომ შეხვდა გოგოს დაბადებას... როგორც კი დაუნახავს ბებია, შებრუნებულა მისკენ მთელი ტანით და, ყველას გასაგონად, საოცარი სიამაყით უკითხავს: რა დაარქვით ბავშვსო?.. დგას თურმე და ელოდება, როდის უპასუხებს ბებია: „ირაკლი“. ბებომ, რა თქმა უნდა, უთხრა: „ლიზა“. ბაბუაჩემი ერთიანად გაფითრებულა, შემდეგ კი გამოჰკიდებია მახარობელს, რომელიც უკვე გარბოდა თურმე. საწყალი კაცი

დაცემულა, ფეხი მოუტეხავს და ამის შედეგად დაკოჭლებულა კიდევ... სუთი წლის ვიყავი, ბაბუა რომ გარდაიცვალა. მისი დაკოჭლებული მეგობარი, როგორც კი დამინახავდა, მეუბნებოდა: ბაბუა, ბაბუა, ხედავ, აგი ფეხი მოკლე რომ მაქვს? შენი ბრალია, იცოდეთ. ამის გამო, მე მთელი ხმით ვიწყებდი ტირილს. აი, ასეთი დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ჩემი დაბადება ბაბუის მეგობრისთვისაც კი.

— ლიზა ვის ერქვა? ვისი სახელი დაგარქვეს?

— დედამ მითხრა: რადგან ბიჭი ვერ გავაჩინე, ერთადერთი, რითიც შემეძლო, კომპენსაცია გამეკეთებინა მამაშენისთვის, ვიფიქრე, ლიზას დარქმევა იქნება-მეთქი: ლიზა ერქვა მამაჩემის გამზრდელ ბებოს, რომელიც მამას ძალიან უყვარდა. სხვათა შორის, ჩემს თაობაში ლიზა თითქმის არავის ჰქვია. ჩემი მეგობრები ხუმრობენ ხოლმე: ისეთი გამორჩეული ხარ შენი სახელის გამო, რომ ლიზას თქმა საკმარისია, გვარის დამატება აღარ უნდაო.

— ლიზა, შენი უფროსი და სად არის? რას საქმიანობს?

— თამუნა შვეიცარიაში ცხოვრობს. მას სამი შვილი ჰყავს. უმცროსი სულ პაწაწინაა, ჯერ არც კი ვიცნობ. ჩემი სიძე, შოთა ყავლაშვილი ფეხბურთელია. მე რომ დავიბადე, მაშინ ჩემი და სამი წლის იყო. მოგეხსენებათ, როცა ბავშვი იბადება, მთელი ყურადღება მასზე გადადის და ამ დროს უფროსი შვილი ეჭვიანობას იწყებს. თამუნას ასეთი რამ არ სჭირდა, პირიქით. დედა რძიან ჩაის სვამდა თურმე, თამუნას უკითხავს, რატომ სვამო? დედას უთქვამს: ძუძუში რძე ჩამიდგება და ღამით, ლიზა რომ გაიღვი-

ძებს, ვაჭმევო. თამუნასაც დაუღევია ერთი ჭიქა რძიანი ჩაი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან წუნია და უჭმელი იყო. შუალაშისას მე ტირილი დამიწყია. დედა მაჭმევდა, თამუნა შემოსულა ოთახში დამის პერანგით და უთქვამს: დედიკო, აბა ნახე, იქნებ მეც ჩამიდგა რძე, მეც ვაჭმევ ლიზას ბუბუსო... ასეთი მზრუნველი იყო იმ წუთიდან, როცა მე გაჩნდი. მზრუნველია დღემდე. მეორე დედას ვეძახი. ის კი მეუბნება: ჩემი დედამთელი ხარო. თამუნა წყნარია, მშვიდი, მე – უფრო აქტიური, ხმაურიანი. სულ დავყავდი ობერაში, თეატრში, თავის მეგობრებთან ერთად. არასოდეს წასულა სადმე უჩემოდ, ამიტომაც, რომ ჩემი მეგობრები, ყველანი ჩემზე უფროსები არიან, – თამუნას მეგობრები გახდნენ ჩემი მეგობრებიც. როცა ბიჭები ყვავილებს ყიდულობდნენ შეყვარებულებს ისთვის, მეც მიყვავდი ასარჩევად, შემდეგ კი მე მაფუთვინებდნენ.

— სიყვარული როდის გენვია?

– მამაკაცებთან ურთიერთობა მიყვარდა. ფეხბურთიც მიყვარდა, თმა მოკლედ მქონდა შეჭრილი და სპორტულიც ვიყავი. მიუხედავად ამისა, მაინც სულ ვიპრანჭვებოდი. 15 წლის ვიყავი, მუსიკალურ ათწლეულში ვსწავლობდი. შემეყვარდა კონსერვატორიის სტუდენტი. ის ჩემზე ბევრად უფროსი იყო. პირველად რომ ვნახე, ელისო ბოლქვაძესთან კვინტეტში უკრავდა. ჩემს ცხოვრებაში ეს იყო დიდად დასამახსოვრებელი მოვლენა. ძალიან ვიყავი შეყვარებული...

— ღიზა, პირველი სიმღერა, რომელიც სცენაზე იმღერე? შენი დებიუტი სად შედგა?

– თბილისში რომ არაფერი ხდებოდა და რუსთაველი დამწვარი იყო, ვიკრიბებოდი ხოლმე ვორონცოვზე. იქ იყო პატარა დარბაზი – „გულანშარო“! ეკა



კონტრიძე და მისი მეგობრები აწყობდნენ არაპროფესიონალების კონცერტებს. უდიდეს სიამოვნებას ვიღებდით, როგორც მომღერლები, ასევე მსმენელები, იკრიბებოდა ის ხალხი, ოჯახური ტრადიციით რომ მოსდგამს სიმღერის კულტურას... სულ ვამბობ ხოლმე, რომ მართო სმენა და ხმა არ არის საკმარისი – აუცილებელია გქონდეს შინაგანი კულტურა. თუმცა, ფაქტია, რომ სმენის გარეშე ვერ იმღერებ. მქონია შემთხვევა, როცა სტუდიაში შევსულვარ, უკითხავი: по фразам или как რას ნიშნავს ეს? ერთ ფრაზას რომ იმღერებ ცალკე და შემდეგ თორმეტს – ცალ-ცალკე, ეს უკვე სიმღერა აღარ არის.

— შენი სიმღერა, ნატო მეტონიძესთან და „უცნობთან“ ერთად, პიტად იქცა. იყო მოსალოდნელი, რომ ამ სიმღერას ახალი სიმღერა მოჰყვებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რატომ?

– ზარმაციც ვარ, პრეტენზიულიც, ამბიციურიც... თან, ძალიან უნდა მომეწონოს სიმღერა, რომ ვიმღერო. ბევრს ვმღერი მეგობრების წრეში. ახლა ბატონი ბიძინა კვერცხაძის სადამოსთვის ვემზადები. საოცრად დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. არ მეზარება, თუნდაც რეპეტიციასზე, ასევე რომ მამღერონ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის – სად, ვისთან და რას ვმღერი. ამიტომ ვანიჭებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ტექსტს, ყოველ სიტყვას. რასაც ვმღერი, იმის უნდა მჯეროდეს. საკმაოდ ძვირი ჯდება ხარისხიანი პროდუქციის გამოშვება. მომღერლები ამბობენ: გადაიხდი კლიპში ფულს, მერე ამოიდებო... მე ვეღარ ვიღებ ფულს, რადგან არ შემძლია ყველგან სიმღერა. რომც გამიჩნდეს ამის სურვილი, ჩემი ოჯახის წევრები არ გამიშვებენ, რადგან ჩემს მეუღლეს მთელი ქალაქი იცნობს, ასევე – ჩემს მშობლებსაც. თან, ჩემ წინაშე არ დგას ამის საჭიროება. გაჭირვება ალბათ ყველაფერს გამაკეთებინებს. ღმერთმა არ გამიჭირვოს, თორემ დამავიწყდება ჩემი გვარი, წარმოშობა, პროფესიაც და ჩემს შვილს არ მოვაშივებ. დღეს კვერდით მიდგანან ქმარი, მამა, სიძე, ისინი არაფერს გამიჭირვებენ. ყოველთვის ვცეკვავდი, ვმღეროდი, პაროდიებს ვაკეთებდი, ნანი ბრეგვაძეს, მედია ძიძიურს, ეთერ კაკულიას ვბაძავდი. ამით ვიყავი გამორჩეული... დიდი სამეგობრო მყავს. ყველაზე დიდი განძი ჩემთვის არის ის ოჯახი, სადაც მე გაეჩნდი და ჩემი მეგობრების წრე. ხშირად მიფიქრია – ნეტავ ასეთი ოჯახი



და მეგობრები რით დავიმსახურე-მეთქი. შემძლია ხმამალა განვაცხადო, რომ ამ ქალაქში ყველაზე კარგი მეგობრები მყავს. მათ წინაშე პასუხისმგებელი ვარ. ვგრძნობ მათ თვალებში სიამაყესა და პატივისცემას, როცა ამას ვიმსახურებ. ამიტომ არ შემძლია გააკეთო ის ყველაფერი, რაც დღეს კეთდება. არც მომღერლის სტატუსი მინდა. მირჩვენია, ხანდახან გამოეჩნდე და ეს გამოჩენა ხალხს დავამახსოვრო. ჩემთვის ეს ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ ყოველ წუთს გამოვდიოდე რადიოთი ან ტელევიზიით.

— ამიტომ არიდებ თავს ჟურნალისტებს?

– ხშირად ვხუმრობ ხოლმე – ოთხი ნამღერის გამო, ოთხასი ინტერვიუ მაქვს მიცემული-მეთქი. მერიდება. მგონია, რომ ერთსა და იმავეს ვლაპარაკობ და მკითხველს ებეზრდება.

— ახალ ნელს მართლა არსად გამოჩნდები?

– ნამდვილად არსად გამოვდივარ, რადგან პირველი ახალი წელია, რომელსაც მე და ჩემი მეუღლე ერთად ვხვდებით. თან, ჩემი მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას. საერთოდ, ძალიან მიყვარს დროს ტარება, მოლხენა, ცეკვა, სიმღერა. ახლა ჩემი გინეკოლოგი ქმარი ამ ყველაფერს მიკრძალავს. სულ ამაზე ვჩხუბობთ. ზაზა ძალიან უყვართ ავადმყოფებს, რადგან საოცრად დემოკრატიული ექიმი. ეუბნება ორსულებს: თქვენ არ ხართ ავად, თქვენ ხართ ორსულად, ამიტომ იცხოვრეთ ჩვეულებრივი ცხოვრებით. ეს მხოლოდ ჩემზე არ ვრცელდება. ჩემ მიმართ ის ძველებურად მოაზროვნე, პრაგმატული ტვინის ექიმი. რასაც გეუბნები, შემისრულეო, – მპასუხობს, როცა ვსაყვედურობ. ასე რომ, ძალიან ტირანი პირადი ექიმი მყავს.

— **ზაზა გამშობიარებთ?**

— არა. მშობიარობის დროს სხვა ექიმი მეფლობება, თავად ზაზას უნდა ასე. მე ნაკლებად მაქვს ამაზე პრეტენზია. თავად ამბობს: შენ რომ მშობიარობა დაგეწყება, ბოთლს დავიჭერ და ისე დავთვრები, ვეღარც გამაგებინებენ, რომ იმშობიარეო... ზაზა ძალიან სერიოზულად ეკიდება შვილის გაჩენას. ის არ არის იმ ასაკში, რომ ამას არასერიოზულად აღიქვამდეს. ასე რომ, მყავს ტვინის მზურღავი ექიმი ქმარი.

— **რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ზაზამ პირველად რომ გნახა, ვერ გიცნო. იქნებ გაიხსენო, როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— ზაზა ქორწილში გავიცანი. ჩემი მამის ვასიკო სინაურიძის ცოლის და, ნინო ჩიქოვანი, პარლამენტარ დათო გეგეშიძეზე გათხოვდა. მოხდა ისე, რომ დათოს და ნინოს ქორწილში ზაზა დაჯდა ჩემ წინ. რა თქმა უნდა, ვერ მიცნო, უფრო სწორად — ლიზა ბაგრატიონის არსებობაც კი არ იცოდა. ქალბატონ ნანი ბრეგვაძის გარდა, არც ერთი მომღერლის სახელი არ ჰქონდა გაგონილი. ვერც ვიფიქრებდი, რომ შეიძლებოდა, ვინმეს ასეთ დონემდე არ ჰქონოდა წარმოდგენა ქართულ სიმღერაზე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარდა სუფრასთან ქალი გიტარაზე რომ უკრავდა და მღეროდა... ქორწილში დაჯდომამა მამაკაცების გვერდით უნდოდა, იქ, სადაც დალევდა, მიიღებენდა. რომ მოვიდა, მხოლოდ ერთი ადგილი იყო დარჩენილი, ისიც — ჩემ წინ, სცენის გვერდზე. დაიწყო წუწუნები: ბარიშნიკოვი ხომ არ ვარ, აქ რომ მსვამთო... შემაწუნა მისმა ჯუჯულუნმა და ვუთხარი: უკაცრავად, მაგრამ ჩემ წინ დაჯდომასზე მთელი საქართველო ოცნებობს, თქვენ რა დღეში ხართ, თუ შეიძლება, დაბრძანდით-მეთქი... დაიბნა და ეს ორმეტრიანი კაცი გაისუხა და დაჯდა. მერე ამაზე ბევრი ვიცინეთ. ისე გავერთეთ, ეს ქორწილი დაუვიწყარი იქნებოდა ჩემთვის მაშინაც კი, თუკი მე და ზაზა ერთმანეთს ვერ დავუახლოვდებოდით. ზაზა არ ცეკვავს, მაგრამ იმ დღეს ორჯერ გამიწვია საცეკვაოდ. შემდეგ, უკვე როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, „ბერიკონში“ ვიყავით, ზაზას თავისმა ძმამ ვასიკომ საყვედურით უთხრა: ადგე, რა, ეცეკვე ლიზასო. გაიცინა: მე ერთხელ ვეცეკვე და ჩემი საქმე გავაკეთე, აწი თქვენ იტლინკავეთო... ასეთი იუმორით სავსე ადამიანია. უზომოდ არის თავის პროფესიაზე შეყვარებული. ძალიან ვაფასებ მის დამოკიდებულებას ჩემი მშობლების, მეგობრების მიმართ. გამიგია, ვიდაცაზე უთქვამთ: უვარგისი კაცია, მაგრამ ძალიან კარგი ქმარიაო. ეს ჩემთვის წარმოუდ-

გენელია. ვისაც ხალხთან ურთიერთობა არ შეუძლია, ის არ შეიძლება კარგი ქმარი იყოს. ჩემი ორსულობის პირველ პერიოდში წოლითი რეჟიმი მქონდა, ამიტომ, ჩვენს სახლში მეორედ მოსვლა იყო: მოდიოდნენ ჩემი დაქალები. ერთხელაც არ უთქვამს: დავიღალე, აღარ შემიძლია ამდენი დედაკაცის ყურებაო...

— **მომღერლების ნრეში ალბათ უკვე კარგად გრძნობს თავს?**

— ყველა გავაცანი. სხვათა შორის, ზაზა, ლელა წურწუმიას მეან-გინეკოლოგც არის. რომ გითხრაო, კონცერტებზე ან კლიპის პრეზენტაციებზე დამყვება-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ერთადერთხელ მერაბ სეფაშვილის კონცერტზე წამომყვა, მაგრამ კონცერტზე დაურეკეს — მშობიარე მოიყვანესო — და ისე წამოფრინდა და გავარდა, „ნახვამდის“ ძლივს დავაწიე გზაში. სულ მეუბნება: შენ გაქვს შენი საქმე, რომელშიც მე ხელს არ შეგიშლი, მაგრამ მე ნუ ჩამრევ, თავი დამანებეო. ორ-სამ სიმღერას უსმენს სიამოვნებით, მაგრამ მეხუთე-მეექვსე მისთვის უკვე აუტანელი მოსასმენი ხდება. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი მეუღლე ხელოვანი არ იქნებოდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, პროფესიული თვალსაზრისით, სხვადასხვა პოლუსზე ვდგავართ, არანაირი პრობლემა ამის გამო არ გვექმნება, პირიქით — ზაზას მიწაზე ჩამოვყავარ ხოლმე, როცა ზემოთ აფრენას ვლამობ.

— **რადგანაც პირველად ხვდებით ახალ წელს ერთად, ალბათ ეცდებით, რომ ეს ახალი წელი თქვენთვის დასამახსოვრებელი გახდეს. რას აპირებთ?**

— ჩემი მშობლები მთავაზობენ: მოდიო ჩვენთან და ერთად შევხვდეთ ახალ წელსო. ხუთი წელია, რაც ჩემი და საქართველოში არ ცხოვრობს, მაგრამ

ყოველ ახალ წელს ჩამოდის ხოლმე. წელს მას ჩვილი ბავშვი ჰყავს და თამუნამ ვერ გარისკა სამი ბავშვით წამოსვლა. თან, მიშასაც ფეხის ტრავმა მიუღია, ამიტომ ჩემი მშობლები ახალ წელს მართონი უნდა შეხვდნენ... ნამდვილად ვიცი, რომ სამივე ძმა, და ჩვენ, მათი ორსული მეუღლეები, ერთ-ერთი მათგანის სახლში შევიკრიბებით და დარწმუნებული ვარ, რომ არ მოვიწყენთ. სიმართლე გითხრაო, ეს ახალი წელი უკვე იმით არის საინტერესო ჩემთვის, რომ შენ არასდროს შევხვედრივარ ახალი წლის მობრძანებას.

— **ასეთივე წარმოუდგენელი და დასამახსოვრებელი თუ აღმოჩნდა შენი და ზაზას შეუღლება?**

— ...არ ვაპირებდით არანაირი ზეიმის მოწყობას, მაგრამ მოხდა ასეთი რამ: ჩემი დისშვილი, რომელიც ოთხი წლის არის, სანამ შვეიცარიიდან წამოიყვანდნენ, სულ ამბობდა თურმე: ლიზას ქორწილისთვის თეთრი კაბა, შლაპა და ჩანთა მიყიდეთო. თამუნამ უყიდა. როგორც კი ჩამოვიდნენ, მარიამმა მიჩვენა თავისი ახალი ტანსაცმელი. ყველანი მივხვდით, სულ პატარა ზეიმი მაინც რომ არ მოგვეწყო, ბავშვი ჭკუიდან შეიშლებოდა. ზაზამ შემოძთავაზა: ხელი მოვაწეროთ, შემდეგ კი ოჯახის წევრები წავიდეთ სადმე და ვისადილოთო. წავედი ჩუბიკასთან (მოღელეიერი ნინო ჩუბინიშვილი). რა თქმა უნდა, არ ვუთხარი სიმართლე — შემრცხვა და ვთხოვე, კონცერტისთვის კაბა შემიკერე-მეთქი. მართლაც, შემიკერა საოცრად ლამაზი წითელი კაბა. ასე წავედით ხელის მოსაწერად. შუაში მარიამი გვედგა. ძალიან ვიწრო წრეში მოვაწერეთ ხელი. იქიდან კი რესტორნისკენ გავეშურეთ. თურმე ჩემს დასა და სიძეს მოუწყვიათ ჩემთვის სიურპრიზი და რესტორანში მეგობრები დამახვედრეს — დაახლოებით სამოცი ადამიანი. ამით ისე გამახარეს, რომ ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. საერთოდ, უნდა გითხრაო, რომ ძალიან ბევრი კარგი რამ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, თუმცა იყო ისეთი და იმდენი გულისტკივილიც, რაც ვფიქრობ, არ დამიმსახურებია... რაზეც მითქვამს — ამის გაკეთება არ შეიძლება-მეთქი, თითქმის ყველაფერი გამიკეთებია... ცხოვრებამ მასწავლა, რომ არასოდეს არავინ არ უნდა გაკიცხო. საკუთარ ცხოვრებაზე ძნელია ლაპარაკი, მაგრამ ალბათ წინა ცხოვრებაში, რაღაც დავიმსახურე იმის ფასი, რომ წილად მხვდა ბედნიერება, ჩემი მშობლების შვილი ვყოფილიყავი. თუ ამ ქალაქში, ამ ქვეყანაში, ამ დროს უნდა გაჩენილიყავი — ალბათ ყველაზე კარგი ვარიანტი მე მხვდა წილად.



მას შემდეგ, რაც მამაკაც-მა ნადირობაზე გული აიციურა და თავისი ტრადიციული, მარჩენლის როლი მანდილოსანს დაუთმო, ერთადერთი ფუნქციის ამარაღა დარჩა — ეს ნახევრად ხუმრობით. სრულიად სერიოზულად კი, მართლაც ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ XXI საუკუნის დასაწყისში კაცები „განაზდნენ“, ქალები კი „დავაჟკადნენ“. არის თუ არა ეს პროცესი კანონზომიერი? რა უნდათ ქალებს, ან რა სჭირთ კაცებს? რას ფიქრობენ ყოველივე ამის შესახებ სექსოლოგები, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქალი ქალს დაემსგავსოს, კაცი კაცს? ან იქნებ, არაფერიც არ არის საჭირო და ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს? — ვესაუბრებით საქართველოს სექსოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტს, დოცენტ ანდრო კანდელიძეს.



დღევანდელ სექსოლოგიაში სიტყვა „იმპოტენტი“ აღარ იხმარება...

ნანა ქიბიძაური

— ბატონო ანდრო, დავინწყით საუბარი იმით, თუ რა სჭირთ კაცებს. რა ჩივილებით მოდიან თქვენთან, რა დავადებებმა იმატა მამაკაცთა სექსოლოგიაში და რა არის მათი გამომწვევი მიზეზები?

— ჩვენს მამაკაცებს არაფერი გან-

კვდებით წყვილთა შორის როგორც ფიზიოლოგიურ, ისე ფსიქოლოგიურ შეუთავსებლობას და ამით განპირობებულ გართულებულ პარტნიორულ ურთიერთობებს. 50 წელზე ზემოთ მამაკაცებში ხშირია ისეთი ასაკობრივი პრობლემები, როგორცაა წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) და ასოს სისხლძარღვოვანი დაავადებები.

— როგორ იწყებთ პაციენტ-

ვისუფლდეს პრობლემისაგან, რომ სიმორცხვის ფაქტორი აღარ არსებობს. თუმცა, კვდებით გამონაკლისებსაც. არის მამაკაცთა კატეგორია, რომელიც განიცდის უხერხულობას და კომპლექსის მოსახსნელად ალკოჰოლს მიმართავს. უკეთეს შემთხვევაში გვებოდიშებიან, რომ ფიზიკურ მდგომარეობაში ვერ ბედავდნენ თავის პრობლემებზე საუბარს და გულის მოსაწყემად დალიეს. ძირითადად ასე ხდება სექსოლოგთან პირველი ვიზიტის დროს, მერე კი, ყოველგვარი უხერხულობის მომენტი იხსნება და ერთმანეთის პირისპირ რჩებიან მხოლოდ ექიმი და მისი პაციენტი. დაავადების სასიათის დადგენას ვიწყებთ იმის გამორკვევით, თუ რისგან არის გამოწვეული პაციენტის პრობლემა — ეს არის ფსიქოგენური დარღვევის გამო, თუ სომატოგენური, ანუ ორგანული დარღვევის გამო. დაახლოებით 20 წლის წინ, სექსოლოგიაში გავრცელებული იყო აზრი, რომ სექსუალური დარღვევების საფუძველს ძირითადად ფსიქოლოგიური ტრავმები წარმოადგენდა. დღეს სადიაგნოსტიკო მეთოდების წინსვლამ და დახვეწამ, ამ მოსაზრების ჭეშმარიტება ეჭვქვეშ დააყენა. თანაფარდობა ფსიქოგენური და სომატოგენური დაავადებე-

ძალიან მოიმატა იმ მამაკაცების რიცხვმა, რომელთაც ჩვენი დახმარება სჭირდებათ. მაგრამ ჩვენამდე მოსვლას ორი მიზეზის გამო ვერ ახერხებენ. პირველი, ეს არის დაბალი სექსუალური კულტურა და მეორე — უფულობა.

საკუთრებული არ სჭირთ. ჩვენთანაც ის დაავადებებია გავრცელებული, რაც მთელ მსოფლიოში. ეს არის ერექციული და ეაკულაციური პრობლემები, რომლებიც იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი დროულად მიაკითხავს ექიმს, აბსოლუტურად ემორჩილება მკურნალობას.

თან ურთიერთობას, მამაკაცებთან ალბათ ნაკლებად არის სიმორცხვისა და უხერხულობის მომენტები.

— როდესაც კაცი ექიმთან მიდის, ის იმდენად არის შეწუხებული და იმდენად დიდია მისი სურვილი — გათა-

ბით გამოწვეული შემთხვევებისა, თანაბარია: 50/50-ზე. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც მამაკაცს ორივე მიზეზით გამოწვეული დარღვევები ერთდროულად აღენიშნება. ასეთ დროს ხდება იმის დადგენა, თუ რომელია წამყვანი მიზეზი და საიდან უნდა დავიწყოთ მკურნალობა.

— ძირითადად, რომელი პროფესიის ადამიანები განეკუთვნებიან რისკ-ფაქტორის ჯგუფს?

— დღეს, ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, პროფესიებზე საუბარი და ამ ნიშნით პაციენტთა კლასიფიკაცია შეუძლებელია.

ზოგადად კი, იმის თქმა შეიძლება, რომ მომეტებული რისკ-ფაქტორის ქვეშ არიან ადამიანები, რომლებსაც ძლიერი სტრესების გადატანა უხდებათ. ისინი, ვისაც მავნე აირებთან, ქიმიურ ელემენტებთან და ნავთობის პროდუქტებთან უწევთ ურთიერთობა. თუნდაც ის მამაკაცები, რომლებიც ბენზინგასამართ სადგურებზე მუშაობენ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საშუალო მასშინ, როდესაც არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები. ეს ნორმები კი დღეს ძალიან ხშირად უგულვებელყოფილია. ჩვენს პაციენტებს შორის ბევრია იძულებით გადაადგილებული პირი, რომელმაც გადაიტანა სტრესი და ამის შემდეგ კვლავ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ადამიანები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში ბაზრობაზე დგანან სიცივეში; ირღვევა მათი კვების რეჟიმი და ფსიქოლოგიური წონასწორობა. მოუწესრიგებელი ცხოვრების წესი, დამატებითი სტრესის როლს ასრულებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც არა აქვთ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები — 5 სული ერთ ოთახში იძინებს — საკმაოდ მოზრდილი ბავშვები და ცოლქმარი, რომელიც ჯერ ბავშვების დაძინებას ელოდება, შემდეგ კი მათ გაღვიძებას შიშობს. ასეთ პირობებში ძალიან ძნელია სრულფასოვან მამაკაცად დარჩე. თუ ამ ყველაფერს ემატება ის იაფფასიანი ალკოჰოლური სასმელები, რომელიც დღეს ჩვენთან იყიდება და ფალსიფიცირებული სიგარეტი — პაციენტი სექსუალური დისფუნქციით, უკვე სახეზეა. დღევანდელ სექსოლოგიაში ტერმინი „იმპოტენტი“ აღარ იხმარება, ვინაიდან ეს ტერმინი თვითონ არის სტრესული და შეურაცხმყოფე-



ანდრო კანდელაკი


ლი. მის სანაცვლოდ ვხმარობთ ტერმინს „სექსუალური დისფუნქცია“, რომელიც შედარებით რბილად ჟღერს. აი, ამგვარი დისფუნქციები ხშირად, სწორედ ყოფითი პირობების შედეგად არის ჩამოყალიბებული და მანამდე უნდა შევლა, სანამ დაავადების სახეს მიიღებს. სწორედ ყოფითი პირობების მოუგვარებლობის გამო, ძალიან მოიმატა იმ მამაკაცების რიცხვმა, რომელთაც ჩვენი დახმარება სჭირდებათ. მაგრამ ჩვენამდე მოსვლას ორი მიზეზის გამო ვერ ახერხებენ. პირველი, ეს არის დაბალი სექსუალური კულტურა და მეორე — უფულობა. იმ შემთხვევას, თუ მამაკაცს არ აღენიშნება ორგანული დარღვევები და მაინც ინდიფერენტულია სექსის მიმართ, მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: შიში! შიში იმისა, რომ ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რასაც გარემო უყენებს. უმუშევრობა, უპერსპექტივობის განცდა — ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად თრგუნავს მამაკაცს, როგორც ემოციურად, ასევე სექსუალურად. საკუთარი სოციალური მდგომარეობის შეფასებას, პირდაპირი კავშირი აქვს ქალთან ურთიერთობის ფორმაზე. მამაკაცი-ლიდერი ქალთან ადვილად ამყარებს სასურველ ურთიერთობას. ის მამაკაცი კი, რომელიც სოციალური უსუსურობის განცდით იტანჯება, ქალთან, თუნდაც საკუთარ ცოლთან, უკან დახეული ხდება. სიმორცხვე, თვინიერება და მო-

რიდება შირმაა, რომლის უკანაც ისეთი არასრულფასოვნების კომპლექსი დგას, რომ ის ამ ცხოვრების ჭეშმარიტ სიამებზე ფიქრსაც კი ვერ ბედავს. შეიძლება ამ მდგომარეობიდან ქცევის მეორე უკიდურესობაში გადავარდეს, მოიცვას სრულმა გულგრილობამ და ნიჰილიზმმა ან გახდეს უხეში, უზრდელი და აგრესიული — ესეც საკუთარი უსუსურობით გაუბელურებული მამაკაცის ქცევაა.

— იქნებ მამაკაცთა გაპასიურებაში მათ გვერდით მყოფ, დაღლილ ქალებსაც მიუძღვით წვლილი? ბოლოს და ბოლოს, მათაც ხომ იმავე სტრესის გადატანა უწევთ, რაც მამაკაცებს, თანაც, ისინი უფრო მგრძობიარენი არიან...

— ვერ დაგეთანხმებით. ბიოლოგიურად ქალი უფრო გამძლეა, ვიდრე მამაკაცი. ამას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც მოწმობს. ქალის ფაქტორი მამაკაცურ პრობლემებში შეგვიძლია მხოლოდ ზოგად კონტექსტში განვიხილოთ. დღევანდელი ქალი შეიძლება დაღლილია, მაგრამ მამაკაცის ფონზე, მაინც უფრო აქტიურად გამოიყურება. ექსტრემალურ სიტუაციებში უფრო ნათლად ჩანს, რომ ქალს მამაკაცთან შედარებით მეტი რესურსი აქვს.

— ჩვენი მთაფრობა და პარლამენტი (უტყუარი გარანტი იმისა, რომ ამგვარი ყოფითი პრობლემები კიდევ დიდხანს



არ მოგვარდება) თავს არც უმწეოდ გრძნობს და ლიდერობის განცდითაც ტკბება. მაგრამ, თანამდებობის დაკარგვის შიშით, მუდმივი სტრესის ქვეშ ცხოვრობს. როგორ ფიქრობთ, ისინი თქვენი პოტენციური პაციენტები სომ არ არიან?

— ჩვენ, პარლამენტში მიზანმიმართული კვლევა არ ჩავატარებია, მაგრამ არ მგონია, იქ ყველაფერი წესრიგში იყოს მაშინ, როცა ქვეყანაში უამრავი მოუვლადი საკითხია. სექსუალური პრობლემები ყოველთვის და ყველგან იყო. შეიძლება თავს არ გრძნობენ უმწეოდ, ლიდერობის განცდითაც ტკბებიან, მაგრამ ისინი ხომ ამ ქვეყნის პარლამენტარები არიან. ბევრ მათგანს პატივს ვცემ. და თუ ჩემი, როგორც ექიმის მომსახურება ვინმეს დასჭირდება, მათაც მაქსიმალურად დავეხმარები.

— ახლა კი მივუახლოვდით „ცისფერების“ თემას. თქვენ, როგორც სექსოლოგს, გეცოდინებათ მართლა ამდენი ცისფერია საქართველოში თუ ეს კაცები ერთმანეთს უგონებენ ქორს?

— პირველ ყოვლისა, გეტყვით იმას, რომ ეს თემა არ არის ჩემთვის მაინცდამაინც სასურველი და ეს ანტიდამოკიდებულება სწორედ ჟურნალისტებმა ჩამომიყალიბეს. ჰოსოსექსუალიზმის თემა რატომღაც ყოველთვის უფრო აჟიტირებულია. რომ მომზადდეს 10 გვერდიანი მასალა, სადაც მხოლოდ ერთი აბზაცი იქნება ჰოსოსექსუალიზმის შესახებ, სათაურიც სწორედ იმ ერთი აბზაციდან შეირჩევა და აქცენტიც სწორედ „ცის-

ფერებზე“ გაკეთდება. დღევანდელი მეცნიერება და მედიცინა უკვე შეთანხმდა იმაზე, რომ ჰოსოსექსუალიზმი, დაავადება რეესტრში აღარ შედის. აქ მეცნიერები იზიარებენ სქესობრივი უბირატესობის მინიჭების პრინციპს. ჩვენს საზოგადოებაში შეიმჩნევა შიში, ისტერიკული შიში ჰოსოსექსუალიზმის, როგორც საფრთხის წინაშე და მამაკაცის მხრიდან ნებისმიერი სინაზის გამოვლინება, ჰოსოსექსუალიზმის შიშთან მიანლოებად აღიქმება. ჩვენთან სამკურნალოდ არ მოდიან

დასჯილი პიროვნება იშვიათობას წარმოადგენდა.

— დაფიქრდეთ მამაკაცთა სექსუალურ დარღვევებს. რომელი ორგანული დაავადებები იწვევს სექსუალურ პრობლემებს?

— პირველ რიგში, ეს არის მეტად ვერაგი დაავადება — შაქრიანი დიაბეტი, სისხლძარღვოვანი დაავადებები. სექსუალურ დისფუნქციებს იწვევს ენდოკრინოლოგიური დაავადებები; მედიკამენტ-

სექსოლოგიის ცენტრში არსებობს სპეციალური კითხვარი. იქ არის ერთი ასეთი შეკითხვა — რამდენ ქალთან გქონდათ სქესობრივი კონტაქტი? მამაკაცები გონებაში ითვლიან. ის კაცი არც კი დაფიქრებულა, ისე მიბასუხა — 150...

ზრდასრული ჰოსოსექსუალისტები. ისინი თავის მდგომარეობასთან ადაპტირებულნი არიან. რომც მოვიდეს „ცისფერი“ ექიმთან, როგორ უნდა მოუხსნას მან ორიენტაცია? ამჟამად მყავს ორი პაციენტი, ორივე რეალიზებული ურთიერთობების მქონე ჰოსოსექსუალისტი. ისინი მეუბნებიან, რომ მათ აქვთ სურვილი, მოიხსნან ჰოსოსექსუალური ტენდენციები და ჰეტეროურთიერთობები დაიწყონ. მაგრამ მე ვიცი, რაც არის მათი სურვილი — ბისექსუალიზმი. ქალთან კონტაქტი მათ შირმაღ სჭირდებათ, თორემ არჩევანის წინაშე რომ დადგნენ, მათ მაინც მამაკაცთან ურთიერთობა ურჩევნიათ. რასაც ჰკარნახობს მათ შინაგანი ხმა, ის არის მათი ორიენტაცია. ამიტომ ჩემი კოლეგები, რომლებიც საზღვარგარეთ ეწევიან პრაქტიკას ამ კუთხით (იგულისხმება ორიენტაციის შეცვლა) აღარ მუშაობენ, რადგან ამაოდ დროის დაკარგვად მიიჩნევენ. „ცისფერები“ ჩვენში ყოველთვის იყვნენ, უბრალოდ მათზე არ საუბრობდნენ, ეს იყო ტაბუდადებული თემა, ეს იყო კანონით აკრძალული, თუმცა, ამის გამო

ები — მაგალითად, წყლულის სამკურნალო საშუალებები ან წნევის მარეგულირებელი წამლები და ა.შ.

— ბატონო ანდრო, ჩვენი საუბრობის დასასრულს რამე განსაკუთრებულ შემთხვევას ხომ არ გაიხსენებდით?

— ასეთი შემთხვევა ჩვენთან ხშირია, მაგრამ ისეთი, რომელიც საგანგებოდ და საჭურნალოდ არ გამოდგება. ერთ უწყინარ კურიოზს მოგიყვებით. ჩემთან დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიონიდან ერთი ხანში შესული კაცი მოვიდა. სექსოლოგიის ცენტრში არსებობს სპეციალური კითხვარი, რომელიც პაციენტებმა უნდა შეავსონ. იქ არის ერთი ასეთი შეკითხვა — რამდენ ქალთან გქონდათ სქესობრივი კონტაქტი? მამაკაცები სანამ ამ შეკითხვას უპასუხებენ, ფიქრდებიან ხოლმე, გონებაში ითვლიან ყოფილ პარტნიორებს. ის კაცი არც კი დაფიქრებულა, ისე მიპასუხა — 150. იმ კითხვარში სხვადასხვა კონტექსტით მეორდება ერთი და იგივე შეკითხვები. მეორედ, როდესაც მივედი ამ შეკითხვასთან, ვთხოვე: აბა ერთი კარგად გადათვალე, ამდენი არ იქნებოდა-მეთქი. მეორედ მიპასუხა — 130. მერე 100-მდე ჩამოვიდა. არ მოვემზი და ასე, ნელ-ნელა, 20-მდე ჩამოვედი... ჩემი პაციენტი თავის რაიონში წავიდა, მე კი დღესაც ეჭვი მეპარება და მგონია, რომ არც 20 იქნებოდა...



ნათია თენიშვილი

ქართლოს კასრაძე – საქართველოს სახალხო არტისტი, მწერალი, ღირსების ორდენოსანი, წლების განმავლობაში ესტრადის უცვლელი კონფერანსიე, პოლიგლოტი და, რაც მთავარია, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა. ხალხმა მას სიცილის მეფე უწოდა. დაიბადა 1926 წლის 27 აგვისტოს. დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა, შემდეგ – თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებში უცხოენოვან სპექტაკლებში ასრულებდა მთავარ როლებს. შემდეგ იწყება ესტრადა – „რერო“, „ორერა“, „დიელო“. შესრულებული აქვს: მზარეულის როლი ფილმში „უდიპლომო სასიძო“, არქიტექტორი – ფილმში „აბეზარა“, დავითი – ფილმში „განაჩენი“. კაკო კვანტალიანი დედასავით მიყვარდა, იპოლიტე სვიჩია კი ჩემი ლენინი იყო, – ხუმრობს ბატონი ქართლოსი.

წიგნებით სავსე, ვიწრო ოთახში უამრავი ფურცელია მიმოფანტული. სამუშაო მაგიდასთან, თაროზე, ქართლოს კასრაძის წიგნებია: „ტრიუმფით მსოფლიო გზებზე“, „სოსელო“, „თამარი“, „ფარნავაზი“, „ერეკლეს ხმალი“ და სხვ. კედლები თითქმის დაფარულია ფოტოსურათებით. ეს მამაჩემია – დავით კასრაძე პარიზში, ეს დედაჩემი – ქრისტინე, იაკობ გოგებაშვილის შვილობილი იყო, – მისხნის ბატონი ქართლოსი; თბილისის ულამაზესი ქალბატონები – ნატო ვაჩნაძე და ლია ელიავა; მე და ჩემი მეუღლე, თალიკო, ახალ-



გაზრდობაში; თალიკო გურულია, ოზურგეთელი, იცი რა ლამაზი იყო? ახლა დაკბერდით – 75 წლის ვარ უკვე, ეს ბოლო კვირაა, მეუბნება – სარკეში ჩაიხედეთ...

— თბილისელმა კაცმა ოზურგეთელი ქალი სად იპოვეთ?

– ამ კედლის იქით ცხოვრობდა და შემეყვარდა. წყნარი იყო ძალიან, კინოში „ტარზანი“ გადიოდა და ბილეთების საყიდლად გაუშვით. ცოტა ხანში სელცარიელი დაბრუნდა – ბევრი ხალხი იყო, გვითხრა, სირინოზის ხმით და... შემეყვარდა სიგიჟემდე.

— ეს პირველი სიყვარული იყო?

– არა. პირველად ვინც შემეყვარდა, არ ვიტყვი იმის სახელს და გვარს: ჩემი კლასელი, მეგობარი გავაზავნე მასთან საქმის ჩასაწყობად და თვითონ შეირთო. მერე ულამაზესი გოგო მოვიყვანე ცოლად – ნუნუ ანანაშვილი. საოცრად მღეროდა, მისი ხმა ოპერაში „ვერ ეტეოდა“, მაგარი გოგო იყო. სამწუხაროდ, ახალგაზრდა გარდაიცვალა. ჩემი პირველი შვილი, მერაბი დამრჩა მისგან. მერე თალიკო მოვიყვანე. მან გაზარდა მერაბიც და ჩვენი სხვა შვილებიც. მე 5 შვილი და 11 შვილიშვილი მყავს. ამ მხრივ მდიდარი კაცი ვარ.

— თქვენს ბავშვობას როგორ გაიხსენებდით?

– ოთხი წლის ასაკში ჩვენი ეზოს თეატრში ვითამაშე მთვარე. შუბლზე მავთულით მქონდა დამაგრებული მჭაღი. პატარა სკამზე ავიდოდი და ჩამოვიდოდი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთვარე ამოდიოდა და ჩადიოდა. როცა საბავშვო ბაღში მივედი, ფურცლები დაგვირიგეს და გვითხრეს – ზამთარი



ქართლოს კასრაძე: კაკო კვანტალიანი დედასავით მიყვარდა, იპოლიტე სვიჩია კი ჩემი ლენინი იყო

დახატეთო, ყველამ დავხატეთ დათოვლილსახურავიანი სახლები, მზე, ხეები. მე ფიფქებიც დავხატე. ვაკაკუნებდი ფანქარს ფურცელზე. ვერავინ გაიგო, რას ვაკეთებდი. მერე ყველამ მომბაძა და ატყდა ერთი კაკუნი. მაშინ შემზიზილდა პლაგიატობა. მე მინდოდა, რაღაც განსხვავებული დამეხატა... ცხენს ვხატავ ორ წუთში. გინდა დაგიხატო? (ბატონმა ქართლოსმა ცხენიც დახატა, იქვე, ექსპრომტად შეთხზული ლექსიც მიაწერა და – სახსოვრად გქონდესო, მაჩუქა. – ავტ.)

— ბატონო ქართლოს 75 წლის იუბილეს არ იხდით?


– სპონსორი მყავს და მეუბნება გადავიხდი იუბილესო. არ მინდა! არ მინდა, ხალხმა გაიგოს, 75 წლის რომ ვარ, თორემ კარგ ფულს ამოვიღებდი. მაგრამ ფული რა არის? არც არაფერი. მთავარი, კაცობაა. კაცმა არ უნდა იქურდო, არ უნდა „იჟულიკო“. ცოლი რომ

მოგყავს, იმის ტალანტი უნდა გქონდეს, რომ აცხოვრო. არ უნდა იწუწუნო. წუწუნებ — შუქი არ არისო. მერე რა მოხდა, შე კაი კაცო — არც ილიას და აკაკის ჰქონდა შუქი. ვაჟა ბუხრის შუქზე წერდა, მაგრამ ბუმბერაზი იყო, ღმერთები ჩამოჰყავდა სალახლანდაროდ. ერეკლეს, თამარს, დავითს, ლანკასტერებს, ტიულორებს არ ჰქონდათ შუქი, მაგრამ ცხოვრობდნენ კაცურად. დრო მოიტანს ყველაფერს. ყველაფერი დაღაგდება.

— გაიხსენეთ თქვენი თავი კონფერანსიეს ამპლუაში.

— ალბათ 3000-მდე კონცერტი მაქვს ჩატარებული, ფინეთში — ფინურად, დანიაში — დანიურად, პოლანდიაში — პოლანდიურად, საფრანგეთში — ფრანგულად, ლონდონში — ინგლისურად, ოსლოში — ნორვეგიულად, სტოკჰოლმში — შვედურად, ჩეხეთში — ჩეხურად. სტოკჰოლმშია კონცერტი. კონფერანსიე ვარ და მიმყავს შვედურად. ვამბობ: როცა აფრინდა ანგელოზი, დაუვარდა სილამაზის ბეჭედი, რომელიც დაეცა თბილისში. ამიტომ არის თბილისი ყველაზე ლამაზი და საყვარელი ქალაქი მსოფლიოში. ამიტომ არიან თბილისში ყველაზე ლამაზი გოგონები და ბიჭები. ამიტომ გვაქვს ყველაზე ლამაზი სიმღერები ჩვენ. გაგიჟდა დარბაზში მსხდომი ხალხი — რას ამბობს ეს კაციო?... მაგრამ, როცა სტოკჰოლმში ჩამოვედი — ვაგრძელებ მე — ვნახე თქვენი მუზეუმები, გოგონები, ბიჭები და კულტურა, გავიფიქრე, რომ იმ ანგელოზს მეორე ბეჭედიც დაჰკარგვიამეთქი... იცით რა მოხდა? ლამის დაინგრა ტაშით იქაურობა.

სოსო პავლიაშვილთან ერთად



— გამიგია, თამადობაც კარგად გამოგდით.

— პირველი თამადა ვარ. ახლა უკვე თამადობა აღარ იციან. არ შეიძლება, ვინმე უდღევრძელებელი გაუშვა სუფრიდან. თუ ძალიან ბევრი ხალხია, ქალები შეიძლება ერთ სადღევრძელოში გააერთიანო. პირველად ოჯახის ჭერი და ფუძე უნდა დალოცო, მერე — დიასახლისი, მერე დაიწყე და ადღევრძელე სუფრის წევრები. ახლა, ნახევარს ითამალებენ და მიდიან სახლში. სად მიდიხარ? თუ შნო არ გაქვს, რას დგები თამადად?!

— ზოგს არ შეუძლია ამდენი ღვინის დაღვება და რა ქნას?!

— რა ქნას და „მოიპაროს“. ღვინოს მეც „ვიპარავ“ ხოლმე: თავიდან პატიოსნად ვსვამ, მერე ხანდახან „ვიპარავ“. ორი ჭიქა მიდგას — ერთი სავსე, ერთი ცარიელი. მიჭირავს ხელში სავსე ჭიქა, ვამბობ სადღევრძელოს და გადავღვივარ ალავერდს, ყველა იქით იხედება — მე სავსე ჭიქას ვდგამ და ცარიელს ვიჭერ ხელში, ვითომ დავლიე. თუ ვინმე დაგინახავს, შენიანია — თვალს ჩაუკრავ და მორჩა... როცა ქართველი კაცის ოჯახში აღარ იქნება თამადა, საქართველო დაიღუპება.

— ბატონო ქართლოს, ახლა სუფრა რომ იყოს გაშლილი, ქალის სადღევრძელოს როგორ იტყვოდი?

— სამი გზა აქვს ადამიანს: აზროვნება — ყველაზე კეთილი, მიბაძვა — ყველაზე ადვილი, გამოცდილება — ყველაზე ძნელი. გამოცდილები ს გზაზე სულ ეკლები და ვარდები. ის ეკლები მე მერგოს



ღეილა აბაშიძესთან ერთად. ისრაელში გამართული სპექტაკლი „ებრაელი ქალი“

— როგორც მსახიობს. კაცი ვარ მე და ამას ავიტან. ვარდები კი — თქვენ, როგორც ულამაზეს ქალს.

— როგორები იყვნენ თქვენი თაობის გოგონები?

— სხვანაირები იყვნენ, სხვანაირად ეცვათ და მორიდებულები იყვნენ უფრო. როცა ნატო ვაჩნაძე ჩამოივლიდა ბელინსკიზე (ახლანდელი თამრიკო ჭოველიძის ქუჩა. — ავტ.) მთელ ქუჩას ანათებდა. ცისფერი აურა ჰქონდა. უყვარდა ბაბუაჩემს, მამაჩემს, მე და ჩემს შვილს, ე.ი. ოთხ თაობას — წარმოგიდგენია? 1937 წელს, 16 წლის ვარ. ბელინსკის ქუჩაზე ზემოდან ქალი ჩამოდიხ. წაიქცა. მივვარდი, წამოვაყენე. ულამაზესი ქალი იყო. **ХЛЕБА МНЕ, ХЛЕБА** — წაილულულა. გამოვუტანე პური, წყალი, მოვასულიერე. იცი, ვინ იყო? ქაქუცას ცოლი. ქაქუცა (ჩოლოყაშვილი) იმ დროს პარიზში, ხანჯლებზე ცეკვავდა, ცოლი კი აქ ქუჩაში წაიქცა...

— როგორც ვიცი, გალაკტიონსაც იცნობდით.

— აქვე, კიბეზე იჯდა სწირად მსოფლიო პოეზიის ეს ღემონი. ერთხელ, გამოსაცდელად ავუხირდი და ვუთხარი: ბატონო გალაკტიონ, თქვენს ლექსებში წინა პლანზეა აზრი. მუსიკა გადადის უკანა პლანზე, ამიტომ თქვენი ლექსები არ იმღერება-მეთქი... ეშმაკურად გაიცინა, წვერებზე ხელი ჩამოისვა, თვალბეჭედი ელვამ გაკვესა და მეკითხება: „ყმაწვილო, აზრი მუსიკა არ არის?!“

ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მანსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტექსტის კითხვებზე გაგიჭირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

1. ვინ უთითრება ხელ- ნაწერიანს ლევ ტოლსტოის?




- ა) მოსამსახურე;
- ბ) შვილი;
- გ) მეუღლე.

2. როგორ იზიფრება კოკუღარული ტელენერილის გზირის ალფის (ALIEN LIFE FORM) სახელი?



- ა) „უცხო პლანეტიდან ჩამოსული“;
- ბ) „ცხოვრების უცხო ფორმა“;
- გ) „ჩვენთვის უცხო არსება“.

3. სადაური სიტყვაა „ტატურიკა“?



- ა) ფრანგული;
- ბ) ინგლისური;
- გ) ბერძნული.

ლენინის ორდენი მისცეს და სა-
პირფარეშოში ჩააგდო. დაიბარა ბერი-
ამ და მისცა მეორე, თან გააფრთხილა
— აღარ ჩააგდო. ზოგი ამბობს, გალაკ-
ტიონი არ სვამდა, ღვინიან ხელს ის-
ვამდა წვერზე და იმის სურნელი
ჰქონდაო... არ არის ეგ მართალი, სვამ-
და გალაკტიონი და თანაც, ხარვიით
სვამდა...

— ნიაზი... — ვთქვი და ბატონმა ქართლოსმა კითხვა აღარ დამამთავრებინა. ნიაზ დიასამიძე ცალკე თემაა და თანაც, ამოუწურავიო.

— ამას წინათ ერთმა მითხრა: ქართ-
ლოს, ნიაზი აღარაფერს აღარ ამბობს,
რა დაემართაო?... როგორ უნდა ილა-
პარაკოს? მოკვდა-მეთქი, ვუთხარი. მე
ხომ არ მოვიფიქრებ მის მაგივრად
რადაცებს. ნიაზი ბელინსკის 10 ნო-
მერში ცხოვრობდა, მე — 45 ნომერში.
მამაჩემის ღვიძლი დიასამიძე იყო. ვახ-
უშტი კოტეტიშვილს ფოლკლორში
ნახსენები ჰყავს სამნი დანი დიასამ-
იძეები, ხევსურები. ვუყვები ამას ნიაზს
და ვეუბნები: მე და შენ ჩამომავლობით
ხევსურები ვართ-მეთქი. აბა, ბიჭო, მა-
მაშენი დათიკო და მამაჩემი სოლომო-
ნი სულ ფარიკაობით ჩამოვიდნენ
მთიდანო...

ერთხელ ზემელზე ჩავიდა ნიაზა და
იკითხა:

ლუდი გაქვთ? — ბოთლებშიო? —
ჰკითხეს, — მა წიგნებში, შე ჩემა? დასხი,
რა! — უთხრა ნიაზმა...

შვილიშვილთან ერთად



დედამისი ეუბნება: ნუ სვამ, ნიაზ,
გეხვეწები, დედა ვარ შენი. დედა, თორემ
შენც ოლეგ კოშევის დედა ხარ, რა...

მამალი ჩაუყვანა ზემელზე მესაათეს
ნიაზმა. რად გინდა, ნიაზ, ეგ მამალი? —
ჰკითხა მესაათემ. — ადრე ყვირის და
იქნებ გაასწორო, უპასუხა...

ოპერის პირდაპირ, სადარბაზოში ჩამ-
ოიბინა ორმა ცქრიალა გოგომ. ოლიმ-
პიდა — გამომიწოდა ერთმა ხელი.
სპარტაკიდა — გავუცანი მე. ნიაზმა
იფიქრა, როგორ უნდა მაჯობოს ქართ-
ლოსმა სიტყვაშიო... ნანა ხატისკაცი
— გაუწოდა მეორემ ნიაზს ხელი. —
ნიაზ პასკისჯვარი — უპასუხა ნიაზმა.

მოსკოვში ჩავედით მატარებლით.
გადმოდგა ნიაზი და ყვირის: Носил-
ьщик!.. носильщик!.. მოგროვდნენ
მტვირთავები. არ ჩერდება ნიაზი, აგრ-
ძელეებს ყვირილს. Молодой че-
ловек, что вы кричите? — ჰკითხეს
ნიაზს. Вы все здесь? — Да, мы
все здесь. — გადახედა ნიაზმა
მტვირთავებს და უთხრა: Привет от
Тбилисских носильщиков!..

სასწაული იყო ნიაზი. გაუთავებლად
შეიძლება მასზე საუბარი...

თქვა ბატონმა ქართლოსმა და ჩაფ-
იქრდა.

— რა არის თქვენი ყვე- ლაზე დიდი შეცდომა ცხოვრე- ბაში?

— ებრაელებმა შემომთავაზეს ის-
რაელში დარჩენა. კარგ ფულს მპირდ-
ებოდნენ. როცა მოვესურვება, საქარ-
თველოში მაშინ წახვალ. არ დავ-
თანხმდი. რომ ჩამოვედი, მეგობრებმა
მითხრეს: მთელი საქართველო გარბის
და შენ რატომ არ დარჩი, ქართველი
არა ხარო? მე ვუთხარი — ქართველი
კი არა, იდიოტი ვარ-მეთქი...

— ბატონო ქართლოს, რა მოგწონდათ და რა არ მოგ- წონთ დღეს თბილისში?

— ქართული სიტყვა აღარ უნდათ
დღევანდელ ახალგაზრდებს. ფეხებზე
კიდათ ყველა და ყველაფერი. ქართუ-
ლი ესტრადო, ყვირიან. კოტრილობენ
ტიტველი გოგოები სცენაზე, უჩანთ ყვე-
ლაფერი და არის ერთი პროწიალი.
ეს არის ესტრადა? ქართული სიმღერა
აღარ უნდათ. მღერიან რაღაც სისულე-
ლეს. „ახლა ჩვენი დროა“... რა არის
ეს? ეს არაფერი არ არის. ეს არ არის
ჭეშმარიტი გზა. ეს გზა ტაძრამდე არ
მიგვიყვანს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„კოგუს და ვიგუს ჩოქოუსა და ჯულიეგუს აღაჩეგდნენ...“



კონსტანტინე დოლიძე

21 დეკემბერს, დაახლოებით 16.00 საათზე, არაერთი თბილისელი გახდა კონსერვატორიის წინ დატრიალებული ტრაგედიის მომსწრე. დღისით, მზისით, ავტომანქანა „ვოლგოდან“ უეცრად ავტომატის ჯერის ხმა გაისმა. ტყვიები ცოლ-ქმრის — ლევან ჯიმშელიშვილის, ნელი მაკაროვასა და მათი ქალიშვილის — ვიქტორია ჯიმშელიშვილის მიმართულებით გაგარდა. დედა-შვილი მაშინვე გარდაიცვალა, ლევან ჯიმშელიშვილი კი, მუცელში მიიმედა დაიჭრა, მისი სიცოცხლე დღემდე საფრთხეშია.

კონსერვატორიის წინ დატრიალებულ ტრაგედიას ძალაძის პროკურატურა განიხილავს

მეზი სანაშა

მომხდარიდან რამდენიმე წუთში პოლიციელებმა მკვლეელი — ვიქტორია ჯიმშელიშვილის ყოფილი ქმარი, 26 წლის კონსტანტინე დოლიძე დააკავეს. სამართალდამცავებმა იგი სამხატვრო აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიჭირეს, მანქანიდან კი ნახევრად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. დაკავებისას, როგორც პოლიციელები ამბობენ, დოლიძეს ავტომატის გამოყენება არ უცდია.

ამ საბედისწერო გასროლის შედეგად, სამწუხაროდ, ქუჩაში შემთხვევითი გამვლელებიც დაზარალდნენ. ორ გოგონას — 20 წლის ნანა ჟღენტსა და 22 წლის თეა ევგენიძეს ამ იარაღიდან გასროლილი ტყვიები მოხვდა. ერთ-ერთი — თეა ევგენიძე დღემდე საავადმყოფოშია, თუმცა, ბოლო ინფორმაციით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მსუბუქად დაიჭრა ადვოკატი გიორგი ნოზაძეც, რომელიც იმ დროს ჯიმშელიშვილის ოჯახის წევრებს ახლდა და მათთან ერთად უზენაესი სასამართლოდან რუსთაველის გამზირის მიმართულებით მიდიოდა.

წინასწარი გამოძიების ვერსიით, მკვლელობა ოჯახური უთანხმოების გამო მოხდა. მიზეზი, როგორც ამბობენ, უზენაესი სასამართლოში შეტანილი სარჩე-

ლი გახლდათ, რომლის მიხედვითაც, ორი წლის წინ განქორწინებულ ვიქტორია ჯიმშელიშვილსა და კონსტანტინე დოლიძეს ერთმანეთში თავიანთი შვილის — 6 წლის სოფიკოს გამო ჰქონდათ დავა. სასამართლოში საჩივარი კონსტანტინე დოლიძემ შეიტანა. იგი ყოფილი ცოლისთვის დედობის უფლების ჩამორთმევასა და თავისი მზრუნველობის ქვეშ ბავშვის გადაცემას მოითხოვდა.

სწორედ იმ დღეს, 21 დეკემბერს, მოსამართლეებმა ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო სხდომა ჩაატარეს და გადაწყვეტილება გამოაცხადეს. დოლიძის მოთხოვნა, უსაფუძვლობის — ვიქტორია ჯიმშელიშვილის საწინააღმდეგოდ არასაკმარისი მტკიცებულების გამო — მათ არ დააკმაყოფილეს.

ვიქტორია (ვიტა) ჯიმშელიშვილი და კონსტანტინე (კოტე) დოლიძე ერთ სკოლაში, ერთ კლასში სწავლობდნენ. სწორედ მაშინ შეწყვიტეს ერთმანეთი. მაშინ ვიტას მამამ შეყვარებულებს შეუღლებაზე უარი უთხრა — ჯერ სკოლა დაამთავრეთ, უმაღლეს სასწავლებელში მოეწყვეთ და მერე დაქორწინდითო. ასეც მოიქცნენ. კოტე განათლების მისაღებად, მოსკოვში გაემგზავრა. იქ ის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა (დოლიძის დედა ამჟამადაც მოსკოვში იმყოფება). ზუსტად ორ წელიწადში კოტე თბილისში

ჩამოვიდა და ვიტა ცოლად შეირთო. ახალშეუღლებულები საცხოვრებლად მოსკოვში გაემგზავრნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ საქართველოში დაბრუნდნენ. როგორც დაღუპულთა ოჯახის წევრები ამბობენ, ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებაც მაშინ დაიწყო. გარდაცვლილ დედა-შვილს ოლგა მაკაროვა — ნელი მაკაროვას დედა ჭირისუფლობს. ვიტასა და კოტეს ურთიერთობებზე სწორედ მან გვიამბო.

ოლგა მაკაროვა:

„კოტესა და ჩემს შვილიშვილს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, რომოსა და ჯულიეტას ადარებდნენ. სიყვარულიც მათსავით დაასრულეს... როცა შეყვარებულები იყვნენ, ერთმანეთთან თუნდაც უმნიშვნელო ჩხუბი თუ მოუვიდოდათ, არავინ იფიქრებდა. დღეს კი, აი, რა ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით — კოტემ, რომელსაც ვიტა სიციყემდე უყვარდა, თავისი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს...“

ყველაფერი საცხოვრებელი ბინების გამო მოხდა. კოტეს მშობლებს, მისი ბების ჩათვლით, სამი სახლი ჰქონდათ. ვიტა ითხოვდა, ერთ-ერთში მეც ჩამწერეთო, მათ კი ეს არ უნდოდათ. კოტეც წინააღმდეგი იყო — ასე კატეგორიულად რატომ ითხოვ ჩაწერასო. იჩხუბეს, ერთმანეთს აჰყვნენ და ამის გამო, დაშორდნენ კიდევ. ვიტა გაყრის შემდეგაც არ ჩერდებოდა და ჩაწერას მოითხოვდა: შვილი ჰყავდა და უნდოდა, გაჭირვებისას თავშესაფარი ჰქონოდა. ბევრი იდავეს, ბოლოს, კოტეს მშობლებმა დათმეს და ჩემი შვილიშვილი ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე, ვიტას ყოფილი ქმრის ბების ერთოთახიან ბინაში ჩაწერეს. იმ პერიოდში კოტე მოსკოვში იყო. როცა ჩაწერის ამბავი შეიტყო, გაგიჟდა, ერთი ამბავი ატეხა. თავისიანებასაც გაუბრაზდა — ვიტა ბინაში რატომ ჩაწერეთო?... ბოლო ოთხი წლის მანძილზე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. კოტე თავის მეორე ბებიასთან, ყოფილ ძერჟინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა. დროდადრო საჩხ-

უბრად აკითხავდა ხოლმე ვიტას, მაგრამ ჩემი შვილი და სიძე ცდილობდნენ, იგი სახლში არ შეეშვათ. ალბათ, წინასწარ გრძობდნენ იმ საშინელებას, რასაც ის ჩაიდენდა და ამიტომაც, მისი დანახვაც არ უნდოდათ. მეც ხშირად მითქვამს – ეს ამბავი კარგად არ დამთავრდება-მეთქი. მიუხედავად ყველაფრისა, ვიტას მაინც ძალიან უყვარდა კოტე და მასთან შერიგება უნდოდა. კოტემ კი ეს არ მონდომა, ადგა და სასამართლოში განქორწინების თაობაზე განცხადება შეიტანა. სხვა რა გზა ჰქონდა ვიტას? – დათანხმდა. ბინების გარდა, სხვა საკითხზე უთანხმოება მათ შორის არასოდეს ყოფილა, არც ერთად ცხოვრების პერიოდში და არც დაშორების შემდეგ. ვიტა ძალიან პატიოსანი გოგონა იყო. სამსახურს მორჩებოდა თუ არა, მაშინვე შინ გამოვრბოდა, თავის შვილს უყურადღებოდ ერთი წუთითაც არ ტოვებდა. როცა სტუმრად მეგობრებთან მიდიოდა, სოფიკო ყოველთვის თან მიჰყავდა. არასოდეს, კოტეს გარდა, სხვა არავინ ჰყოლია, ამას ყველა მისი ამხანაგი, ნაცნობი თუ მეზობელი დაგიდასტურებთ.

განქორწინების შემდეგ კოტე არც ალიმენტს იხდიდა და არც სოფიკოს ნახვას ცდილობდა. ბავშვისთვის პატარა საჩუქარიც კი არასოდეს მიუტანია. კოტეს დედა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს, ძალიან თბილი, კეთილი და სამართლიანი ქალია. შვილიშვილი მას უყურადღებოდ ერთი წუთითაც არ დაუტოვებია. სოფიკოსთვის გამზადებულ საჩუქრებს კოტეს უგ-

ოლგა მაკაროვა



ზავნიდა და სთხოვდა, ბავშვისთვის მას გადაეცა. კოტეს კი სოფიკომდე არაფერი მიჰქონდა. ამას რომ მიხვდა დედამისი, ამის შემდეგ საჩუქრებს ნათესავს უგზავნიდა, რათა შვილიშვილამდე ყველაფერი უკლებლივ მისულიყო. სოფიკო მას უყურადღებოდ არც ამ ახალი წლისთვის დაუტოვებია – უამრავი ტკბილეული და სათამაშო



კოტე, ვიტა და სოფიკო

გამოუგზავნა... განქორწინებამ კოტე მაინც არ დააშოშმინა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა, სურდა, როგორმე ვიტასთვის დედობის უფლება ჩამოერთმია. პროცესებზე იგი თურმე ნათესავებთან ერთად დადიოდა. ბოლო სხდომაზე, 21 დეკემბერს, როცა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გამოეცხადებინა, კოტე მარტო წასულა. მისი ნათესავები აქ იყვნენ მოსულები და ჰყვებოდნენ, – იმ დღეს ჩვენთვის, უზენაეს სასამართლოში პროცესი თუ იყო, არ უთქვამს, დილით, სახლიდან რომ გადიოდა, დავინტერესდით, სად მიდიოდა, მაგრამ უხეშად გვიპასუხა – თქვენი საქმე არ არის, ჩემს პრობლემებში ნუ ერევიტო.

ნელი, ლევანი და ვიტა სახლიდან ერთად გავიდნენ. სოფიკო ჩემთან დარჩა. მოუთმენლად ველოდი მათ დაბრუნებას, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება ძალიან მაინტერესებდა. უკვე მოსალამოვდა, ისინი კი არსად ჩანდნენ. ვცდილობდი, სოფიკო როგორმე გამერთო, ვეზუმრებოდი და ბავშვი სიცილით კვებობოდა. მთელი დამეწერიულობაში ვავატარე (ტელევიზორი არ ჩამირთავს), დილით დამირეკეს და მითხრეს – ავარიაში მოჰყვანენ და სამივენი საავადმყოფოში წვანანო. მერე ისიც შემატყობინეს, რომ უბედური შემთხვევის შედეგად, შვილი და შვილიშვილი დამეღუპა, სიძე კი უგონო

მდგომარეობაში იყო. მეოთხე დღეს, აღვოკატი – გიორგი ნოზაძე მოვიდა და მითხრა – ვიტა და ნელი კოტემ მოკლათ... ყველაზე უბედური მაშინ ვიყავი, როცა ეს გავიგე. გიორგიმ მითხრა – სასამართლოდან მოვდიოდით, ჩვენთვის, მშვიდად, ამ დროს მანქანა მოვარდა და სროლა დაიწყესო“...

სამართალდამცავთა თქმით, მანქანაში კოტე დოლიძე მარტო იჯდა. დაკითხვისას მან თავი დამნაშავედ ცნო, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ადრე პრობლემები ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ, რის გამოც ფსიქიატრთან მკურნალობდა კიდევ. გამომძიებელთა თქმით, თუ რამდენად შეესაბამება დოლიძის ეს სიტყვები სინამდვილეს, მალე გაარკვევენ, თუმცა, როგორც ისინი აღნიშნავენ, ამ ეტაპზე, დოლიძის მკურნალობის ფაქტი არც ერთ ფსიქიატრიულ დისპანსერში არ დასტურდება.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარისთვის კოტე დოლიძის ოჯახის წევრებსაც მივმართეთ, მაგრამ მათ კატეგორიული უარი განაცხადეს. კოტე დოლიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურამ გამოსაძიებლად ქალაქის პროკურატურას გადაუგზავნა. გამომძიებლები რამდენიმე დღეში ექსპერტიზის დასკვნებსაც მიიღებენ. წინასწარი მონაცემებით, ვიქტორია ჯიმშელიშვილმა სასიკვდილო ჭრილობა თავის არეში მიიღო, ნელი მაკაროვა კი, გულმკერდის არეში დაიჭრა.

მეზო სანავა

გასულ ზაფხულს, თემქის დასახლებაში მომხდარი სადისტური მკვლელობის საქმეს უზენაეს სასამართლოში განიხილავენ. პროკურატურამ დამნაშავეს, რომელმაც თავისი მეზობელი სანადირო დანით დაუნდობლად დაჩეხა, 109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში განსაკუთრებული სისასტიკით) მიუყენა.

განსასჯელი – 40 წლის, უცლშვილო, თემქის მე-4 მიკრორაიონის მე-10 კორპუსში მცხოვრები ჯიბო სადღობელაშვილი, თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ. მისი თქმით, მან, მართალია, მკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ იგი ძლიერ აღელდა და საკუთარ ქმედებებს ვერ აკონტროლებდა. სადღობელაშვილმა სამართალდამცავებს ჩვენება მხოლოდ დაპატიმრებისას მისცა. სწორედ მაშინ განაცხადა მან, რომ წონასწორობიდან იგი თავად მოკლულმა გამოიყვანა. ხოლო როცა მისი, როგორც ბრალდებულის, დაკითხვის საკითხი დადგა, მან დუმილის უფლება გამოიყენა. მას ჩვენება, ჯერჯერობით, არც სასამართლოსთვის მიუცია.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2001 წლის 13 ივლისს მე-10 კორპუსის მე-5 სართულზე მცხოვრებმა ჯიბო სადღობელაშვილმა დილის 9 საათზე მე-7 სართულზე მცხოვრებ მეზობელს – 43 წლის ვანო არჩვაძეს ტელეფონით დაურეკა და სთხოვა, მასთან ბინაში ჩასულიყო. მათ სმა დაიწყეს. საუბრისას ჯიბო სადღობელაშვილს მეზობლის ნათქვამი არ მოეწონა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და გაბრაზებულმა მისი მოკვლა განიზრახა. აიღო დიდი, სანადირო დანა და არჩვაძეს მრავალჯერ ჩაართვა. დაღუპულის მეუღლის – ინგა დრაილინგის თქმით, სადღობელაშვილი ვანო არჩვაძეს ადვილად მოერეოდა, რადგან ეს უკანასკნელი მე-2 ჯგუფის ინვალიდი გახლდათ, ფეხები სტკიოდა, ხოლო როდესაც ნასვამი იყო, სიარულიც



მოკლული ვანო არჩვაძე

ურთიერთობა ჰქონდა ვანო არჩვაძესთან. აღმოჩნდა, რომ ყველაზე კარგი დამოკიდებულება მეზობლებთან მას სწორედ ვანო არჩვაძესთან ჰქონდა.

ინგა დრაილინგი:

„ხშირად გასაღებს ჩვენ გვიტოვებდა. ნორმალური, წყნარი ადამიანი ჩანდა, მასზე ყველას ასეთი წარმოდგენა ჰქონდა. ჩვენ შორის არასოდეს არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა. ადრე რაიონში ცხოვრობდა, როგორც ამბობდა, თბილისში ბევრი ნაცნობი არ ჰყავდა და ამიტომაც, ჩემი მეუღლე ყოველთვის ცდილობდა, მისთვის მხარი დაეჭირა და უყურადღებოდ არ დაეტოვებინა.

იმ დღითაც, როცა ტელეფონით დარეკა, ვიფიქრეთ – ალბათ, რაიმე უჭირს-თქო. ტელეფონმა ზედიზედ რამდენჯერმე დარეკა. ჯიბო დაჟინებით ითხოვდა, ქმარი გამეღვიძებინა და მეთქვა, რომ მასთან აუცილებლად ჩასულიყო. ვანო ძალზედ მორიდებული გახლდათ, შორტებით სადარბაზოშიც კი არ გადიოდა. თუმცა, იმ დღით, სინქარეში ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და არც უსაუზმია – ისე, პირდაპირ შორტებითა და ოთახის ჩუსტებით ჩავიდა ჯიბოსთან.

ჩემმა ქმარმა იცოდა, რომ წასასვლელი ვიყავი, უმცროსი ქალიშვილი – 4 წლის ალისა, მისთვის უნდა დამეტოვებინა. მიუხედავად ამისა, შინ დაბრუნებას აგვიანებდა. კარგა ხანი გავიდა და უკვე გადავწყვიტე, ჯიბოსთან ტელეფონით დამერეკა. მან მითხრა – ვსაუბრობთ და ძალიან გთხოვ, შენც ჩამოდიო“.

ინგა დრაილინგის თქმით, მან ჯიბო სადღობელაშვილის ბინის სამზარეულოში შესვლისას საეჭვო ვერაფერი შეამჩნია. მხოლოდ ის გაუკვირდა, რომ მამაკაცები თითქოს სუფრას უსხდნენ, მაგიდაზე კი ორი ცარიელი არყის ჭიქისა და კიტრის ნათალის მეტი არაფერი ელაგა – არც პური, არც საჭმელი, სასმელიც არსად ჩანდა, არც რაიმე ჭურჭელი, საიდანაც არაყი ან ღვინო უნდა დაეღლიათ. მოკლულის ცოლი

სადისტურ მკვლელობაში ბრალდებულ მკვლელობის დეტალებზე არ საუბრობს

უჭირდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნით, ვანო არჩვაძეს სხეულზე 22 ჭრილობა ჰქონდა, აქედან 18 სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოებზე გახლდათ მიყენებული. როგორც დადგინდა, სადღობელაშვილმა არჩვაძეს ექვსი ჭრილობა კისრის არეში, ათი – გულმკერდში, ორი – მუცელში, სამი – ხელში, ერთი – სახესა და ერთი – წელში მიაყენა. ვანო არჩვაძე იქვე გარდაიცვალა, სიკვდილის მიზეზად ექსპერტებმა მასიური სისხლდენა დაადგინეს.

დაზარალებულის, ისევე, როგორც მეზობლების თქმით, ჯიბო სადღობელაშვილი მე-10 კორპუსში საცხოვრებლად ახალი გადასული იყო. ბინის შეძენისთანავე მან რემონტის გაკეთება დაიწყო, იმ დროს ხშირი

ირწმუნება, რომ მათ სიმთვრალე საერთოდ არ ეტყობოდათ.

ინგა დრაილინგი:

„ჯიბო უცნაურად ლაპარაკობდა, თითქოს გაბრაზებული იყო ჩემზე. აღელვება ქმარსაც შევატყვე. ჯიბომ მკითხა – გუშინ მეზობლის ქალს კიბეზე ჩემ შესახებ რას ეუბნებოდით? გამიკვირდა – შენზე რა მაქვს სალაპარაკო-მეთქი?! არადა, წინა დღით, ჩემს პირდაპირ მცხოვრებ მეზობელს კიბეზე მართლაც შევხვდი, მაგრამ საუბრისას ჯიბო საერთოდ არ გვიხსენებია. იმ ქალის შვილს გლანდების ოპერაცია გაუკეთეს და იმაზე ვლაპარაკობდით. ჯიბოსაც ეს ვუთხარი, თუმცა ჩანდა, რომ ჩემი არ სჯეროდა. იქიდან რომ მივდიოდი, ქმარს კიდევ ერთხელ შევახსენე, ბავშვი და გასაღები უნდა დაგიტოვო და მალე ამოდი-მეთქი“.

ინგა დრაილინგი, როგორც თავად ჰყვება, მეუღლეს კიდევ დიდხანს ელოდა, ის კი არ ჩანდა. გადაწყვიტა, მისთვის კვლავ ჩაეკითხა. კარზე კარგა ხანს აკაკუნა, მაგრამ პასუხს არავინ სცემდა. „კაკუნიდან ბრაზუნზე გადავედი, კარს გასაღები მთელი ძალით ვურტყი, კვალი დღესაც ეტყობა, არავინ მპასუხობდა, მხოლოდ რაღაც შიშინის ხმა მესმოდა შიგნიდან. მეზობლებშიც მოვიძიეთ ორივე, მაგრამ არსად აღმოჩნდნენ. მაშინ გადავწყვიტეთ, სახანძროსა და პოლიციისთვის შეგეტყობინებინა“.

ჯიბო სადღობელაშვილი წარმოშობით ჭიათურის რაიონის სოფელ ჭალიდან გახლავთ. მას ნასამართლეობა არა აქვს და აქამდე სამართალდამცავებისგან რაიმე უკანონო

ქმედებაში შემჩნეული არ ყოფილა. დღეს კი იგი განსასჯელის სკამზე ზის და თავისი მეზობლის, მე-2 ჯგუფის ინვალიდის, ორი მცირეწლოვანი ბავშვის მამის მკვლელობას ადასტურებს. წინასწარი გამოძიებისას გამოძიებელს მან მომხდარის შესახებ მოუთხრო.

ჯიბო სადღობელაშვილი:

„ვანო არჩვაძის მკვლელობის განზრახვა არასოდეს მქონია. მეზობლებთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყავი და ვანოსთანაც ნორმალური ურთიერთობა მქონდა, ისევე, როგორც მის მეუღლესთან – ინგასთან.“

2001 წლის 13 ივლისს, დაახლოებით დილის 8 საათიდან 9 საათამდე ვანოს ტელეფონით დავურეკე. სახლში მარტო ვიყავი, სოფელში წასვლას ვაპირებდი და მინდოდა, ვანოს ჩემი ბინისთვის ყურადღება მიექცია. ვფრთხილობდი, რადგან ერთხელ, როცა წასული ვიყავი და ბინა დავეტოვე, კარის საკეტი ნაწვალები დამხვდა.

ტელეფონის ყურმილი არავინ აიღო, მაშინ აივანზე გავედი და იქიდან ვანოს აივანს გაგხედე. იქ მისი ცოლი – ინგა იღგა. ვუთხარი – ვანო ჩემთან ჩამოვიდეს-მეთქი. დაახლოებით 40 წუთის შემდეგ არჩვაძე ჩამოვიდა, ტრუსები, „საროჩკა“ და ჩუსტები ეცვა. ერთმანეთს ჩვეულებრივად შევხვდით. ვანოს ბინის შესახებ ვუთხარი, რაზეც დამთანხმდა. მე დაღვევა შევთავაზე. სამზარეულოში შევედი, სუფრასთან დავსხდით და ორ-ორი ჭიქა არაყი დავლიეთ, შემდეგ კი ღვინის სმა გავავრძელეთ. ღვინო ორლიტრანახევრიან პლასტმასის ბოთლში მქონდა ჩასხმული. სუფრასთან ახალი დამსხდრები ვიყავით, როცა ვანოს ცოლი – ინგა ჩამოვიდა. ქმარს უთხრა – ეკლესიაში მივდივარ, ბევრი არ დალიო და სახლში არ დაგვიანო. მე და ვანომ მისი გასვლის შემდეგაც გავავრძელეთ სმა. საკმაოდ ნასვამები ვიყავით, ვანომ, როგორც ახასიათებდა, სოფლელების სადღევრძელო წარმოქვა, თან აღნიშნა – ჭიათურელები სექსუალური გადახრის მქონენი, ანუ ჰომოსექსუალობის მქონენი. ამაზე მე ვუთხარი – სუფრასთან ასეთი ლაპარაკი საჭირო არ არის-

მეთქი. ვანომ თავისი მინც განაგრძო და ისეთნაირად დაიწყო საუბარი, რომ მე მისი ნათქვამი საკუთარ თავზე მივიღე და შეურაცხყოფისგან ძალიან ავლელი. ამის შემდეგ რა მოხდა, ვეღარ ვიხსენებ. რაღაც ბრაზუნის ხმა მახსოვს ბუნდოვნად, მე იატაკზე ხელებშეკრული ვიწექი. მკვლელობა რა ვითარებაში ან რით ჩავიდინე, არ მახსოვს“.

ჯიბო სადღობელაშვილმა ჩვენებაში აღნიშნა, რომ ვანო არჩვაძეს მისი დამცირება სჩვეოდა. ერთხელ გაუფრთხილებია კიდევ – ჩემი მისამართით ცინიკურად ლაპარაკს თავი დაანებო – და ამის შემდეგ 2001 წლის 13 ივლისამდე დამცირება მისგან მართლაც არ უგრძნია. სადღობელაშვილმა ისიც დასძინა, რომ ვანო არჩვაძე სიმთვრალეში ბილწისტყვაობდა, თუმცა ამას დაზარალებული და მე-10 კორპუსის მცხოვრებლები კატეგორიულად უარყოფენ. რაც შეეხება დანას, მისი თქმით, იგი მან ორი წლის წინ ვაგზლის მოედანზე შეიძინა. როგორც გაირკვა, განსასჯელს ფსიქიატრიულ დისპანსერში არასოდეს უმკურნალია.

ჯიბო სადღობელაშვილის სიტყვებს – იატაკზე ხელებშეკრული ვიწექიო – შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელებისა და მეხანძრეების ჩვენებები ეწინააღმდეგება. წინასწარი ძიებისას მათ განაცხადეს, რომ ჯიბო ოთახში აქეთ-იქით დადიოდა და იგინებოდა. დაზარალებულის თქმით კი, ერთ-ერთმა სამართალდამცავმა ისიც აღნიშნა, სადღობელაშვილმა ფული შემოგვთავაზა ბინიდან მისი გაპარების სანაცვლოდ.

ნიკო ბილაური, პოლიციელი (წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან):

„კარი დაკეტილი დაგვხვდა, შიგნიდან ვიღაც კაცი გველაპარაკებოდა და კარს არ გვიღებდა. ბინაში აივნიდან შევედი, იქ სადღობელაშვილი დაგვხვდა, რომელსაც ხელში სისხლიანი დანა ეჭირა და უცენზურო სიტყვებით გვაგინებდა, თან მოკვლით გვემუქრებოდა, თუმცა მალე დაგვანებდა. სასადილო ოთახში, იატაკზე, სისხლის გუბეში, უძრავ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი ეგლო“.

«უროზანის» თვის მოვლის ინსტიტუტი

1. თვის სვენიზგან მკურნალობა მასაჟით, კრემით, მხანარაული ნაყენით;

2. მბჟივანი, სისხლძვანი ღრძილები მკურნალობა მხანარაული ექსტრაქტებით.

ჭავჭავაძის 5 (ვაკის „ლეჩოკმბინატი“) „მშვენიერების ცენტრი“
☎ 25 00 74.

10-18 სთ. კვირის გარდა

ეგნატე ნინთშილი

კონკია უიუვილი

— ი კარვალს კიდევ იხთის საკალანდეთ თავადი თხლეძირაძე! ნაცვალმა ჩამოთრბინა და თქვა კომლიდან სამ-სამი კაცი ნიღბებით უნდა გამოცხადდეთო! — ასეთი ამბავი დაახვედრა კონკიას მამას მისმა ცოლმა, კონკიას დედინაცვალმა.

— კიდევ კარვალი! ხომ არ გადირიე, დედაკაციო, კიდევ კარვალი რომ გადინადონ, ფუტი გაგვიცივდება! — თქვა კონკიას მამამ და სახეზე დაღრეჯილობა დაეტყო.

— შე რომ მიწყრები ჩემი ბრალია თუ! — უსაყვედურა დედინაცვალმა ქმარს, კონკიას მამას.

— ახლა ერთი შენც დაინემე! გიწყრები! მისთი, აღამიანო, იმას გიჩივი, რომ ვეტყოდი იმ ოჯახდაქცეულს — უნიღბებოდაც კაი დაჯღანულები ვართ-თქვა, ამას მაინც ვეტყოდი! — ამ სიტყვებით კონკიას მამა მიუჯდა ცეცხლიპირს მწარედ ჩაფიქრებული.

მამის და დედინაცვლის ეს საუბარი ესმოდა კუთხეში მიმჯდარ კონკიას.

კონკია ჩვიდმეტიოდე წლის გლეხის ქალი იყო. დედა ადრე დაეღუპა — მთელი დღის ნამუშიერ ქალს თავადმა თხლეძირაძემ რაღაც დავალება მისცა და ფოთში გაგზავნა. ფოთში ტივით უნდა წასულიყო და მდინარის ნაპირს იჯდა და ტივის ჩამოვლას ელოდებოდა. დაღლილ ქალს საშინლად ეძინებოდა და იფიქრა — წყალში თავს ჩავეყოფ და დავიძინებ, ტივი რომ ჩამოივლის, წყალს აადელეკებს და გამეღვიძებო, მაგრამ მაგრად ჩაეძინა, ტივის ჩამოვლა ვეღარ გაიგო და დაირჩო. ობლად დარჩენილ გოგოს ბებია და დეიდა უვლიდნენ, მაგრამ მალე ეკუციაზე ჩამოყენებული სალდათების დანახვაზე ბე-



ბიას გული გაესტკლიცა, ხოლო ამის შემხედვარე დეიდა დამუნჯდა და ასევე დარჩა. ორი წლის შემდეგ იგი გაჰყვა ერთ ჩამოვლილ ბერძენ ვაჭარს, რომელიც ნიგვზის კუნძუბით ვაჭრობდა, მაგრამ იგი უზნეო კაცი აღმოჩნდა და კონკიას დედის ცემაში ამოხადა სული.

თვით კონკიას მამა დღედაღამ მუშაობდა და ბავშვი ხან ვისთან იყო და ხან ვისთან. უკანასკნელ, მამამ ცოლი მოიყვანა, რომელსაც ორი ქალიშვილი მოჰყვა. კონკიას დედინაცვალის ქვრივი იყო. მისი ქმარი, რკინის გზის პრაუდნიკი, საკუთარ ნაღიაში ჩაიწვა და გადმოხტომა კი ვერ მოახერხა — ფეხებს ვიტკენ და სამსახურიდან გამათავისუფლებნო.

უკვე კონკიას მამაზე გათხოვების მერე დედინაცვალს სახლი ვალებში გაუყიდა და გამწარებული ქალი გერზე იყრიდა ჯავრს. განსაკუთრე-

ბით მას მერე, რაც კონკიას მამას ტყის ჭრისას მეზობლის ნაჯახს ამძვრალი პირი მოხვდა სახეში და საშინლად გაუხეჩა. ერთხელ ალესილი დანითაც გამოევიდა და კონკიამ ტყეს შეაფარა თავი. მამა აწყენარებდა — ერთი უსტაველი ქალია, ყურადღებას ნუ მიაქცევო, მაგრამ კონკია მაინც აქცევდა ყურადღებას. უკანასკნელ, მამამაც ხელი ჩაიქნია მასზედ.

სოფელ ა-ში უცბათ გავარდა ხმა, თავადი თხლეძირაძე საკალანდე კარვალს (კარნავალს) აწყობსო. ნაცვალმა მთელი სოფელი დაიარა და ყველას დაუმოწმა, არც ერთი არ დააკლდეთ, თვარა დიდი „შტრაფიაო“.

თავად თხლეძირაძეს ყოველ კალანდაზე ჩამოსვლიონ სტუმრები თბილისიდან და ამით პატივსაცემათ კარნავალს აწყობდა. მასში ა-ს მცხოვრებნიც მონაწილეობდნენ. წელს კარნავალის საქმე კარგათ ვერ იყო და თავადიც ნამეტურ ცხარობდა — არა, აჯანყებას აპირებენ, სწორეთ აჯანყებას! ამით ტყავი თუ არ დავაშპე, ისე არ იქნებო, ამბობდა ბრანზმორეული თავადი.

საღამოს პირას დაიწყო დინება გლეხობამ თავად თხლეძირაძის სახლისაკენ. კონკიას ძალიან უნდოდა წამოსვლა, მაგრამ დედინაცვალმა მხოლოდ თავისი შვილები გაამზადა. კონკია და მამამისი კი შინ დააგდო. კუთხეში მიმჯდარი კონკია მწარეთ ტიროდა, მამა კი საყვედურით ეუბნებოდა:

— ათასჯერ გაგაფრთხილე, ყოლ წუთში ტირილს ნუ მაყურებიეფ! კიდევ უფრო ბნელდება ჩემი სამალვე გული, შენ რომ მტირალს

გხედავ! ნუ გეშინია, ჩემს მეტს არაკაცს არ აწუხებს შენი ტირილი!

— ცდები, მოხუცო! — უცბათ გაისმა ხმა და კაშკაშატანსაცმილიანი ქალი გამოვიდა სახლის კუთხიდან.

— მეჩვენება, თუ რაა აი! — შესძახა კონკიას მამამ. თვით კონკია კი, შიშით და აღტაცებით დამუნჯებული, ხმას ვერ იღებდა.

კაშკაშა ქალმა ხელი გაიშვირა და კონკია უცებ მდიდრულ ტანსაცმელში მოირთო.

— ჩემი კანოლიერი შეილია აი?! — შეჰყვირა ლამის ჭკუაზე გადასულმა მამამ.

— ნუ გეშინიათ, მე კეთილი ფერია ვარ. შენ აქ დარჩები მოხუცო, ეს გოგონა კი კარნავალზე წავა. — თქვა ღიმილით ფერიამ.

— ასეთე მარტო? — ხმის კანკალით იკითხა კონკიამ.

— გარეთ ეტლი და მსახურები გიცდიან. შენის სიპატიოსნით და გამორჯვებით დაიმსახურე. ხელი მომეცი, წავიდეთ. — მიუგო ფერიამ.

— აჰ, მეც თუ არ წამევედი, ისეთ რაფრა გაგატანოთ ჩემი შვილი! — ძალობდა მამა. — რა ვიცი, რას იუტეხავთ!

— ბატონო, რავა გგონია, თქვენი საფარცაგოს მეტი საქმე არაფერი მაქვს მე? შენი შვილის ბედნიერებისა მოვხთი ამ ყრუი ალაგს! — გაუწყრა ფერია და კონკია წაიყვანა.

— მეხარჩა ჩემი გული, ნენა! — სასოწარკვეთით შესძახა მარტოდ დარჩენილმა მამამ.

კარნავალი უკვე გაჩაღებულიყო. თავადი თხლეძირადის სტუმარი, ახალგაზრდა თავადი უქმაძე აღტაცებით ეუბნებოდა მასპინძელს:

— Какая красавица! Я, брат, очарован! Эта сельская Венера! სანეხვეზე ვარდი ამოვაო, რომ იტყვიან, ეს არის! ვინაა, თუ იცი?

— როგორ არ ვიცი! მასკა კი აუფარია, მარა არ ვიცნობ გგონია? ერთი უღარიბესი გლეხის შვილია, ჩემი ნაყმევის. — მიუგო თხლეძირადემ.

— Какой чёрт! Какой скандал! მაგრამ იცი რა? მე მაგის

მეტი ქალი არ მინდა ცოლათ. — ამბობდა უქმაძე.

— გადირიე? ისე გვერთე, თუ გინდა, ვინ გიშლის, მარა...

— უკაცრაოთ! მაგეების დრო წავიდა! იურისპრუდენციას მიტოპი არ დავუფლე, რომ გლეხის ქალები ვაბახო... Святая кровь...

— იძახდა უქმაძე და ისევ თავის რჩეულს მიაშურა, რომელთანაც უკვე რამდენჯერმე ეცეკვა.

კონკია მისმა დედინაცვალმაც იცნო და დიდი ხანია ქორივით უმზერდა. რომ დაინახა, უქმაძე მეოთხეთ მივიდა მასთანო, ისიც ახლოს მიჩოჩდა და თავის გერის ხმა გაიგონა:

— არა, ტყულა ნუ ფიცულობ, არ მოხერხდება ეს! შენ ამისთანაი კაი ხარ, თავადიშვილი, ნასტავლი, მე ერთი საცოდავი ყაძახის ქალი, ერთი ანბანიც არ ვიცი!.. არა, არ იქნება-მეთქი!

მაშინ უქმაძემ უბიდან წითელ ხავერდში გამოკრული პატარა საჯიბე ხატი ამოიღო და დაიწყო:

— ვფიცავარ ამ ნაწილიან ღვთისმშობლის ხატს, რომ მე, შენ გარდა სხვაი ქალი არ შევიერთო. აჰა, გჯერა თუ არა?

— არასფრით არ იქნება მაი! — უკნიდან შეჰკივლა დედინაცვალმა.

ყველა შეჩოჩქოლდა და მობრუნდა.

— სახლში წითერიე, შე საზიზღარო! — ჰკიოდა გაავებული ქალი.

— მომითრიეთ აქ! — ბრძანა თავადმა თხლეძირადემ.

მსახურებმა დედინაცვალი მიუყვანეს.

— ვინ გასწავლა შენ ბატონის სახლში ასე მოქცევა? — მკაცრად ჰკითხა თავადმა.

— მე არა, ბატონო, მან გამამწარა და მომინელა... — მიუგო შეშინებულმა დედინაცვალმა, მაგრამ თავადის მათრახმა დაატოვე-

ბია დანარჩენი სათქმელი:

— აა, შენ ღდინძალლო! აა! აჯანყებას აპირობენ ნამდვილათ... წათრიეთ ეს დედაკაცი, ოცდაათი წიკეპელი მიარტყით და დედიან-შვილიანათ გაყარეთ აქედან! შენ კი, ჩემო ივანე — თავად უქმაძეს მიმართა მან. — რაკი შენსას არ იშლი, რას იზამ, გზა დამილოცია, მარა ამ სახლში ვეღარ შემოხვალ, იცოდე!

აქ უკვე უქმაძემ მოჰკიდა ხელი კონკიას და კარისკენ წაიყვანა.

მეორე დილით სოფლის მწერალმა მოსე გულფუჭაძემ კანცელარიის წინ თავგამომრჩვალი ქალი ნახა.

ეს იყო კონკიას დედინაცვალი. ხალხმა წაიღო და დამარხა იგი უკურთხებელს მიწაში.

რაც შეეხება კონკიას, მან ჯერისწერამდე ვერ მიატანა — იმ დღეს განცდილი ელდისაგან დაავადდა და მამისა და საქმროს ხელებში გარდაიცვალა.

აი, ეს გახლავს, ჩემო მკითხველო, იმ კონკია უიშვილის ისტორია, რომლის სახელი და გვარი სათაურათ გამოვიტანე.

თენგიზ თხილაკა





კახიანების და ცირცვაძეების ახალ წელს ოჯახში შესვლიან

ეკა კახიანი შიშობს, რომ ბოლო დროს მასთან ჩანერილი უამრავი ინტერვიუ მკითხველის გაღიზიანებას გამოიწვევს და ჟურნალისტების აქტიურობა მის წარმატებულ საქმიანობას დათვურ სამსახურს გაუწევს. თუმცა, „კვირის პალიტრის“ „მკითხველის რეიტინგში“ ახლახან გამოქვეყნებული შედეგები გვარწმუნებს, რომ ეკას შიში ამაოა და კახიანების ოჯახური დუეტი ღირსეულად ინარჩუნებს პოპულარობას. მკითხველმა იმედა და ეკა კახიანები ყველაზე პოპულარულ მამა-შვილად დაასახელა. ამ შესანიშნავ „დუეტს“ კახიანების ოჯახიდან შოუბი-

ზნესის ამომავალი ვარსკვლავი ნინი ბადურაშვილიც შეემატა. ამიტომაც, შესაძლოა, სულ მალე ყველაზე პოპულარული ოჯახური „ტრიოს“ ამპლუაშიც ისევე კახიანები ვიხილოთ. მანამდე კი, პოპულარული მამა-შვილისაგან შევიტყობთ: სად და როგორ შეხვდებიან ახალ 2002 წელს; ვინ იქნება მათი ოჯახის მეკვლე და ცოტ-ცოტა ამბავს წარსულიდანაც გაისხნებენ, ანუ შეიტყობთ, როგორ გადაურჩა იმედა კახიანი ერთ ახალწლის დილას ცემატყეპას და როგორ იხსნეს იგი დავიდარაბისაგან მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა.

ეკა ლომიძე

— ბატონო იმედა, თქვენს ბავშვობაში როგორ ხვდებოდით ახალ წელს?

— ახალი წლის შემობრძანებას მთელი წელი ველოდებოდით ბავშვები და შეკრებებისა და მოლენებისთვის ამ დღის აღნიშვნა საუკეთესო მიზეზი იყო. სკოლაში, ყველა კლასში დიდი ფაციფუცი იწყებოდა. ფულს ვკრებდით სუფრის გასაწყობად. ბიჭები 20 და გოგონები 10 მანეთს.

— ძლიერი სქესის წარმომადგ-

გენლების უფლებათა შელახვა ხდებოდა, თუ ნამეტანი ჯენტლმენობის გამო იღებდით თქვენს თავზე მეტ ხარჯს?

— არა, ბიჭები ღვიზს ვსვამდით, გოგონები კი — არა, ამიტომაც მათ ნაკლები თანხის გადახდა უწევდათ. შევიკრიბებოდით რომელიმე ჩვენი ამხანაგის ოჯახში და მშვენივრად ვატარებდით დროს. ჩემს ბავშვობაში მოდაში შემოვიდა ევროპული ცეკვები, ჰოდა, ჩვენც დიდი ამბით ვიწონებდით ერთმანეთის წინაშე თავს. აბა, ჩემო ბატონო, თამადა რომ იტყოდა,

ახლა „პერერივს“ ვაცხადებ და დასცხეთ „ტანციო“, წუთში ცარიელდებოდა სუფრა და ტანგოს საცეკვაოდ ვიყავით მზად.

— რომელიმე გოგონასთან კავალრობისთვის ხომ არ მოგსვლიათ ბიჭებს ჩხუბი?

— არა, ბატონო, არა, მაგრამ ერთი ამბავი არ მავიწყდება არაფრით: ნახალოვკაში, გადასასვლელ ხიდან აფთიაქი იყო. იმის თავზე მცხოვრებ ოჯახში შევხვდი ერთხელ ახალ წელს. გვარს ვერ ვიხსენებ იმისას, ვისთანაც ვიყავი. დიდი ღრო გავიდა. ჩემი კლასელი ბიჭები რალაცნაირად

დაუახლოვდნენ ნახლოვებულ გოგონებს. მეც გამაცნეს, ჰოდა, ახალი წლის მოახლოებისას გოგონებმა შემოგვთავაზეს მათთან ერთად გვევლინებოდა რომელიმე მათგანის ოჯახში. მაშინ ქალთა და ვაჟთა სკოლები ცალ-ცალკე იყო (ბოლო კლასებში გოგო-ბიჭები უკვე ერთად ვსწავლობდით), ამიტომაც ჩვენ, ბიჭებმა გოგონებთან უკეთ დაახლოების შანსი ხელიდან არ გავუშვიტ და 31 დეკემბერს მასპინძელ ოჯახს ვეწვიეთ. მაშინ როგორმე უნდა მოგეხერხებინა და დილაძე გაგვერძელებინა ქეთი. ოჰ, მთელი ღამე ღონისძიება გაატარეთ — რომ იტყვი, ეს დიდ ვაჟაკ-ცობად ითვლებოდა. იმ ღამეს ჩვენც ვივაჟაკავდათ და სულ ჭერში ქულების სროლასა და მხიარულებას ვაგვატარეთ.

— უფროსი თაობისგან მსმენია, რომ თქვენს სიყმაწვილეში გოგონებთან სხვა უბნელი ბიჭების სტუმრობა დიდ გმირობად ითვლებოდა. ალბათ თქვენ შორის ვინმე იყო ნახლოვებული?

— რომ არ იყო, საქმეც მაგაშია. დილით გამოვიღეთ სახლიდან, დაგვინახეს ნახლოვებულმა ბიჭებმა, რომლებიც იქვე კუთხეში იდგნენ, გაგვეჭიბნენ წინ და საქმის გარჩევა დაგვიწყეს. ამ დროს „ჩამოფრინდნენ“ მალიდან ჩვენი მასპინძლები. მე დამავლეს ხელი და ზევით ამიყვანეს. ჩემი მეგობრები კი ნახლოვებულ ყოჩებს შეატოვეს. რა თქმა უნდა, ჩხუბში მონაწილეობას, სახლში ყოფნა მერჩინა, არასდროს ვყოფილვარ მოჩხუბარი. ქვეით ვაწვე-გამოწვევა დაიწყო, ბიჭებს ერთ-ორი კი მოხვდათ, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მაშინ თოფ-ხანჯლობა და კაცისთვის ყელის გამოჭრა არ ხდებოდა.

— თქვენ როგორ დაიძვრინეთ თავი ნახლოვებიდან?

— ჩხუბი რომ დამთავრდა და ყველანი წავიდნენ, გოგონებმა ჩამომატილეს. ჩემი მეგობრები სულ მაყვედრიდნენ, — აი, როგორი ყოფილხარ — ჩვენ მივვატოვე და გოგონებთან წახვედი... მე თავს ვიმართლებდი: აბა რა ვიცოდი, ჩხუბი თუ მოხდებოდა-მეთქი, არადა, ყველაფერს ფანჯრიდან ვხედავდი. აი, ახლა ვტყვლები (იციან).

— მეკვლის როლში თუ ყოფილხართ სმირად?

— არც ბავშვობაში და არც მერე მეკვლედ არ ვყოფილვარ. მე მარტო ვცხოვრობდი „პლენანოვზე“ (დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი. — ავტ.), მამაჩემი რეპრესირებული იყო, ოჯახის დანარჩენი წევრები კი, სოფელში დარჩნენ. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობისმოყვარე ბიჭი ვიყავი, მეზობლებისთვის სასურველი მეკვლის იმიჯი ვერ შევიქმე-

ნი... ახლა კი, ჩვენს ოჯახში ბავშვები არიან მეკვლები: გავლენ 12 საათის შესრულებამდე გართ, მერე შემოდინ, იწყება მილოცვები და ცოტა ხანში, ყველა სადღაც მიდის, მეგობრებთან ერთად სამხიარულოდ. წელსაც, საკუთარ ოჯახში შევხვდებით ახალ წელს და მერე შეიძლება მეც წავიდე სადმე.

— სანდრო ცერცვაძის ოჯახში როგორ ხვდებიან ახალ წელს?

— ისე, როგორც კარგ ქართულ ოჯახს შეეფერება. ამ ამბავს ეძღვნება ფილმის ორი სერია და ნახავთ, რომ ცერცვაძეები თავს არ შეირცხვენენ.

— გიორგი ცერცვაძე ალბათ ისევ დათვრება.

— დათვრება, აბა რა, სულ წავიდა ხელიდან... ევროპაში რომ დაფრინავს, იქაური ლამაზი ქალების შემხედვარე, გალოთდა.

— ისე, ამ ბოლო დროს არც სანდრო ცერცვაძე იყო ნაკლებად აცუნდრუკებული.

— მტრები მყავს, მტრები! რა მიქნეს კაცს ეს, ჰა? ხან ინგლისურად მარშიყვს და ხან თინეჯურულად მბლატავს, თუმცა სიყვარული არასდროს არის დაგვიანებული. ამიტომაც — რა მოხდა, თუ სანდროსაც ამ ასაკში ვინმე შეუყვარდა?! ვაცადოთ, ხელს ნუ შეუშლით.

— იმედა კახიანიც ასე ფიქრობს?

— დიას.

— საახალწლოდ ალბათ დიდი თავსატეხი გაქვთ — ოჯახში ქალების არმია გყავთ. 6 ქალისათვის საჩუქრების შერჩევა ხუმრობა არ უნდა იყოს...

— ყველას ვუძღვნი პატარ-პატარა საჩუქარს. მეც მიყვარს საჩუქრები, თუმცა ღირებულების მიხედვით არ ვარჩევ — ყურადღება მსიამოვნებს. სამაგალითო ქმარი კი არ ვიყავი, მაგრამ ჩემი მეუღლე ბაზარში რომ გამეზავნიდა, იქიდან ყვავილის წამოღება მისთვის არასდროს მაგიწყდებოდა. ჩემი მეგობარი ბიჭიკო კვინისხამე გიჟდებოდა — რა აფერისტი ხარ, როგორ ახერხებ ეშმაკობასო! სულ ვკამათობდი, რა შუაშია ეშმაკობა? ერთი კონა ია რომ მიუტანო მეუღლეს, ამას დიდი ფიქრი უნდა? რა სჯობია, ქალს რომ ასიამოვნებ. მერე როგორ იციან ქალებმა დამახსოვრება?!

ბატონ იმედასთან დიალოგის შემდეგ მის მშვენიერ ქალიშვილსა და შესანიშნავ პარტნიორს — **ნკა კახიანს** წავართვი რამდენიმე წუთი.

— როგორც ჩანს, ის, რომ ზოგადად თხის რქა ხარ, რაღაცას მართლა ნიშნავს და შენს ცხოვრებაში მნიშვნელო-

ვანი მოვლენები ალბათ ამიტომაც ხდება დეკემბერსა და იანვარში?

— ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა 1985 წლის 27 დეკემბერს მოხდა, როცა ჩემი პირველი ქალიშვილი — ნინი დაიბადა. ახალ წელს სამშობიაროში შევხვდით. დედ-მამაც ჩვენს სიახლოვეს ტრიალებდა — სამშობიაროსთან იდგნენ. ორში, ბედობის დღეს გავეწერეთ და ოჯახს ვესტუმრეთ.

— კარგი რამ დაგბედებიათ...

— ბავშვების სიმრავლე დავბედე. მას შემდეგ ჩემს ოჯახში ყოველ 7 წელიწადში ჩნდება ბავშვი. დედაჩემი ხუმრობს — ეკას 7 წელიწადში ერთხელ ახსენდება, რომ შვილი უნდა გააჩინოსო...

— ახლა როდის გინევეს მორიგი მე-7 წლისთვის მზადება?

— არა, არა, ამჯერად მგონი ნამდვილად დავამთავრე. ჩემი სამშობლოს წინაშე, სამი შვილის გაჩენით მგონი, მოვიხადე ვალი. სულ მიკვირს, ერთი შვილის დედები რომ მეკითხებიან — როდის აჩენ მეოთხესო? ვლიზიანდები ხოლმე.

— შენი მრავალშვილიანობა ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ძმის გარდაცვალების შემდეგ მართლობა განუხებდა...

— ეს საშინელება! მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მეგობარი მყავს, ღვიძლი დამა მინც სულ სხვაა. ჩემს შვილებს სულ ვეუბნები, რომ მოვა დრო და მაღლობას მეტყვიან იმის გამო, რომ სამი არიან. სამი და — ხომ მშვენიერია? კეთილი შურით მშურს მათი...

— გადავიდეთ მეორე ღირსშესანიშნავ მოვლენაზე, რომელიც ასევე



ტესტი ერუდიციისაზე

1. ანსამბლი, რომელიც ჩამოაყალიბა ედუარდ სეფაშვილმა 1960 წელს:



- ა) „ორერა“;
- ბ) „ლილე“;
- გ) „დიელო“.

2. რომელი იმეხა უახლოესი ნაკიანი (366 დღე) წელიწადი?



- ა) 2003;
- ბ) 2004;
- გ) 2005.

3. დმიტრი შოსტაკოვიჩის განსაკუთრებით უყვარდა ძარბული:



- ა) მუსიკა;
- ბ) ფეხბურთი;
- გ) ბუნება.

4. ჩამოთვლილთაგან რომელი მს/შ-ის მუსიკა არ დაუნერხია რეჟისორ ლადიქსმა?



- ა) „საბუღარელი ჭაბუკი“;
- ბ) „ჯარისკაცის მამა“;
- გ) „შეწყვეტილი სიმღერა“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ახალ წელს უკავშირდება.

– ოლონდ, ძველით ახალ წელს: მიხეილ თუმანიშვილის თეატრში პირველად ვითამაშე სპექტაკლში „ჭკუისაგან მჭირს“. ჩემი მეგობარი გიგა გველესიანისთვისაც სადებიუტო იყო ის დღე. მეორე დღეს, ძველით ახალი წელი დგებოდა. ამიტომაც გიგამ გადაიხადა სუფრა და მთელი სამეგობრო დააბატიჟა. მათ შორის იყო ჩემი მომავალი მეუღლე – ნიკო თოფურაძე, რომელიც წინა დღეს სპექტაკლზეც ყოფილა. ეტყობა, მაშინვე ჩაგუგავრდი გულში. გიგასთან რომ მოვიდა, მეც მომეწონა და, როგორც ჩანს, შორით უხილავი ძაფები გაიბა ჩვენ შორის მყისვე...

— ახალ წელს დაწყებული რომანი ქორწინებით დიდხანს არ დაგვირგვინდა?

– არა, სექტემბერში დავექორწინდი. მერე ნიკოსთან ერთად, ორჯერ ამერიკაში შევხვდი ახალ წელს. ორი წელი იქ ვცხოვრობდით. ვაშინგტონში ულამაზესია ახალი წელი. ყველაფერი განათებულია და ბრწყინავს. თუმცა, ამერიკელები შობის დღესასწაულს უფრო განსაკუთრებულად აღნიშნავენ, ვიდრე ახალ წელს. ვაშინგტონის ცენტრში დგამენ უზარმაზარ ნაძვის ხეს და მის გარშემო თითოეული შტატიდან ჩამოტანილი პატარა ნაძვები ღვას. საოცარი სანახაობაა.

— ამერიკელ მეგობრებთან ერთად ზემოზნით?

– იქაური ქართველები მოდიოდნენ ჩვენთან ახალ წელს, დილაძე რჩებოდნენ და ერთად ვილხენდით.

— როგორი სუფრა იშლებოდა თქვენს ოჯახში?

– ტრადიციული ქართული. მე გამორჩეული დიასახლისი არ ვარ, მაგრამ ყველაფრის გაკეთება შემიძლია. თუმცა, აქ

არასდროს მიკეთებია ნიგვზიანი კერძები, ლობიანი და ხაჭაპური. იქ კი დიდი ხალხისით ვაკეთებდი და ძალიან გემრიელი გამოდებოდა ყველაფერი. იქიდან ჩამოსული ჩვენი მეგობრები, დელაჩემს რომ უყვებოდნენ ჩემი შესანიშნავი კულინარიის შესახებ, სულ უკვირდა და არ სჯეროდა. ამერიკაში ცხოვრობს ჩემი მამამთილიც – უკვე 25 წელია იქ არის მარტო. მისთვის ყველაზე მეტად ვინდობდები კარგი საჭმელების მომზადებას: მინდოდა, რომ მესამოვნებინა.

— ბავშვობაში როგორ ხვდებოდა ახალ წელს?

– „მზიური“ გადაძვირდა, ხშირად, სხვადასხვა ადგილის მიწვევა ახალი წლის შეხვედრა. ერთხელ, მატარებელში მოგვისწრო ახალმა წელმა და მასსოვს, მთელი ვაკონი და კუპები როგორ მოვრთეთ ნაძვის ხის სათამაშოებით.

— ლელა დეკანოზიძე და ლილია როგორ ხვდებოდნენ დღესასწაულს?

– ორივე მოგილოცავთ ახალ წელს, ოლონდ აღარ მასსოვს, რომელი როგორ გამოგეცხადებთ: უკვე იმდენი რამე გადავიღეთ, რომ სად რომელ ამპლუაში ვიქნები, ამომგარდა თავიდან.

— ოცნება, რომელიც გინდა ახალ წელს აგისრულდეს.

– ალბათ ისევ ბანალური სურვილები მექნება: მინდა ჩემი ოჯახი, მეგობრები – ყველა კარგად იყოს და საქართველო, ჩემი ქვეყანა, რომელიც ძალიან მიყვარს, გალადებული ვნახო.

— სად შეხვდები ახალ წელს?

– ტრადიციულად – შინ. მერე მეგობრებთან ერთად ფილარმონიაში მივდივარ. ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი ჟურნალის საშუალებით, წინასწარ ყველას მოგილოცავთ ახალ წელს!

მარცხნიდან, ღვანან: ნინი, ეკა, ანი. სხედან: იმედა, ქეთევანი



ქალბატონი პილინა ლუნდი ზურაბაშვილების დიდი ოჯახის დიდებდა. მის სახლში მოხვედრილი, სულ სხვა სამყაროში გრძნობ თავს. ძველი ალბომები, ნივთები, ძველი ავეჯი, ბატონი ავლიპ ზურაბაშვილის სამუშაო მაგიდა, ნიგნები, მისი დიდი სკულპტურა — ყველაფერი ერთად გაგრძნობინებს, რომ ქალბატონი პელენა უაღრესად საინტერესო პიროვნებაა.



პელენა ლუნდი

ქალბატონი პილინა ლუნდი

ნაწილი უაღრესად საინტერესო

ლელა ჩიყაშვილი

სასადილო ოთახში დიდი, ოვალური მაგიდის გარშემო ხშირად იკრიბებიან მისი შვილები: ზიგურდ და ზურაბ ზურაბაშვილები, შვილიშვილები, რძლები, შვილთაშვილები... ცარიელი რჩება მაგიდის თავში მდგარი სკამი, რომელზეც ბატონი ავლიპი ჯდებოდა ხოლმე. ის დიდი პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც მეუღლის მიმართ მთელი სიცოცხლე ატარებდა, შვილებსა და შვილიშვილებს მამისა და პაპის მიმართ უნერგავდა, ყველაფერში იჩენს თავს. ქალბატონი პელენა, მართლაც, ისეთი დედა და დიდებდა, ყველა ოჯახი რომ ინატრებს. წარმოშობით შვედი, სად ან როგორ შეახვედრა ბედისწერამ ქართველ მეცნიერს, ძალიან ვვანტერესება და პირველად, სწორედ ამის შესახებ ვკითხეთ:

— მაშინდელ ლენინგრადში, ერთ-ერთი ახალი წლის დღეს, ნაცნობმა მოიყვანა ჩვენთან ბატონი ავლიპი. იქ გავიცანი პირველად. მის მიმართ მქონდა და დღესაც მაქვს დიდი პატივისცემის, მაღლიერების და სიყვარულის გრძნობა. მე 17 წლისა ვიყავი, ის — 33-ის. თითქმის 60 წელი ვიცხოვრეთ ერთად და ერთხელაც არ გვიჩნებია. ის კი არა და, ხმამაღალი საუბარიც კი არასოდეს გვქონია. შვილიშვილები დაბეჭდვით, ოჯახში მათაც კი არავინ უყვიროდა, თუკი რაიმეს დააშავებდნენ. ჩემი მეუღლე ძალიან გაწონასწორებული პიროვნება გახლდათ. მეც ისეთი ოჯახის შვილი ვიყავი, რომ არასოდეს არც ჩემთვის უყვირია ვინმეს, არც ჩემი თანდასწრებით...

— ვიცო, წარმოშობით შვე-

დი ბრძანდებით, როგორ მოხვდა თქვენი ოჯახი ლენინგრადში?

— მამაჩემი ალფრედ ნობელთან მუშაობდა. ჯერ კიდევ მეფის დროინდელ რუსეთში ნობელმა თავისი ოფისი გახსნა. მას ჩამოჰყვა მამაჩემი — განათლებით ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი. მას და ნობელის ვაჟს — რუდოლფს ერთი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდათ დამთავრებული. სხვათა შორის, რუდოლფმა მონათლა ჩემი უფროსი ძმა, რომელსაც მის პატივსაცემად, ასევე რუდოლფი დაარქვეს. სამწუხაროდ, ის 2 წლის ასაკში გარდაცვლილა. ამ ტრაგედიიდან, ორი თვის შემდეგ დავბადებულვარ მე, ხოლო კიდევ ორი თვის შემდეგ — მამაჩემი გარდაცვლილა. დედაჩემი ცუდ დღეში ჩავარდნილა, ძვირფასი ადამიანების საფლავების მიტოვება არც უფიქრია... 1918 წელი იდგა. ნობელმა მას დახმარების ხელი გაუწოდა — კანცლარიაში მიიღო სამუშაოდ. 1919 წლამდე დედა იქ მუშაობდა. შემდეგ ქვეყანაში გაუსადღისი პირობები შეიქმნა. ნობელი წავიდა... ჩვენ არც წასვლის უფლება მოგვცეს, არც მიმოწერის, არც საბჭოთა პასპორტი, რომ დედას შედარებით მშვიდად ეცხოვრა და ემუშავა. მხოლოდ 1928 წელს მისცეს საბჭოთა მო-

პელენა ლუნდი და ავლიპ ზურაბაშვილი. გასული საუკუნის 30-იანი წლები

ქალაქობა. არ შემომრჩენია არც ერთი ფოტო მამაჩემისა, რომელიც ნობელთან იქნებოდა გადაღებული: მასსოვს, დედა როგორ წავადა ყველაფერს — რალაც ღოკუმენტებს, სურათებს. მაშინ უკვე დამხმარე აღარ გვყავდა ოჯახში და ის თვითონ გვიდა ფერფლს... საშინელი შიში იყო ირგვლივ გამეფებული... და აი, მაშინ 1935 წელს გამოჩნდა ავლიპ ღვთის ძე... მან დამამშვიდა, ნუ გეშინია, თუკი დედაშენს ციხიერში გადასახლებენ, ჩვენც იქ წავალთ. მე შემძრა ამ სიტყვებმა, რომ მასსენდება, დღემდე მაღლიერებით ვივსები.

— თქვენ საქართველოში გამოპყევით ბატონ ავლიპს. ძალიან გაგიჭირდათ, აქაურობას რომ შერეოდით?

— აქ შესანიშნავად დამხვდნენ: ჩემი მამამთილი საუცხოოდ ფლობდა რუსულს, ის მღვდელი იყო, თუმცა, საბჭოთა ხელისუფლება აღარ აძლევდა ქადაგების უფლებას. მას 7 წლიდან თავადი დადიანი ზრდიდა. როცა დადიანი ნოსირში წავიდა, ისიც წაიყვანა. 25 წლისა რომ შესრულდებოდა, უკითხავთ: მღვდლობა გირჩენია თუ ბერობა... დედამის ერთადერთი ვაჟი ჰყავდა და დაჟინებით მოუთხოვია, ჩემი შვილი მღვდელი გახდესო. შერთეს ცოლი... მათ ოთხი შვილი შეეძინათ: ამბროსი, რომელიც შემდეგ მოკლეს, ავრაფინა, რომელიც ახალგაზრდა, კლექით გარდაიცვალა, ანთიმოზი და ავლიპი. შვილები მხოლოდ ჩვენ გვყავდა.

— ვიცო, თქვენი შვილიშვილებიც კი დიდ დროს ატარებდნენ თქვენთან. ასეირნებით, თეატრში, ეკლესიაში დაატარებდით...

— ეკლესიაში არ მიტარებია, იმიტომ, რომ მე ლუთერანი ვარ, ჩემი შვილები და შვილიშვილები — მართლმადიდებლები.



ინფორმაციულ-მედიისა და კულტურის

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ძველი კელტების ქურუმებს დრუიდები ერქვათ.

2. ფლამინგოს ევოლუციის ვარდისფერ კაპრიზს ეძახიან.



3. იაპონიამ ამერიკაზე 18-20 საათით ადრე შეაბიჯა XXI საუკუნეში.

4. დღეს მსოფლიოში დაახლოებით ერთი მილიარდი წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანია.

5. „მარყუჟი“, „კასრი“, „შტოპორი“, „ვირაჟი“ – ეს სია უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების ჩამონათვალია.

6. არნოლდის რაფელეზია პარაზიტული მცენარეა. მისი ყვავილი, რომლის დიამეტრიც 1 მეტრს აღწევს, 4-6 კგ-ს იწონის და ლემის სუნი ასდის.

7. ძველი რომის ძირითად საზოგადოებრივ ერთეულს გვარი (გენს) წარმოადგენდა. 10 გვარი კურიას უდრიდა. ხოლო ათი კურია – ტრიბუსს. სამი ტრიბუსი „რომაელ ხალხს“ (ოპულუს ლომანუს) შეადგენდა.

8. მდინარე რაინი გერმანიის, შვეიცარიის, ლიხტენშტეინის, ავსტრიის, საფრანგეთის და პოლანდიის ტერიტორიაზე ჩამოედინება.

9. თურქები იანიჩართა ჯარს ოსმანთა იმპერიაში შემავალი ქრისტიანული ქვეყნებიდან წამოყვანილი და გამაჰმადიანებული ახალგაზრდებისაგან ქმნიდნენ.

10. იუპიტერის თანამგზავრი განიმედი, რომელიც ჯერ კიდევ გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა, მზის სისტემის პლანეტათა თანამგზავრებს შორის ყველაზე დიდია.

11. ყირგიზული ხალხური ეპოსი „მანასი“ ყველაზე დიდ პოემად ითვლება მსოფლიოში. იგი 500 000 სტრიქონისაგან შედგება.

12. „გრუზია სამა ხოჩეტ იზ საიუსა უიტი, ა აფხაზცეც ი ასეტინ პაჩემუტა ნე ატპუსკაეტ.“ – ეს ფრაზა ალექსანდრე სოლჟენიცინს ეკუთვნის.

13. ატამანი, კოშევი, ხორუნჯი, იასაული და სოტნიკი კახაკთა სამხედრო ჩინებია. ემელიანე პუგაჩოვი თავის დროზე ხორუნჯი იყო.

14. „დედაჩემი ბატის ზღაპრები, ანუ გარდასულ დროთა დამრიგებლური ამბები და ზღაპრები“ – აი, ასეთი უცნაური სახელი ერქვა ზღაპრების კრებულს, რომელმაც შარლ პეროს მოუხვეჭა სახელი.

თეატრში კი ყოველ კვირას ვატარებდი. სკოლის შემდეგ ჩემთან მოდიოდნენ. მოსწონდათ აქ სადილობა. სულ მეუბნებოდნენ – შენთან ერთად ყველაფერი ხალისიანიაო. მეც თავს არ ვზოგავდი. უნდა გენახათ, როგორ ვთამაშობდი მათთან ერთად: ზოგჯერ მაგიდის ქვეშაც კი შევძვრებოდი ხოლმე ბავშვებთან ერთად! ახალ თამაშებსაც ვიგონებდი... იცით, ჩვენ, ჩრდილოელებს სულ სხვანაირი ფანტაზია გვაქვს: ეტყობა, ხანგრძლივი, თოვლიანი ზამთრის დროს, მოწყენილობის დასაძლევად, ბუნებამ ამ ნიჭით დაგვაჯილდოვა. მიეკარდა ბავშვებისთვის დღესასწაულის მოწყობა. სააღდგომოდ შოკოლადის კვერცხებს ვუმზადებდი და ვმალავდი ზოგს მაგიდის ქვეშ, ზოგს კარადაში, მერე კი ვეუბნებოდი ბავშვებს: კურდღელმა კვერცხები მოიტანა, ძაღლმა კი დაუყუფა, შემინებული ბაჭია გაიქცა, კვერცხები მიმოიფანტა და ახლა მოძებნეთ-მეთქი. ისინიც ეძებდნენ... საახალწლოდ თოვლის პაპის ფორმას კვირავდი, ბაბის წვერულვამს ვამზადებდი და ჩვენი ოჯახის რომელიმე მეგობარს ჩავაცემედი ხოლმე. ძალიან უხაროდატ პატარებს...

— თქვენ ძალიან ახსენეთ, ფოტოებიც ვნახე. როგორც ჩანს, თქვენს ოჯახში ცხოველები უფარდათ?


— რა აღარ გვეყოლია: ორჯერ ძალიან გვეყვდა, კუ, ზღარბი, თქვენ წარმოიდგინეთ – ერთხელ ბიჭებმა არწივიც მომიყვანეს. ეზოში ჯაჭვით დააბეს. მე ბრეზენტის ხელთათმანებს ვიცვამდი და ისე ვაჭმედი. როგორ გადავრჩი, რომ თვალები არ ამოვიკორტნა, არ ვიცი! მერე იმ არწივმა ჯაჭვი გაწყვიტა და გაფრინდა, ვილაცას კი, თოფი უსვრია და მოუკლავს. მეზობელმა მკვდარი მოიყვანა. შემეცოდა, მაგრამ ამოვისუნთქე კი... ამის შემდეგ იყო, ვილაცამ ბავშვებს შესთავაზა, დათვის ბელს გაჩუქებოთ. მე მკაცრად დავსვი საკითხი: ან მე ვიქნები ამ ოჯახში, ან თქვენი დათვი-მეთქი. გადაიფიქრეს.

— ბატონი ავლიბი რას ამბობდა ცხოველებზე?

— არაფერს. უყვარდა. მაგრამ მას ხომ არ მოუწევდა დათვის ან არწივის გამოკვებასა და მოვლაზე ზრუნვა – ეს ჩემი საქმე იყო...

— თქვენს ოჯახში, ალბათ, ბევრი სახელოვანი სტუმარი დადიოდა.

— ხშირად მოდიოდნენ ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, კონსტან-



ტინე გამსახურდია მეუღლით, ვასო გომიაშვილი და მისი ცოლი... ამ პიანინოზე, სასტუმრო ოთახში რომ დვას, გომიაშვილის ცოლი უკრავდა, თვითონ ბატონი ვასო კი მღეროდა...

— თქვენმა შვილიშვილმა მითხრა, რომ თქვენც უკრავთ და თქვენი მოსმენა ძალიან პყვარება ბატონ ავლიბს.

— მას ყველაფერი უყვარდა ჩემი – დაკვრაც, ნახატიც... მიუხედავად იმისა, რომ ცუდად ვუკრავდი... ხატვა კი შემეძლო. მას მოწაფეობისას ყველაფერში „ხუთიანი“ ჰყოლია, გარდა ხატვისა. როცა სადოქტორო ნაშრომს ამზადებდა, მიკროსკოპით გამოკვლეული მასალების ფოტოები სჭირდებოდა. მაშინ ასეთი ფოტოები არ მზადებოდა. მან სახლში მოიტანა მიკროსკოპი და მე ჩემი ხელით ჩაფუხატე საჭირო სურათები ნაშრომში. ყველა ამბობდა, რომ ძალიან კარგად გამომივიდა.

— თქვენი შესანიშნავი სურათები ვნახე. ქალბატონ ელენე ახვლედიანს ან ქეთევან მაღალაშვილს თუ უჩვენებდით ხოლმე თქვენს ნახატებს?

— არასოდეს მიჩვენებია. ის კი არა და, ზოგჯერ ვფიქრობ, ჩემმა შვილიშვილებმა რა უნდა უქნან ჩემს ნახატებს, სად უნდა შეინახონ... ალბათ არც დაკვიდებენ...

— რას ბრძანებთ... ვიცი, რომ მათ ძალიან მოსწონთ ეს ნამუშევრები... ისევე თქვენს მეუღლეს დაგუბრუნდეთ, როგორი ხასიათი ჰქონდა?

— იცით, ყველა ანეკდოტი, რომელიც მასზე არსებობს, ტყუილია... როცა მოისმენდა ხოლმე, არ ბრაზობდა – ეცინებოდა. მისმა ყოფილმა ფიზკულტურის მასწავლებელმა გაზეთში დაწერა: ავლიბს ისე

უყვარდა ფიზკულტურა, ერთხელ ჯიბიდან დარბაზის გასაღები მომპარა და სავარჯიშოდ შევიდა... არასოდეს მომიპარავს გასაღები, არც ფიზკულტურა მყვარებია ოდესმეო, – იცინოდა... არ უყვარდა რაიმე ნივთების შექმნა... კაბინეტში ჭალი გვაქვს, ნეტავი იცოდეთ, რამდენ ხანს ვთხოვდი, რომ ეყიდა... ყველაფერი ოჯახში ჩემი დაჟინებული თხოვნით არის შექმნილი... ძალიან მიყვარს ავლიპის ფოტოები, სურათები. ფოტოგენური იყო. მსახტრებსაც უყვარდათ მისი დახატვა. სხვათა შორის, მას ადრე უღვაშები არ ჰქონდა. მე ვთხოვე, რომ მოეშვა. ხომ ძალიან უხდებოდა?! შესანიშნავად იცოდა გერმანული ენა, სიღნაღში რომ სწავლობდა, გერმანული მასწავლებელი ჰყავდა – ვოლდეტი. მასთან ცხოვრობდა თურმე 7-იდან 15 წლამდე. მერე თბილისის რეალურ სასწავლებელში გადმოვიდა. სხვა გამოცდებთან ერთად, გერმანულიც ჩაუბარებია. იმდენად კარგად, რომ სასწავლებლის დირექტორი თავად ჩამოსულა და მადლობის ნიშნად, ხელი ჩამოურთმევია ავლიპის მამისთვის. გერმანული ჩემმა შვილებმაც კარგად იცოდნენ. 3 წლიდან მათთან ჩემი გერმანული მეგობარი ქალი, დიდებულის ცოლი დადიოდა და ენას ასწავლიდა. შვილიშვილებმა ისე არ იციან, როგორც შვილებმა.

— **შეიძლება ითქვას, ძალიან ბედნიერი ბრძანდებით, ასეთი კარგი ოჯახი გაქვთ, ასე უყვარხართ ყველას...**

– დაიხ, ვუყვარვარ. ყოველთვის, ვცდილობდი, რომ ეს სიყვარული მომეპოვებინა.

— **არასოდეს გნდომებიათ საქართველოდან წასვლა? არ მოგნატრებიათ პეტერბურგი**

დავით ზურაბაშვილი, პელენა ლუნდი და ელენე ზურაბაშვილი



მაინც, სადაც დაიბადეთ?

– როგორ არა, ზოგჯერ მქონდა ნოსტალგია... არა, ხალხის კი არა – არყის ხეების... სიზმრადაც, სულ არყის ხეები მესიზმრებოდა. ისე, აღფრთოვანებული ვიყავი საქართველოთი, მისი ბუნებით, ისტორიული ძეგლებით, ხალხით.

— **თუ გაქვთ ტრადიცია, რომელსაც არასოდეს დაღატობთ?**

– ასეთი საყვარელი დღესასწაული ჩვენს ოჯახში შობაა. შობას აქ ვიკრიბებით ხოლმე: მოდიან შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები. ჩემი რელიგიის მიხედვით, ზედიზედ ოთხი კვირა დღე დღესასწაულია. სანთლებს ვანთებ – პირველ კვირას – ერთს, მეორეს – ორს, მერე სამს, ბოლოს კი, ამას ადვენტი ჰქვია, ოთხი სანთელი დავანთე. მერე მოდის შობა. ეს ოთახი ჯადოსნურ ძველმეცხეობით მოვრთე. ფერადი ნათურები დაკვიდე და შობის დღე ასე აღვნიშნეთ.

ეს ყველაზე დიდი დღესასწაულია ჩემთვის.

— **შვილიშვილებს რუსულად ელაპარაკებით, ისინი კი, ისე ლამაზად გეძახიან დიდუდას...**

– ეს მიმართვა ძალიან მომწონს... ავლიპიც დიდუდას ეძახდა თავის ბებიას. თანაც, ეს შვედურ სიტყვას ემთხვევა შინაარსით – დიდი დედა. ბედნიერი დიდუდა ვარ – სხვა რა გითხრათ...

მართლაც ბედნიერი ყოფილა ის ახალი წლის დღეა, როცა ერთმანეთს პირველად შეხვდნენ ბატონი ავლიპი და ქალბატონი პელენა. მათ ოჯახსაც, ახლა უკვე მრავალრიცხოვანს, განუზომელი სიბოლო და დიდი სიყვარული დაჰბედა.

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:



15. თბილ ქვეყნებში გადაფრენის შემდეგ გვდებს ფრთების ქვეშ მუშტისხელა მახოლები უჩნდებათ.

16. „პირველი ვარდი“, „მსოფლიოს მნათობი“, „მდინარე უოეი“, „რეგენტი“ – ეს სია მსოფლიოში სახელგანთქმული ალმასების სახელწოდებათა ჩამონათვალია.

17. კორვეტს (ერთგვარ სამხედრო გემს), რომლითაც ჩარლზ დარვინმა მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა, „ბიგლი“ ერქვა.

18. მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება, კუნძულ როდოსის კოლოსი მზის ბერძნული ღმერთის – ჰელიოსის – ქანდაკებას წარმოადგენს.

19. ტოკიოს მახლობლად დაარსებულ ე.წ. „გონიერთა ქალაქს“ ცუკუბა ჰქვია. აქ იაპონელებმა თავი მოუყარეს ქვეყნის საუკეთესო მეცნიერებს და ყველა პირობა შეუქმნეს მეცნიერული მუშაობისათვის. „გონიერთა ქალაქის“ იდეა იაპონელებმა საბჭოთა კავშირიდან გადაიღეს: პირველი ასეთი აკადემ-ქალაქი რუსებმა ციმბირში ააშენეს.

20. რაიმეს შესახებ ზერეფე, ზედაპირულ ცოდნას რუსები „შაპოჩნოე ზნაკომსტვოს“ ეძახიან.

21. „ისინი ცხოვრობდნენ დიდხანს და დაიხოცნენ ერთ დღეს“. ამ სიტყვებით მთავრდება ალექსანდრ გრინის თითქმის ყველა მოთხრობა.

22. ძველებურ დიდ კარეტას, რომელიც შორ მანძილზე მოგზაურობისათვის იყო განკუთვნილი და საძილე ადგილებიც კი ჰქონდა, დორმეზი ეწოდებოდა.

23. მეჩეთის იმ ნაწილს, საიდანაც მოლა თავის ლოცვას ალაულებს, მინარეთი ეწოდება. P.S. მსოფლიოში ყველაზე მაღალი მინარეთის მქონე მეჩეთი კასაბლანკაში მდებარეობს.

24. ერაყელებთან ომის დროს დანაღმული ველების განსანადმავად აიათოლა ჰომეინი 10-15 წლის ბავშვებს იყენებდა. მისი აზრით, ბავშვის ნაღმზე აფეთქება ქვეყნისათვის ნაკლებად საზარალო იყო, ვიდრე საგანგებოდ გაწვრთნილი და მომზადებული ჯარისკაცის დაღუპვა. მაშინდელი მონაცემებით, 140 000-ზე მეტი ბავშვი აფეთქდა ნაღმზე, სამაგიეროდ, აიათოლა ჰომეინი წერილებს უგზავნიდა დაღუპულთა ოჯახებს და გულწრფელად სწერდა გაუბედურებულ მშობლებს, მოგილოცავთ, თქვენი შვილი წმინდა საქმეს შეეწირა.

„სიყვარულს რას გოუგებ, ჩემო ოლლა“, — ტყუილად კი არ უთქვამს ცხონებულ ნოდარ დუმბაძეს. კაცობრიობის ისტორია უამრავ საოცარ სასიყვარულო ამბავს გადმოგვცემს, მაგრამ იმის მსგავს თავგადასავალს, რის შესახებაც ამ ცოტა ხნის წინ შევიტყვე, იშვიათად თუ გადაჭყრია ვინმე. ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვისაც მომეთხრო ყოფილი ცოლ-ქმრის ამბავი, რომლებიც ხანგრძლივი განშორების შემდეგ კვლავ გადაეყარნენ ერთმანეთს და საყვარლები გახდნენ.

წინოსა და ემზარს ავლაბარში, „სიყვარულის ბუდედ“ ქცეულ ემზარის ბინაში შევხვდი. გამოგატყდებით, თავიდან ინტერვიუზე მათი დათანხმება გამიჭირდა, მაგრამ ბოლოს, ინკოგნიტოდ დარჩენის ჩემ მიერ მიცემული გარანტია ირწმუნეს და ალაპარაკდნენ.



სიყვარულსა მაღვა უნდა

ანუ ყოფილი ცოლ-ქმრის გამიჯნულების ამბავი

მარი ჯაშარიძე

ემზარი:
— ჩვენმა სიყვარულმა დიდ დროსა და გამოცდას გაუძლო. განშორებიდან 7 წლის შემდეგ, ჩვენი გზები ისევ გადაიკვეთა და უკვე ორ წელზე მეტია, რაც ერთმანეთს მალულად ვხვდებით.
— **ვიცი, რომ ციფრ 7-ს თქვენს ცხოვრებაში რალაც ფატალური დატვირთვა აქვს...**
— მართალია: ერთად 7 წელი ვიცხოვრეთ, შემდეგ, 7 წელი გაყრილები ვიყავით; რომ დავქორწინდით, 17 წლის ვიყავით, ჩვენი გაპარვა — როცა შეეუღლდით — 7 დეკემბერს მოხდა.
— **როგორ დაინყო თქვენი ურთიერთობა?**
— 1985 წლის ზაფხული იდგა. მშობლებთან კამათი მომივიდა და გადავწყვიტე, ცოტა ხნით სახლიდან წავსულიყავი. გეზი იმ სოფლისკენ ავიღე, სადაც ჩემი მეგობარი მშობლებთან ერთად მეგულებოდა. უცხო სოფელში ჩასულმა, კითხვა-კითხვით მივაგენი სახლს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთელი ოჯახი დასასვენებლად ზღვაზე წასულიყო და სახლი გამოკეტული დამხვდა. რაღა უნდა მექნა? სოფლის „ბირჟაზე“ ბიჭებს გამოველაპარაკე, ჩემი გასაჭირი ავუხსენი და ერთ-ერთმა (წინოს ძმა აღმოჩნდა) თავშესაფარი თავისი ბებიის სახლში მომიცა. წინოს იმ დროს თბილისში იყო და უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდას აბარებდა. მე და დათომ მალე გამოვინახეთ საერთო ენა. რამდენიმე დღეში ჩემი მეგობრის ოჯახიც დაბრუნდა, მაგრამ დათომ მათთან აღარ გამოი-

ვა. ასე დავრჩი წინოს ბებიის ოჯახში ორი კვირა, მაგრამ ჩემი მომავალი მეუღლე ჯერ თვალთაც არ მენახა. მე და დათო თბილისში ერთად დავბრუნდით. ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და მეგობრობა გავაგრძელეთ. დათოსთან სტუმრად მისულმა, წინოს გავიცანი და იმავე წლის დეკემბერში, ჩვენი სიყვარული ქორწინებით დავაგვირგვინეთ. ჩვენი გაპარვის მოწყობაში დათო ყველაზე აქტიურ როლს ასრულებდა. სამივენი ერთად გავიპარეთ, სამი დღე ბაკურიანში გართობით ვიჯერეთ გული, მერე დათო თბილისში დაბრუნდა, ჩვენ კი მარტონი დავრჩით.
— **როგორ ცხოვრობდით გაყრამდე?**
წინოს:
— ნორმალურად. ხან ვჩხუბობდით, ხან — არა, მაგრამ სერიოზული კამათი და შეხლა-შემოსლა არასოდეს გვქონია, — მანამდე, სანამ ემზარმა არ მომცა ამის სერიოზული მიზეზი.
— **მაინც რა მოხდა ასეთი?**
წინოს:
— მართალია, 7 წელი ერთად ვიცხოვრეთ, საამისოდ ცდაც არ დავიკვლია (იცი-წინოს), მაგრამ შეიღი არა და არ შეგვეძინა. თუმცა, განშორების მიზეზი ეს არ ყოფილა. უცხო ქალი — აი ის, რამაც ოჯახი დამინერა. ერთხელ, შემთხვევით დავინახე, რომ ემზარის მანქანის საჭესთან ქალი იჯდა. ეჭვმა შემიპყრო. ბოლო თვეებსაც რომ გადავაველე თვალი, დავრწმუნდი, რომ მეუღლე ჩემ მიმართ უფრო გულგრილი გახდა. დავეუწყე შემოწმება: ვურეკავდი სამსახურში, თუ სადმე უჩემოდ მიდიოდა, — ტელეფონის

ნომერს ვატოვებინებდი და აუცილებლად გადავამოწმებდი, მართლა იქ იყო თუ არა. გიუს ვგავდი, ვვრძობდი, რომ ქმარს ვკარგავდი. სწორად ვჩხუბობდით ამის გამო, თუმცა, ჩემი გაღიზიანების ნამდვილ მიზეზს არ ვუმხელდი, რომ მეტად არ გაფრთხილებულიყო და უკეთესად არ შენიღბულიყო. ჩემი ეჭვი მაიას (ემზარის მეგობრის მეუღლეს) გაუუზიარე. მასაც იგივე ჭია ღრღინდა, თურმე. გადავწყვიტეთ, ერთობლივად გვემოქმედა, რომ დავგვედინა, რით სუნთქავდნენ ჩვენი ქმრები... ერთხელ, მაიმ დამირეკა და მაცნობა, რომ ემზარის მანქანით ერთად წასულებს, თვითონ გაპყვლიათავისი მანქანით და დაუნახავს, გზად ვიღაც ქალი როგორ ჩაუსვამთ და რესტორანში შესულან... მალე ორივე იმ რესტორანთან გაჩნდით. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, „შესანიშნავი სამეული“ გამოვიდა, მაიას მეუღლე საჭესთან დაჯდა, ემზარი და ის კახა უკანა საგარძელზე მოკალათდნენ და საკუთარი თვალთ დავინახე, ერთმანეთს როგორ ჩაეხვედნენ. კინაღამ ვაკვირდი. მაშინვე შინ მივბრუნდი, დავავლე ხელი ჩემს ბარგი-ბარხანას და კარი გამოვიჯახუნე. კარგა ხანს მეხვეწებოდა ემზარი — მაპატიე, შევრიგდეთ, ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო. მაგრამ იმ ქალში სწორედ ის ამოვიცანი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ვნახე ემზარის მანქანის საჭესთან. სწორედ ამიტომ, „ვირზე შევეკეი“ და ქმარს აღარ დავუბრუნდი.
— **ემზარ, მართლა დიდხანს ხვდებოდი იმ ქალს?**
— სამწუხაროდ, წინოს მართალია: თითქმის ერთი წლის განმავლობაში ვხვდებოდი

იმ ქალს. მპირდებოდა, შეიღს გაგიჩენო – და ამით „მაბამდა“.

— ახლა მეორე ქორწინების შესახებ მიაბზეთ.

ნინო:

— გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც შევუყვარდი. მისგან უდიდეს სიბოხსა და პატივისცემას ვგრძობდი. განშორებიდან 2 წლის შემდეგ, ამ ბედოვლათმა ეს ამბავი ჩემი ძმისგან გაიგო, ღამიერეა და ბედნიერება მისურვა.

— ეზარ, გულწრფელად უსურვე ბედნიერება?

— ღამიერთ? ნინოს გათხოვება ჩემთვის უდიდესი ტრაგედია იყო. მართალია, ჩვენ ერთად აღარ ვცხოვრობდით, მათთან ოჯახშიც აღარ მივდიოდი სტუმრად, ყოფილი მეუღლე წლინახევრის განმავლობაში თვალთაც არ მქანა, მაგრამ ქართველი კაცის ეგოიზმი ხომ იცით: ვიდრე გაუთხოვარი იყო, იმედი მქონდა, რომ ადრე თუ გვიან, შევრიგდებოდი... დარეკვით კი, იმიტომ დავურეკე, რომ ვიცოდი – ისევ ვუყვარდი, ჩემი ხმის გაგონება კი, მასში სინანულის გრძობას გამოიწვევდა, უფრო სწორად, გული დასწყვებოდა, რომ დამკარგა.

— ნინო, როგორ ფიქრობ, ეზარმა მიზანში მოარტყა?

— (იციანის) თქვენ წარმოიდგინეთ, ვერა: იმდენად ბედნიერად ვგრძობიდი თავს ახალ ოჯახში, რომ მისი ზარისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია. მადლობა გადავუხადე და როგორც კი ყურმილი დაგვიდე, უცებ დამავიწყდა ჩვენი საუბარი... თავიდან, ახალ მეუღლეს, ძალაუწებურად, ეზარს ვადარებდი ხოლმე: ვფიქრობდი, ის როგორ მოიქცეოდა, რას მეტყოდა ამა და ამ სიტუაციაში... მერე, თანდათან, ამასაც გადავვიწყვე და შეიძლება ითქვას, ეზარი მთლიანად წარსულს ჩავაბარე. თანაც, სულ მალე დედა გავხდი და ბავშვმა საკუთარი თავიც კი დამავიწყა.

— ეზარ, შენ როდისღა დაოჯახდი მეორედ?

— ნინოს გათხოვებიდან სამი წლის შემდეგ. მეც ერთი შევიღი მყავს – ორწლინახევრის ნინიკო. ყველაზე გასაოცარი კი

ის არის, რომ ნინოს მეორე შევიღი და ჩემი ნინიკო ერთ დღეს, ერთსა და იმავე სამშობიარო სახლში დაიბადნენ, მე და ნინოს მეორე მეუღლე ერთად ვცემდით ბოლთას სამშობიაროს ეზოში, ოღონდ ჩვენ შორის ის განსხვავება იყო, რომ მე მას ვიცნობდი, ის კი აზრზე არ იყო, მე ვინ ვიყავი... გავიდა ერთი წელი. დათომ (ნინოს ძმამ) ცოლი მოიყვანა და მე და ნინო ერთმანეთს სწორედ მის ქორწილში შევხვდით (მე და დათო ძველებურად ვმმაკაცობდით). ეს იყო 1999 წლის შემოდგომაზე. მანამდე, ოთხ წელზე მეტი ისე გავიდა, ნინოსთვის თვალიც არ მომიკრავს. ქორწილში მეუღლის გარეშე ვიყავი წასული, ნინოს კი, თავისი ქმარი ახლდა. გულზე ვსკდებოდი, როცა ვხვდებოდი, თუ როგორი ყურადღებით ეპყრობოდა ჩემს ყოფილ მეუღლეს მისი ახლანდელი ქმარი. რატომ გეცინება? უცხო ადამიანისთვის ამის წარმოდგენა ცოტა ძნელია...

— შეიღს ყოფილი მეუღლის გამო დაარქვი ნინო?

— არა. მე მიწიღოდა, ბავშვისთვის ხატია დამერქმია. მეუღლე ვერ დავიყოფიე. იმდენად გულუბრყვილოა, რომ არც განსვენებია, ჩემს ყოფილ მეუღლესაც ნინო რომ ერქვა და ბავშვი წამდაუწყებ მას გამახსენებდა.

— ჰოდა მისი გულუბრყვილობით ისარგებლე და ყოფილ მეუღლესთან რომანი გააბი?

— (იციანის). დათოს ქორწილის შემდეგ მოსვენებას არ ვაძლევდი ნინოს: დღეში რამდენჯერმე ვურეკავდი, შეხვედრას ვთხოვდი, რაღაც საქმეს ვიძინებოდი. იმდენად გავთავსებდი, რომ ერთხელ მისმა მეუღლემ მიპასუხა და რომ მკითხა – ვინ ბრძანდებითო, არ დავუმალე – ნინოს ყოფილი მეუღლე ვარ და საქმე მაქვს-მეთქი. ყურმილი რომ დავკიდე, ტანში რაღაც სასიამოვნო სიბოხი დამიარა: წარმოვიდგინე, როგორ იეგვიანებდა.

— არ დაფიქრებულხარ, რომ ამით ნინოს პრობლემები შეექმნებოდა?

— მერე რა? დიდი-დიდი, ქმარს სახლიდან გამოეგდო. მე კი მზად ვიყავი, მისთვის თავმესაფარი ჩემს სახლსა და

გულში მიმიცა...

— ნინო, შენ როგორ იგერიებდი „აბეზარ თაყვანისმცემელს“?

— სიმართლე რომ გითხრა, როცა პირველად შემომთავაზა – შევხვედითო, უარი უყოფმანოდ არ მიითქვამს. გული მეუბნებოდა – წადი, ნახე, იქნებ, მართლა საქმე აქვსო... ვინება კი მკარნახობდა, რომ თავი უნდა შემეკავებინა. ინტუიციურად ვგრძობიდი, რომ ამას სასიკეთო არაფერი მოჰყვებოდა.

— გაამართლა ინტუიციამ?

— არ ვიცი. იქნებ, პირიქით, – სწორედ სასიკეთოდ შემობრუნდა ყველაფერი?... არასოდეს დამავიწყებდა ჩვენი პირველი შეხვედრა აძენი წლის შემდეგ... მეორე შეხვედრისას კი მითხრა: წამოდი, ავლაბარში წავიდეთ და წყნარ სიტუაციაში ვისაუბროთ (იმ ერთოთხანან ბინაში ერთად ვცხოვრობდით). მიხვდი, საითაც უმიზნებდა, მაგრამ მაინც დავეყვი მის ნებას... დღის 12 საათიდან საღამოს 8 საათამდე იქ დავრჩით. თავდავიწყებით ვევერებოდით ერთმანეთს და საკუთარ აზრებს ვუცვლიდით. გასუქებულხარო, მითხრა ეზარმა. – შენც-მეთქი, გული ვაუხუთქე მეც... ბავშვებივით ვხარობდით ერთად ყოფნით და აღერით რომ არ დავაბრჩევ, მიკვირს... ამის შემდეგ, სისტემატურად ვხვდებით ერთმანეთს. ჩვენი ბუდე მოვაწყვეთ, გავალამაზეთ და სიყვარულის საუფლოდ ვაქციეთ...

— მოტყუებულ მეუღლეებზე რას იტყვი?

ნინო:

— ორივეს მეუღლემ იცის, რომ ეს ქორწინება ჩვენთვის მეორე იყო. ჩემმა ქმარმა თავიდანვე იცოდა, რომ განათხოვარი ვიყავი და, ბუნებრივად, შეგუებულიც იყო ამას. მე მას ვლალატობ (თუ ამას ღალატი ჰქვია) იმ მამაკაცთან, რომელთან ურთიერთობაც, მასთან ქორწინებამდე მქონდა და ამიტომ, მისთვის ძნელად გადასატანი არ იქნება. ეს ჩემი აზრია. შეიძლება, მან უფრო ტრაგიკულად აღიქვას.

მეზარნი:

— ...ამიტომ, მე მიწიდა, საქვეყნოდ გამოვეცხადე ჩვენს მეუღლეებს – ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, გვინდა, რომ ერთად ვიცხოვროთ და სამივე ბავშვი ერთად აღვზარდოთ. შევეუონ, ბატონო, ამ ამბავს და პრეტენზიები ნუ ექნებათ.

— ხუმრობთ?

— არავითარი ხუმრობა. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენი საქმე სახუმაროდაა, არ ვიცი. ჩვენ კი ნამდვილად არ გვეხუმრება: უკვე გაუსძლისია ჩვენი ცალ-ცალკე ყოფნა. როცა ნინოს ქმარი შინ არ არის, მე ავლაბარში ვრჩები და მთელი დამე ტელეფონით ვსაუბრობთ ხოლმე... ნინოს ძმამ შეიტყო ჩვენი ურთიერთობის შესახებ და გადაიარა: არანორმალურები ხართ – რა უნდა გელაპარაკოთ?!




კ ხალი წლის წინ თურმე ზეციური ძალები იმდენად გულუხვად არიან ადამიანების მიმართ განწყობილნი, რომ საკუთარი თავისა და გარშემომყოფებისადმი სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში, ადვილად შეძლებთ ცხოვრების ახალ, უკეთეს სტილზე გადართვას. საამისოდ ის ხანაც ძალზედ შესაფერისია, რომელშიც ჩვენ მოგვიწია ცხოვრება: ათასწლეულების მიჯნაზე და ეპოქათა ურთიერთშერწყმის დროს ადამიანისთვის სასიცოცხლო პრობლემები წყდება. წინასწარმეტყველთა მტკიცებით, ადამიანს სწორედ ამ პერიოდში შეუძლია საკუთარ პიროვნებაში ჩაბუდებული საუკეთესო თვისებების გამოვლენა.

ყოველი ახალი წლის მთავარი რიტუალი, რა თქმა უნდა, ნაძვის ხის მორთვაა. ფსიქოლოგები ნაძვს ოჯახური კერის სიმყუდროვის სიმბოლოდ მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ მისი მოკაზმვა გარკვეული წესების მიხედვით უნდა ხდებოდეს.

ჩინეთში, ტრადიციის მიხედვით, ნაძვის ხეს კი არა, ფიჭვს რთავენ და მას ნაყოფიერების, ხანგრძლივი სიცოცხლის, მოთმინებისა და სიბრძნის სიმბოლოდ მიიჩნევენ.

ვისაც სურს, რომ ახალი წელი ჰარ-



რატომ ვაძვრთვართ ნაძვრს ხე?

მონიულად გაატაროს საყვარელ პარტნიორთან ერთად, აუცილებლად უნდა მართოს ნაძვის ხის კენწერო ლამაზი, წვეტანი ბოლოთი. ოჯახური ბედნიერების განმტკიცებას კარგად უწყობს ხელს ნაძვზე წითელი ვაშლების დაკიდება, ფერად-ფე-

რადი ლენტები კი, ხის მორთულობაში ცისარტყელის სიმბოლოს განასახიერებს და ბედნიერებისა და კეთილდღეობის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

თუ ახალი წლის დადგომისთანავე ყავის ჭიქაში ჩახედვას გადაწყვეტთ, იცო-



„80 დღე დედამიწის გარშემო“ პერსონაჟი ... ფოტი	რეპტილია	ეგვიპტელთა ღმერთი	ამერიკელი მსახიობი რულოლფო ...	თევზის ჯიში	ჭურჭელი ხილისათვის	გემის უკანა წილი
მოდერნიზაცია	მთაბრუნების ქართული, სახალხო მკურნალი	მოდის ფორმის ქსოვილის ნაჭერი	მალაზიის გამყიდველი	იგივეა, რაც ყლუპი	ყაჩაღი	

დეთ: ნალექში ნაძვის ხის დანახვა ბედნიერების ნიშანია და იმის მაუწყებელიც არის, რომ დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. თუ გაგიმართლეთ და ჭიქაში ციყვსაც მოჰკრავთ თვალს, მაშინ გაითვალისწინეთ, რომ წარმატების ლოდინი აღარ დაგჭირდებათ და სულ მალე, თქვენი შრომის წყალობით, ჯილდოსაც მიიღებთ.



2002 წელი ცხენის წელიწადია. ახალი წლის დადგომამდე, აუცილებლად ეწვიეთ სტომატოლოგს და ეცადეთ, ყველა კბილი მოიწესრიგოთ: ცხენისთვის ხომ მთავარი, კბილებია – სწორედ მათი მეშვეობით ხდება ცხენის ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება. ამიტომ, თუ ახალ წელს მოწესრიგებული კბილებით შეხვდებით, ცხენის წელიწადი თქვენთვის ჯანმრთელობისა და ახალგაზრდული ენერჯის შენარჩუნების წელი იქნება.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ წელს, სასურველი წარმატების მისაღწევად, სწორედ ცხენით შრომაა საჭირო, ამიტომ, ეცადეთ, ამ რთული წლისთვის შესაფერისად მოემზადოთ და საშუაო დღეები სასიამოვნოც იქნება თქვენთვის. ამაში კი, ძველ აღმოსავლელ ბრძენთა რჩევები დაგეხმარებათ და ცოტადენი მოთმინებაც დაგჭირდებათ: საკუთარი ხე-



ლით დაამზადეთ ნაძვის ხეზე ჩამოსაკიდებელი ფერადი ფარანი, ვერცხლისფერი ქალაღისგან გამოჭერით თორმეტი ვარსკვლავისა და თორმეტი მზის (წრე) ფიგურები და ნაძვზე ჩამოკიდეთ. გაითვალისწინეთ, რომ ეს საქმე ლიღინ-ლიღინით, მშვიდად და სიამოვნებით უნდა შეასრულოთ. 12 ვარსკვლავი, ზოდიანის 12 ნიშნის სიმბოლოდ ითვლება და ამგვარად, თქვენ ზოდიანის თითოეულ ნიშანს მიაგებთ პატივს, ამით კი, იმას დაიმსახურებთ, რომ საქმიანობასა და სიყვარულში გამართლე-

ბა, თქვენი ჰოროსკოპის მიხედვით ნავარაუდევ ნეგატიურ დღეებშიც კი, თქვენი თანამდევნი იქნება. რაც შეეხება მზეს, იგი ცხოვრების მამოძრავებელი ძალის მთავარ სიმბოლოდ ითვლება. მაგიურ ხელნაწერებში – „კაბალაში“ ლაპარაკია სეფიროტის ხეზე, რომელიც ნაძვს ჰგავს და სიტყვა სიტყვით ითარგმნება, როგორც „ცხოვრების ხე“. ამიტომ, ნაძვის ხის ყოველი ტოტის სათამაშოებით მორთვა იმავდროულად, სულიერი ჰარმონიის მიღწევაში შეგიწყობთ ხელს.



მბრძანებელი	ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობა	ქალაქი იაპონიაში	დარეჯან თათქარიძის მოახლე
ნეიხუტნიას	ზოხი	კენიოსნასა	დაქაფისსეცი
ორეისორი დერძი ...	ფრანგული ფული	თოფის წამლის ადგილი ძველ თოფზე	ქიმიური ელემენტი
		დ. აბაშიძის როლი ფილმში „უდი პლომოსასიძო“	მეგალი
			თვითმცლელი ავტომობილის მარკა
			სამხრეთ კორეის დედაქალაქი

სალომე მომიტაშვილი

საახალწლო ბედისკვერები

— ახალი წლის დილას ხევსურის სახლიდან მეკვლის მოსვლამდე ვერაფერი გამოვა.

— ერთ ახალ წელს გულანში არაბულები და ჭინჭარაულები დარევიან ერთმანეთს — 60 კაცი დაჭრილნი...

— ფშავში საახალწლო საუზმის შემდეგ ერთმანეთს ქულებს უგლებენ ცეცხლში.

— ფშაველი დიაცი ოჯახის ყველა წევრის სახელზე აცხობს ბედისკვერს.

სადაცაა ახალი წელი კარს შემოგვიღებს. ახალწლის დღესასწაული რომ გამორჩეული და განსაკუთრებულია, ამის მტკიცებაც არავის სჭირდება. ჩვენს ბოლო წერილებში ფშავეს ხევსურეთის ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე ვსაუბრობდით და ამჯერადაც, მოდით, კვლავ მთაში დავჩრეთ. მეზურობას კი კვლავაც ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ეთნოლოგი, ბატონი მირიან ხუციშვილი გაგვიწვს.

— ბატონო მირიან, როგორ ზეიმობდნენ ახალ წელს ხევსურეთში?

— ერთი საუკუნის წინანდელ მთიელებს მეტად ორიგინალური საახალწლო ტრადიცია ჰქონდათ. ახალი წლის საღამოს, ოჯახის ერთ-ერთი მამაკაცი, რომელიც შეიძლება ოჯახის უფროსი არც ყოფილიყო, ხატში მიდიოდა. თან მიჰქონდა შინ ჩამოქნილი თაფლის დიდი სანთლები, იმდენ სანთელს ჩამოქნიდა ხევსური დიასახლისის, რამდენი ქუდიანიც ჰყავდა სახლში...

— ქალებმა რა დააშავეს, სანთელი მხოლოდ მამაკაცებმართ „დაიმსახურეს“?

— უნდა ვითხრათ, რომ როგორც ხევსურეთში, ასევე ფშავში ქალები მართლაც „დაჩაგრულები“ იყვნენ. ოჯახში არავითარი უფლება არ ჰქონდათ. ვერც მამაკაცის გვერდით ივლიდნენ — უკან უნდა გაჰყოლოდნენ, ხოლო თუ ქმარი ცხენზე იჯდა, ცოლი ფეხით მიჰყვებოდა. სამაგიეროდ, აბა ვინმეს გაეხედა და ფშაველის ან ხევსურის ცოლისთვის ცუდი თვალით შეეხედა, თავს შეაკლავდნენ... თუმცა ბედისკვერის გამოცხობისას ხევსური ქალი თავს ოჯახის ბატონ-პატრონად გრძნობდა...

— ხატში საახალწლოდ წასული მამაკაცები შინ როდისღა ბრუნდებოდნენ?

— ახალწლის გათენებისას, მზის ამოსვლამდე შინ იყვნენ. თან ხატიდან ხევისბერის გამოტანებულ ლულს მოიტანდნენ.



ხევსურის ოჯახი ნინო ბრაილაშვილის ნახატი

მეკვლეს კუთვნილ კვერს დიასახლისი უსიტყოდ მიაწვდიდა, ისიც კვერს სამჯერ შეაგორებდა სახლში, თან ასეთი სიტყვებით დაილოცებოდა: „ჩემიმც კვალი კარგზე დაგივდება, პურიანი, წულიანი სახლ-სარგებლიანი“... მეკვლე ლულს საითათოდ შეასხამდა როგორც ოჯახის ყველა წევრს, ასევე შინაურ პირუტყვს. ამის შემდეგ იღებოდა სახლის კარი და ყველას შეუძლო გარეთ გამოსვლა.

— ერთმანეთს როდის ულოცავდნენ მეზობლები?

— აქ ცოტა არ იყოს, უჩვეულო წესი ჰქონდათ. სოფელები ერთმანეთს ახალ წელს გარეთ ულოცავდნენ, რადგანაც სტუმრობა მხოლოდ მესამე დღიდან იყო დაშვებული.

— ახლა ფშავში გადავიწვს...

— ფშაველი დიასახლისი ახალწლის დილას სისხამზე დგება, ფქვილს გაცრის და იწყებს ბედისკვერების გამოცხობას, რომელსაც „გოგებს“ უწოდებენ.

— პირველად ვისი „გოგა“ ცხვება?

— რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, პირველად „ხარის გოგას“ აცხობენ. ამ კვერზე ხან პურის თავთავს გამოსახვენ, ხანაც ხბოს ან ცხვრის თავს — მოსავლიანობისა და საქონლის შემატების სიმბოლოდ. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება „სათავნო“ ბედისკვერების

გამოცხობა ოჯახის თითოეული წევრისთვის. ერთი საინტერესო დეტალიცაა — თუ გამოცხობისას რომელიმე ბედისკვერი ამოფუცდება და მაღლა აიწვეს — მას, ვის სახელზეც ეს კვერი ცხვება, ახალი წელიწადი დიდ ბედნიერებას ჰპირდება.

— კიდევ თუ არის ფშავში რაიმე გამორჩეული, საახალწლო დღესასწაულისას?

— ძალიან ბევრი რამ. თუნდაც ის, რომ ადრე დილით ოჯახის რომელიმე წევრი მცირე საუზმით მდიდს მდინარეზე და საუზმეს წყალში ყრის, თან სამჯერ ამბობს — „წყალო ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლე“. მისი დაბრუნებისას ოჯახში სუფრა იშლება, თაფლიან ჯამებს დაალაგებენ და ერთმანეთს თაფლით „დააბერებენ“.

— ხინკალს როდისღა აკეთებენ?

— თაფლის მირთმევის შემდეგ ხინკლის სამზადისს შეუდგებიან. თან ვინმეს მეკვლეს დასამახებლად გაუშვებენ. ოღონდ ერთია — მეკვლეს ვერ დაელაპარაკებიან. ამიტომ ვისი მეკვლეობაც სურთ, მისი სახლის კარს ქვას ან ჯოხს ესვრიან და ეს ნიშანი უკვე საკმარისია — მეკვლე მათი სახლისკენ მოემართება.

შემოდგამს მეკვლე ფეხს, ზღურბლზე ოჯახის პატრონი ხვდება თაფლით სავსე თასით, გამოუტანს „ხარის გოგას“, აიღებს მეკვლეს, კარიდან სახლში სამჯერ შეაგორებს და თუ ხარის გოგას მოხატული მხარე ზემოთ მოექცა, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი ფეხი აქვს...

ფშაველები ერთმანეთს ცეცხლში უგლებენ ქულებს, ზოგიც თვითონ ჩააგლებს და ვინც უფრო სწრაფად ამოიღებს გატრუსულ ქულს, იმ წელს უთუოდ გაუმართლებს.

რაც შეეხება ხარის გოგასა და კვერებს, მათ ფშავში ნათლისღებამდე ინახავენ. ნათლისღებას კი ხარის გოგას ხარებთან მიიტანენ, კისერზე გადაამტკვრევენ და შეაჭმევენ. თავიანთ ბედისკვერებსაც ამ დღეს იგებებენ.

ახალი წლის ზეიმებს ფშავესურეთში ჩხუბიც მოჰყვება ხოლმე. ექიმ ვიორგი თედორაძის ჩანაწერებში, რომელიც ხუთი წელი მუშაობდა ხევსურეთში გასული საუკუნის 40-იან წლებში, ვკითხულობთ: „ჩემი იქ ყოფნის დროს იყო ასეთი შემთხვევა: სოფელ გულანში წახიზუბა ორი გვარეულობა: არაბულები და ჭინჭარაულები. ამ ჩხუბის დროს დაიჭრა 60 კაცი... ხევსურის დაჭრა ისევ ხევსურისგან, ჩვეულებრივი მოვლენაა, ეს თან სახელიც არის მთაში...“

ელენე სალარიძე

პაპუნა წერეთელი დავით აბაშიძის ლამაზ ასულს მოუხიბლავს და შუაკაცები მიუგზავნია. ციხის არმქონე კაცს, ქალს როგორ მივცემო, – ცივი უარი უთქვამს აბაშიძეს. გამწვრალან წერეთლები – როგორ დაგვიწუნესო და საომრად გამზადდებულან. თავად პაპუნას დაუმშვიდებია წერეთელი შემდეგი სიტყვებით: „ძმათა სისხლის ღვრას ოფლის დაღვრა სჯობსო“ – და ციხის აშენება დაუწყია. უზარმაზარი, მკვიდრი ციხე აუშენებიათ და გორიზი აბაშიძისთვის შეუთვლიათ – მოდი ნახეთ. აბაშიძე ისე მოხიბლულა ამ ციხით, დაწუნებული წერეთელი მამინვე დაუმოყვრებია...

ამ ამბავს ლეგენდასავით ჰყვებიან. თუმცა, იმდენად ლამაზი ლეგენდაა, რომ უკვე აღარ ვინტერესდებით, სინამდვილეში რისთვის აგო თავადმა პაპუნა წერეთელმა თვალშეუდგამი ციციბაბო კლდის წვერზე ციხესიმაგრე.

და ეს ამბავი უკვე ათას ხუთას წელს ითვლის. ხოლო ერთი საუკუნის არის აკაკი წერეთლის მშვენიერი ბალადა სიყვარულზე, მოდინახეს ციხიდან რომ დაწყებულა...


სამაგიეროდ, ძველთაძველია მოდინახეს ფერდობზე აღმოჩენილი საცხოვრისი, რომლის ასაკსაც არქეოლოგები ადრეანტიკური ხანით ათარიღებენ.

მოდინახეს არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ კვლავ ცნობილი ეთნოლოგი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი **ელდარ ნადირაძე** გვესაუბრება:

– „არქეოლოგია ნადირობას ჰგავს. ველზე მუშაობისას გრძნობ, რომ აქ რაღაც არის, რაღაც ბუდობს და მას უსათუოდ შეხვდები, მაგრამ არ იცი, საიდან გამოჩნდება იგი, სად შეგეფეთება. ჩახმახი სულ მუდამ შეყენებული უნდა გქონდეს, ყურადღებაც არასოდეს არ უნდა მოაღუნო, თორემ ცხვირწინ მყოფი ნადირი შამბნარში ისე გაძვრება, სასხლეტზე თითის დაჭერასაც ვერ მოასწრებ“. ეს სიტყვები ჯურხა ნადირაძეს ეკუთვნის, რომელიც ათეული წლების მანძილზე მუშაობდა საირხისა და მოდინახეს გათხრებზე და არაერთი ისტორიული ძეგლით გაამდიდრა საქართველოს საგანმეურნეო.


— **მოდინახეს აღმოჩენებზე რას გვიამბობდით?**

– რომ იტყვიან, ბარის ერთი დაკვრით აღმოჩნდა მოდინახეზე სამი უძველესი ეპოქის ნამოსახლარი და მეორე ათასწლეულის სამაროვნები. მაგრამ ჯურხა ვერ ისვენებდა, მეტს ელოდა და ძიებას



მოდინახეს ციხე

„გიჟოვნია, გიძია, შინდის ქშია...“



ოქროს ბალთები ძოწის თვლებით

არ წყვეტდა. 30-მდე სადაზვერვო თხრილი გაიჭრა. გათხრების სეზონიც დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ერთ-ერთ თხრილს ხელმეორედ მიუბრუნდა, ფერმეცვლილმა მიწამ მიიქცია ყურადღება. თავისი ერთგული „თანამეგობარი“ – საირხელი გლეხი ილიკო გრძელიშვილი დაუბარებია და ორმოს დამუშავება უთხოვია. ხელჩაქნული ყოფილა ილიკო: მთელი ზაფხული ისეთ ადგილებზე მამუშავებ, შინდის კურკაც ვერ მიპოვებიაო. ახლაც უხალისოდ შესდგომია საქმეს. ცოტა ხნის შემდეგ, ერთიანად გაბადრული ეახლა თურმე ექსპედიციის ხელმძღვანელს: ჯურხა ბატონო, გონია, რაცხა ქე ვნახეო, – უთქვამს და ჩამავებულ ხელისგულზე ძოწის თვლებით მოოჭვილი, გავარსით შემკული ბაჯაღლო ოქროს საყურე გაბრწყინებულა. „ვიპოვნია, ბიძია, შინდის კურკა და ეგ არი“ – უთქვამს ჯურხას.

— **მხოლოდ ცალი საყურე?**

– რა ხალხი ხართ ეს ჟურნალისტები, გვაცალეთ, ბატონო, ორმოსთან მიბრუნება (იმერულად უქცევს ბატონი ელდარი. – ავტ.)... დაბრუნდნენ ორმოსთან და ჯერ

მშრალად წყობილი ქვის ცალპირი კედლები გამოჩენილა, შემდეგ მიცვალებული, რომელსაც თავი ორნამენტებით შემკულ ვერცხლის ფიალაში ჰქონდა ჩასვენებული. იქვე ეგლო მეორე საყურე. ფეხებთან ზაფრანისფერი, თიხის მოხდენილი სურა იდგა. ოქროს ორი ბეჭედიც აღმოჩნდა – ლურჯი და მწვანე ნახევრად ძვირფასი თვლებით, ოქროს კილიტებიც, გიშრის მძივებიც... ერთი სიტყვით, ყველაფერი ამოტრიალდა – სამარხი ძალიან ჰგავდა არმაზში გამოხეურებულ გვიანანტიკური ხანის ბრწყინვალე ძეგლებს.

მოგვიანებით, მოდინახეზე ათეულობით მდიდრული სამარხი გამოვლინდა. უფრო მეტიც, აღმოჩენებმა მოლოდინს გადააჭარბა. ამ გვიანანტიკური ხანის ძეგლებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოს ისტორიის შესასწავლად.


განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარის ერთმა ფენამ, სადაც აღმოჩნდა სამარო-

ვანი, რომელშიც ახოვანი მამაკაცი განისვენებდა. იქვე იყო ვერცხლის კოჭსაფრები, ფიალები, ვერცხლის სურა, თიხის ზაფრანისფერი ღოჭები, ოქროს ბეჭდები გემათი, ოქროსვე მინეტები, ოქროთი გაწყობილი ფოლადის სატევარი და დანა. ყველა მათგანი მხატვრულად სრულქმნილი და იშვიათი ნაკეთობაა. მაგრამ ხელოვნებამ-ცოლნეებს განსაკუთრებით, ბაჯაღლო ოქროს ბალთები მოსწონთ,

რომლის თვალბუდეებში ნახევარსფეროს ფორმის ძოწის თვლებია ჩასმული და ცვარულით შემკული ენიანი აბზინდაც ახლავს. როგორც ჩანს, დანა და სატევარი ტყავის ქამარზე (რომელიც დროს დაუნაცრავს) ყოფილა ასხმული და ამ ბალთებით მაგრდებოდა.

ერთი საინტერესო დეტალიც: მოდინახეს გათხრებზე მრავალი ბეჭედი აღმოჩნდა გემათი. ამავე დროს, მრავლად იპოვეს მხოლოდ გემა, ზოგი დასრულებული და ბეჭდის თვლად გამზადებული, ზოგიც სანახევროდ დამუშავებული. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ გემაზე გამოსახული სიუჟეტები (მათ შორის ბერძნულ-რომაულიც) ადგილობრივი ხელოსნების მიერაა შესრულებული. ამის დასტურია თუნდაც იასპის ქვაზე ამოკვეთილი მონადირე ჭაბუკი – მოკლე ტუნიკით, წელზე დაკიდებული ნანადირევი წეროთი და შუბით. ასეთი ფორმის სამკაული გვიანანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობისთვის არის დამახასიათებელი და ამდენად, მოდინახეს სამკაულებიც ადგილობრივი ოსტატების ნახელავია...

ლუიშ ფიგუ: ბურთის გარეშე ნახევარკასტი ვიქნებოდლი



თუ ვინ გახდებოდა 2001 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში 17 დეკემბერს ფიფას მიერ მოწოდებული დაჯილდოების ცერემონიალის ბოლო წუთებამდე ალბათ ვერავინ მიხვდებოდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მსოფლიოს №1 ფეხბურთელის წოდების მოსაპოვებლად წარდგენილი პრეტენდენტებიდან საუკეთესოს დასახელება მართლაც ძნელად პროგნოზირებადი პროცესი იყო. ამ სტატუსს კი, არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ეცილებოდა ერთმანეთს. ფიგუ, ზიდანი, რაული, ბექჰემი, იუენი, შეჩენკო, ტოტი და სხვები მთელი წლის მანძილზე ბრწყინვალე თამაშს აჩვენებდნენ და მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად არც ერთი მათგანის დასახელება არ იქნებოდა მოულოდნელი. ფიფას მიერ 130 ქვეყნის ეროვნული ნაკრებების მწვრთნელთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით 2001 წლის პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ დასახელდა. მეორე და მესამე ადგილები კი, შესაბამისად, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა, დევიდ ბექჰემმა და მადრიდის „რეალის“ რიგებში ფიგუს თანაკლებელმა, თავდამსხმელმა, რაულ გონსალესმა გაინაწილეს. აღსანიშნავია, რომ 29 წლის ფიგუ გასულ წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად იქნა დასახელებული, ხოლო იმავე წელს მსოფლიოს

დოსია:
 სრული სახელი: ლუიშ ფილიპე მადეირა კაეირუ ფიგუ
 დაბადების თარიღი: 1972 წლის 4 ნოემბერი
 დაბადების ადგილი: ალმადი (პორტუგალია)
 სიმაღლე: 180 სმ
 წონა: 75 კგ
 გუნდი: მადრიდის „რეალი“
 მაისურის ნომერი: 10 („რეალში“), 7 (პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებში)



საუკეთესო ფეხბურთელის წოდებისათვის დავაში იგი მხოლოდ ფრანგ ზინედინ ზიდანს ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა. ისევე, როგორც არაერთი სხვა დიდი ფეხბურთელი, ბავშვობაში ლუიშ ფიგუც სკოლაში სიარულზე მეტად თანატოლებთან ერთად ფეხბურთის თამაშს ანიჭებდა უპირატესობას. პატარა ლუიში დიდიდან საღამომდე ლისაბონის ერთ-ერთი სამხრეთ გარეუბნის, რივერ ტაგუსის მტვირან მოედნებზე ბურთს დასდევდა და მაშინ ალბათ რივიანად არც კი ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მისი მომავალი სწორედ ფეხბურთს უნდა დაჰკავშირებოდა. ამასთან, ფიგუ ბავშვობიდანვე მიეჩნეოდა იმას, რომ მისი პერსონის მიმართ ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ. ყველა, ვინც კი ფიგუს თამაშს იხილავდა, აღტაცებასა და გაკვირვებას ვერ მალავდა პატარა ფეხბურთელის არაჩვეულებრივი საემსსრულებლო ტექნიკის გამო. ლუიშის მშობლები ხვდებოდნენ, რომ მათ ერთადერთ და სანუკვარ ვაჟიშვილს დღეიდანაც საფეხბურთო მოედნისკენ მიუწევდა გული და სწავლის მიმართ მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა, თუმცა ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ და ხშირად ლისაბონში „სპორტინგის“ თამაშებზეც მიჰყავდათ ხოლმე. თავად ლუიში მაშინ საბავშვო გუნდ „ოს პასტილიასში“ თამაშობდა. პერსპექტიული მოზარდი პროფესიონალური ფეხბურთის შესწავლათვის შეუმჩნეველი არ



დარჩენილა და უკვე 17 წლის ასაკში ლუიშ ფიგუ ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან პორტუგალიურ კლუბში, „სპორტინგში“ მიიწვიეს. ამ გუნდში ფიგუს დებიუტი 1990 წლის 1 აპრილს შედგა, მანამდე ერთი წლით ადრე კი, ლუიში 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. პორტუგალიური ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა იგივე გაიმეორა 1991 წელს, როდესაც პორტუგალიის ნაკრებთან ერთად 20 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაშინ ფინალში პორტუგალიელებმა პენალტების სერიით (4:2) ბრაზილიის ასალგაზრდული ნაკრები დაამარცხეს, რომლის ღირსებასაც რობერტო კარლოსი იცავდა. ვინ მოიფიქრებდა, რომ წლების მერე ფიგუსა და კარლოსის დაპირისპირება უკვე პროფესიონალურ დონეზე „ბარსელონას“ და „რეალის“ შემადგენლობებში გაგრძელდებოდა, რის შემდეგაც ისინი ესპანეთის სამეფო კლუბში თანაგუნდელები გახდებოდნენ. ფეხბურთის სპეციალისტები და ჟურნალისტები ჯერ კიდევ მაშინ ალაპარაკდნენ ლუიშ ფიგუზე, როგორც უნივერსალური მონაცემების მქონე ფეხბურთელზე. მასში ბურთის ფლობის ფილიგრანული ტექნიკა, დრიბლინგი და მინდორზე მანევრირება შესანიშნავად იყო შერწყმული მოთამაშის ათლეტურ მონაცემებსა და სამხრეთულ ტემპერამენტთან. „ბურთთან ერთად ის ისე მოძრაობს, თითქოს ფეხზე ჰქონდეს მიწებებული“, – წერდნენ ასალგაზრდა ლუიშ ფიგუს შესახებ სპორტული გამოცემები. „სპორტინგის“ შემადგენლობაში


ლუიშ ფიგუმ 134 მატჩი ჩაატარა და პორტუგალიის თასაც დაეუფლა. ეს ის დრო იყო, როდესაც ასალგაზრდა, ნიჭიერ პორტუგალიელ ფეხბურთელზე უკვე ნადირობა ჰქონდათ გამოცხადებული ესპანეთისა და იტალიის კლუბებს.


ბარსელონაში

„სპორტინგიდან“ ლუიშ ფიგუს „ბარსელონაში“ გადასვლას საკმაოდ ხმაურიანი სკანდალი უსწრებდა წინ. საქმე ის არის, რომ პორტუგალიელი ნახევარმცველის გადაბირება ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში რამდენიმე წამყვანმა ევროპულმა კლუბმა მოისურვა. ლუიშმაც სატრანსფერო საქმეში გამოუცდელიობის გამო ერთდროულად ორ იტალიურ კლუბთან, – „პარმასთან“ და „იუვენტუსთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი. „როდესაც „პარმასთან“ ხელშეკრულება უკვე გაფორმებული მქონდა, მეგობარმა, პაოლო სოუზამ, – რომელიც „იუვენტუსში“ თამაშობდა, – დამირეკა და მითხრა, რომ ჩემით „ბებერი ქალბატონის“ თავკაცებიც იყვნენ დაინტერესებულნი“, – იხსენებს ლუიშ ფიგუ, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ თავად შეხვდა „იუვენტუსის“ ხელმძღვანელთა საბჭოს წარმომადგენლებს. „ტურინი შენ გელის, გულშემატკივრები შენს ჩამოსვლაზე ოცნებობენ, რადგან „იუვენტუსის“ სჭირდება!“ – არ დაუმალავთ პორტუგალიელი ნახევარმცველისთვის ტურინული კლუბის წარმომადგენლებს. ფიგუზე კი, მათმა საუბარმა ისე იმოქმედა, რომ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, ამჯერად „იუვენტუსთან“. „ჩემთვის ეს კონტრაქტი მაშინ ჩვეულებრივი ქალაქის მეტს არაფერს წარმოადგენდა, იტალიელებმა კი, მიიჩნიეს, რომ ასალგაზრდა პორტუგალიელი ფეხბურთელი უკვე მათ განკარგულებაში იყო“, – სიცილით იხსენებს თავისი გულბრუნვით მისა და გამოუცდელიობის შესახებ ფიგუ, რომლის მიერ მაშინ გაფორმებულ ორ ხელშეკრულებას „პარმას“ და „იუვენტუსს“ შორის დიდი „საქმის გარჩევა“ მოჰყვა. ორივე კლუბი იჩემებ-

და, რომ ლუიშ ფიგუს მფლობელი იყო და არც ერთს არ სურდა მისი დათმობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მათ დაგაში იტალიის ფეხბურთის ფედერაციაც ჩაერია და პორტუგალიელი ფეხბურთელის მფლობელად „პარმა“ გამოაცხადა, თუმცა ლუიშს სურდა A-ში ორი წლით გამოსვლის უფლება აუკრძალა. „პარმას“ ხელმძღვანელობას ისღა დარჩენოდა, რომ ნიჭიერი პორტუგალიელი ნახევარმცველი კვლავ გაეყიდა. მყიდველიც მალე გამოჩნდა. ეს გახლდათ კატალონიური „ბარსელონა“, რომელსაც იმ პერიოდში ლეგენდარული იოჰან კრუიფი ედგა სათავეში. „ბარსელონამ“ პორტუგალიელ ნახევარმცველში იტალიელებს დღევანდელი საზომით მართლაც სასაცილო თანხა – 2,8 მილიონი დოლარი გადაუხადა. 1995 წლის სექტემბერში ლუიშ ფიგუმ „ბარსელონას“ შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა. 1997 წელს ფიგუ „ბარსელონასთან“ ერთად ესპანეთის თასის, ევროპის თასების მფლობელთა თასისა და სუპერთასის მფლობელი გახდა. 1998-99 წლებში კი, „ბარსელონამ“ ლუიშ ფიგუს დიდი დახმარებით ესპანეთის ჩემპიონატებიც მოიგო.

გადიოდა დრო და ლუიშ ფიგუც უფრო და უფრო ხვეწლა თავისი თამაშის სტილს, ინდივიდუალურ ოსტატობას გუნდური თამაშის პრინციპთან ათანხმებდა და ლომის წილი შეჰქონდა კატალონიელთა სათაყვანებელი კლუბის წარმატებებში. ეს ის დრო იყო, როდესაც ლუიში სამშობლოში უკვე აღიარებული ჰყავდათ, როგორც ლეგენდარული ეუსების ღირსეული მემკვიდრე და მას ხან „ბარსელონელ მაგს“ უწოდებდნენ და ხანაც „კატალონიელ პრინცს“. თავად კატალონიელი გულშემატკივრებიც ძლიერ იყვნენ შეყვარებულნი პორტუგალიელ ვარსკვლავზე და მშვენივრად ხელავდნენ, თუ რა მნიშვნელოვანი იყო „ბარსელონასთვის“, მის რიგებში ლუიშ ფიგუს თამაში. უნდა ითქვას, რომ ფიგუს ის საფეხბურთო ღირსე-





ლუის სიგეიემდე უეგარს ცოლ-მეილი



ბები, რომლითაც იგი ასე ძვირად ფასობს დღეს, იმთავითვე მკაფიოდ შესაძინევი იყო. ლუისმ ჰქონდა ბურთის ფლობის ფილი-გრანული, სამხრეთელთათვის დამახასიათებელი ტექნიკა და ბრწყინვალე დრიბლინგი, შესანიშნავად ხედავდა მინდორს, უნაკლოდ ასრულებდა საჯარიმო დარტყმებს და შეედლო, თავად შეემზადებინა და შეექმნა საგოლე სიტუაცია.

„ბარსელონაში“ თამაშის წლებში ლუიმ ფიგუმ შეძლო და კონსტრუქციული ურთიერთობა დაამყარა კლუბის მამინდელ, ჰოლანდიელ მწვრთნელ ლუის ვან გაალთან. ეს პორტუგალიელი ვარსკვლავის კიდევ ერთ საფეხბურთო ღირსებაზე მეტყველებდა, რადგან ჰოლანდიელი მწვრთნელი ყოველთვის ჯიუტი და ჭირვეული ხასიათით გამოირჩეოდა, რის გამოც ხშირად ჰქონდა უთანხმოება კლუბის ისეთ წამყვან მოთამაშებთან, როგორც რივალდო, პატრიკ კლუივერტი და სხვები არიან. ფიგუმ კი, შეძლო, არა მარტო საერთო

ენა გამოენახა ჰოლანდიელთან, არამედ მწვრთნელსა და გუნდის მოთამაშეებს შორის შუამავლადაც ქცეულიყო. ალბათ სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან პორტუგალიელი ნახევარმცველი თავისი კოლეგების მსგავსად მწვრთნელის სათამაშო ტაქტიკისა და გადაწყვეტილებების კრიტიკით არასოდეს ყოფილა დაკავებული. „მითითებათა მიცემა მწვრთნელის საქმეა, ჩვენ კი, ისინი უნდა შევასრულოთ, მით უმეტეს, რომ „ბარსელონაში“ მითითებები ისეთი აღიარებული სპეციალისტისგან მოდიოდა, როგორც ვან გაალია“, – ამბობს ლუისი, რომელიც მწვრთნელთან კონფლიქტს მაშინაც კი თავს არიდებდა, როდესაც ეს უკანასკნელი „ბარსას“ შემადგენლობის ნახევარს (თანაც საუკეთესო ნახევარს) გადაიკიდებდა და მოიძღვრებდა ხოლმე. ფიგუ ყოველთვის თავისი ერთ-ერთი საფეხბურთო პრინციპის ერთგული რჩებოდა: „ბევრი მუშაობა და ნაკლები ლაპარაკი“.

მადრიდის „რეალში“

როდესაც ორი წლის წინ, „ბარსელონიდან“ ფიგუს წასვლის შესახებ გავრცელდა ხმები, ყველა გაკვირვებული დარჩა, რადგან გასაკვირი იყო, თუ რატომ უნდა დაეტოვებინა კლუბი ფეხბურთელს, რომელსაც ჩინებული ურთიერთობა ჰქონდა თანაგუნდელეთან და გულშემოტკივრების მხრიდან უდიდეს სიყვარულსა და მხარდაჭერას გრძნობდა. კლუბიდან წასვლის თაობაზე ფიგუს მიერ გაკეთებული განცხადება განსაკუთრებულად თავზარდამცემი, რა თქმა უნდა, თავად კატალონიელი გულშემოტკივრებისათვის იყო. ისინი აღშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ ლუისი გუნდს ტოვებდა და უფრო მეტად კი, იმის გამო, რომ იგი კატალონიელთათვის საძუ-

ლველ, „ბარსელონისთვის“ „მოსისხლე მტრად ქცეულ“ მადრიდის „რეალში“ გადადიოდა. „როდესაც მე წინადადება მივიღე, უფრო ხელსაყრელ პირობებში მეშუშავა, კლუბის პრეზიდენტს მივმართე. მას არავითარი რეაგირება არ ჰქონია, რის გამოც საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე. ეს არ იყო მხოლოდ მატერიალური მოტივით მიღებული გადაწყვეტილება. ჩემთვის ძალიან ღირსა მნიშვნელობა აქვს კლუბის ხელმძღვანელთა ჩემი შრომისადმი დამოკიდებულებას. სუთი წლის განმავლობაში „ბარსას“ მთელი ჩემი ენერგია შევადიე და მჯეროდა, რომ კლუბი ყველაფერს იღონებდა, რათა შევენარჩუნებინე. სწორედ ამის გამო, როგორც კი „რეალში“ გადასვლასთან დაკავშირებით წინადადება შემომთავაზეს, მაშინვე „ბარსელონის“ ხელმძღვანელობას მივმართე და ყველაფერი ვაუწყე. მე ერთი რამ მსურდა – მოლაპარაკება, რომელიც უთანხმოებამდე მიგვიყვანდა. მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას დისკუსიისკენ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, პირიქით, ამ გადაწყვეტილების მიღებისკენ მიბიძგა. ამასთან, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ: ჩემიონთა ლიგიდან „ბარსას“ გამოვარდნის მომენტიდან ამ ამბის ბოლომდე აბსოლუტურად გახსნილად ვმოქმედებდი“, – იხსენებს ლუიმ ფიგუ, რომლის „ბარსელონიდან“ „რეალში“ გადასვლამ მართლაც ერთი დიდი „საფეხბურთო ისტორია“ (თუ ისტერია) შექმნა. ამ ამბის განხმაურებისთანავე ფიგუს მოსიყვარულე კატალონიელებმა ისე შეიძულეს პორტუგალიელი ფეხბურთელი, თითქოს მას ხალხის წინაშე რაიმე მძიმე დანაშაული ჩაედინოს. „ბარსას“ იმ დროისთვის ახალდანიშნულმა პრეზიდენტმა, ჟოან გასპარმა „რეალში“ ფიგუს გადასვლას „ამორალური გარიგება“ უწოდა. „სამეფო კლუბმა“ კი, პორტუგალიელი ვარსკვლავი ას-



ტრონიმოულ თანხად, 56 მილიონ დოლარად შეიძინა (დღეისათვის ფიგუს რეკორდი მხოლოდ ფრანგ ზინედინ ზიდანს აქვს გაუმჯობესებული, რომელიც იგივე „რეალმა“ მიმდინარე საფეხბურთო სეზონის წინ 65 მილიონად იყიდა „ოუვენტუსისგან“).

ლუიმ ფიგუს აკრიტიკებდნენ პორტუგალიური გაზეთებიც და წერდნენ, რომ მათი თანამემამულე ფულს დახარბდა. „არ მსურს ფულზე ლაპარაკი. მზად ვარ ფულზე ზოგადად ვილაპარაკო, მაგრამ არა საკუთარ შემოსავალზე“, – იგერიებდა ჟურნალისტების შეტევებს ფიგუ, რომელსაც კატალონიელმა გულშემატკივრებმა ყველაზე მძიმე გამოცდა 2000 წლის 21 ოქტომბერს მოუწვეს, როდესაც „ნოუ კამპზე“ „ბარსა“ „რეალს“ მასპინძლობდა. სტადიონზე შეკრებილი კატალონიელები „კლუბის გამყიდველს“ ათასგვარი შეურაცხყოფელი და აგრესიული შეძახილებით ამკობდნენ და ესროდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ლუიმისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო კუთხურების ჩაწოდება, რადგან მოედნის ამ ნაწილში იგი ყველაზე ახლოს აღმოჩნდებოდა ხოლმე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული „ბარსელონის“ გულშემატკივრებთან. „მე ასეთი შეხვედრისთვის მზად ვიყავი, რადგან წარმოდგენილი მქონდა, რაც მოხდებოდა. „ნოუ კამპზე“ დაბრუნება უნიკალური და თანაც კომმარული იყო. ვფიქრობ, არც ერთ არტისტს ან სპორტსმენს არ ჰქონია ასეთ ატმოსფეროში გამოსვლის შემთხვევა. როდესაც ასე ათასი ადამიანი შენს წინააღმდეგ არის განწყობილი, ასეთი შემთხვევა მართლაც „გინესის რეკორდების წიგნში“ შესატანი. ხალხი ამგვარად ჩემ მიმართ უფრო, პრესის ზეგავლენით იყო განწყობილი. კატალონიურმა გაზეთებმა დიდი კამპანია გასწიეს ჩემს წინააღმდეგ. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ფიგუსთვის „ნოუ კამპზე“ ამგვარი „მიღება მოეწყოთ“. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არ იყო მიღებული უსაფრთხოების ზომები“, – იხსენებს ფიგუ, რომელმაც ის მატჩი მართლაც გმირული ნებისყოფითა და თავდაჭერილობით ჩაატარა. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში კი, ლამის ზოგიერთ მყურებელს ინფარქტიც დამართა, როდესაც ბარსელონელთა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა. თუმცა, ბოლო მომენტში კატალონიელთა კლუბის ერთ-ერთმა მცველმა ფეხებში ვარდნით იხსნა „ბარსა“ „სამარცხვინო გოლისგან“. მატჩის ბოლოს



ლუიმ ფიგუსთან ძველი თანაგუნდელები საითათოდ მიდიოდნენ, მეგობრულად ეხვეოდნენ და მყურებლის საქციელის გამო გულწრფელ ბოდიშს უხდიდნენ. „ეს ჩემთვის გასაკვირი არ ყოფილა. სუთი წლის განმავლობაში ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა. 90 წუთის განმავლობაში ყველა თავის სამუშაოს ასრულებდა, რის შემდეგაც ადამიანურმა ურთიერთობებმა გაიმარჯვა. საფეხბურთო მეგობრობა და მხარდაჭერა დიდებული რამ არის. მე არაერთი მეგობარი მყავს. მათ შორის კი, კატალონიელებიც არიან,“ – ამბობს ლუიმი.


ბოლო წლებში, საფეხბურთო მოედანზე ლუიმ ფიგუს ძირითად კონკურენტად გულშემატკივრებიც, სპორტული ჟურნალისტებიცა და ფეხბურთის სპეციალისტებიც ზინედინ ზიდანს მიიჩნევდნენ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ფიგუსა და ზიდანიც თითქმის ერთ პოზიციაზე თამაშობენ და ორივეს „თამაშის აწყობა“ – დაცვის დახმარება, შეტევის წამოწყება, საგოლე სიტუაციების შექმნა და გამოკვეთილ თავდამსხმელთა პასებით მომარაგება ევალება. „ღიან, ზიდანი დიდი ფეხბურთელია. იგი უდიდეს ზეგავლენას ახდენს ყველა იმ გუნდზე, რომელშიც თამაშობს. თუკი საფრანგეთს ორი უმთავრესი ტიტული აქვს მოგებული, ამაში ზიდანს უდიდესი წვლილი მიუძღვის“, – ამბობს ლუიმ ფიგუ, რომელიც ფიფას მიერ ჩატარებული ტრადიციული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, შარშან „ზიზუს“ შედეგ მსოფლიოს მეორე ფეხბურთელად დასახელდა. მიუხედავად ამისა, პორტუგალიელი ვარსკვლავი ფრანგული ყოველკვირეულის, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვის შედეგებით, პირველ ადგილზე გავიდა და 2000 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელადც დასახელდა. „მე ძალიან ბედ-

ნიერი ვარ. „ოქროს ბურთი“ პრესტიჟული ჯილდოა. მისი მოპოვება კი ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეულებს ძალუბთ. როგორ არ უნდა ვამაყობდე?! ამ ჯილდოს მეუღლეს, ელენ სვედინს და ქალიშვილს, დანიელას ვუძღვნი, რომლებიც ჩემი მათთან არყოფნით გაწამებულინი არიან. აგრეთვე არ დაგიფიცებ მეგობრებს, უახლოეს ადამიანებს, რომლებიც მე ვარს მახვევიან, პარტნიორებს „ბარსაში“, „რეალსა“ და ნაკრებში.

მათ გარეშე, მათი მხარდაჭერის გარეშე ხომ ვერასოდეს მივიღებდი „ოქროს ბურთს“, – ერთი წლის წინ ამბობდა ელევანტური, გაღიებული, ბედნიერი და ამაყი პროფესიონალი, ლუიმ ფიგუ, რომელმაც წელსაც, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებით დიდი საჩუქარი მიუძღვნა ოჯახსაც, მეგობრებსაც და თიელ პორტუგალიელ ხალხსაც. პორტუგალიაში ხომ იგი უკვე ეროვნულ გმირად ჰყავთ გამოცხადებული.

ლუიმ ფიგუ წლებადნელ საფეხბურთო სეზონშიც დიდ წარმატებებზე ოცნებობს. მას კი, ამ მხრივ კვლავ ორ ფონტზე მოუწვეს ბრძოლა: მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვან კლუბ მადრიდის „რეალში“ და პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებში, რომელსაც მომავალ ზაფხულს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში კორეა-იაპონიის სტადიონებზე ვიხილავთ. ლუიმისთვის ფეხბურთი ყველაფერია და როგორც თავად ამბობს, ბურთის გარეშე მხოლოდ ნახევარკაცი იქნებოდა.

**მოაგება
ალექსი რეხვიანიშვილი**



ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი დღესასწაულია, რომელიც კეთილი ზღაპრებისა და ჯადოსნობის სამყაროს კარს გვიღებს. მის დადგომამდე ყველა ბავშვი წუთებს ითვლის და მოუთმენლად ელოდება თოვლის პაპის, სანტაკლავსისა თუ იულტომტენის მობრძანებას. ამ დროს, ყველაზე შესაფერის საქმიანობად, სურვილების ჩაფიქრება და ერთმანეთის დასაჩუქრება არის მიჩნეული.



უძნ მოთხოვნ სჯავება ახალ წელს



ბულბარეთში ახალ წელს ტრადიციულად, შინ ხვდებიან. დღესასწაულის დადგომამდე ოჯახის ყველაზე პატარა წევრი ნაძვის ხესთან დგება და მღერის. სიმღერით მოხიბლული უფროსები ბავშვს საჩუქრებს გადასცემენ. ყველაზე საინტერესო კი, საათის მე-12 ჩამოკვრის შემდეგ იწყება, როცა მცირე ხნით შუქს აქრობენ და ერთმანეთს კოცნით ულოცავენ დღესასწაულს. ამის შემდეგ, დიასახლისი ღვეზლის დაჭრას იწყებს, რომელშიც სიურპრიზებია მოთავსებული. ვისაც მონეტა შეხვდება – სიმდიდრე ელის, ვარდის რტო – სიყვარულის ნიშანია. ასეთივე ღვეზელი-სიურპრიზი ფართოდ არის გავრცელებული რუმინეთსა და ავსტრალიაში.

მსგავსი ტრადიცია აქვთ **პორტუგალიელებსაც**: შობის დადგომამდე ისინი „სამეფო ღვეზელს“ ჭრიან, რომელშიც ნუშისა და თხილის გარდა, მოთავსებულია ერთი მონეტა და რაიმე პატარა ფიგურა. მას, ვისაც სიურპრიზი შეხვდება, გამორჩეულად ბედნიერი ახალი წელი ელის.

პატარა **დანეილავს** ხის ან პლუსშის ნაძვის ხეს სჩუქნიან, რომლის ძირშიც ზღაპრული არსება – ტროლია მოკლათებული. დანიელებს სჯერათ, რომ ტყის ჯუჯა ხის სულის განსახიერებას წარმოადგენს. შუღამის დადგომისთანავე დიასახლისს მაგიდასთან ტკბილი ბრინჯის ფაფით სავსე დიდი ჯამი მოაქვს. ამ ფაფის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ჯამის ფსკერზე თხილი ან ნუშია დამალული. ეს ტრადიცია განსაკუთრებით, გასათხოვარ გოგონებს მოსწონთ: ფაფაში თხილის პოვნა, დამდეგ ახალ წელს უეჭველი გათხოვების მაუწყებელია.

დიდ ბრიტანეთში საშობაო საჩუქრებს Father Christmas (სიტყვასიტყვით – შობის მამას) უკვეთენ. მასვე სწერენ სურვილებით სავსე წერილს და ბუხარში ავლებენ: მიაჩნიათ, რომ ბუხრის მილიდან ამოსული კვამლი აუცილებლად მიიტანს დანიშნულების ადგილამდე სურვილების სიას. ახლობლებისთვის საჩუქრების შესაძენად, ინგლისელები თავად დადიან და ერთმანეთისთვის დაახლოებით ერთნაირი ღირებულების ნივთებს ყიდულობენ: ძველი ტრადიციის თანახმად, ოჯახში საჩუქრების განაწილება კენჭისყრის გზით ხდება. აუცილებლობას წარმოადგენს აგრეთვე ნაცნობებისთვის საშობაო სურათებით გაფორმებული მის-



ალოცი ბარათების გაგზავნაც.

იტალიაში ძველი წლის გაცილებასთან ერთად, ძველ და უსარგებლო ნივთებს ფანჯრებიდან პირდაპირ ქუჩაში ყრიან. იტალიელები მუდამ ზრუნავენ იმაზე, რომ ახალ წელს არა მარტო ახალმოწყობილ ინტერიერში, არამედ სრულიად ახალ ტანსაცმელში ჩაცმულები შეეგებონ. საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება ძველი ტრადიცია, რომლის თანახმადაც, 31 დეკემბერს, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, ახლობელ ადამიანებს წითელი საცვლებით ასაჩუქრებენ. მათი აზრით, სწორედ ეს ფერი წარმოადგენს ცხოვრებისეული სიხალისის სიმბოლოს. პატარა იტალიელები კი, საჩუქრებს თოვლის ბებოს მსგავსი პერსონაჟისგან იღებენ, რომელსაც იქ ლა ბეფანას ეძახიან.

გერმანიაში შობა ოჯახურ დღესასწაულად ითვლება. ოჯახის წევრები სადღესასწაულო სუფრასთან იკრიბებიან და ერთმანეთს საჩუქრებს უცვლიან. ამ ცერემონიას თავისი სახელიც აქვს – ბეშერუნგი. საახალწლო ღვინოს აპოთეოზი კი, ღვეზელი der Lebkuchen-ია. მე-16 საუკუნეში, ფჟეილისგან, შაქრისა და ქიმიისგან დამზადებულ ამ „სასწაულს“, დიდი სკამის ფორმას აძლევდნენ, საუკეთესო მეკვლე კი, სწორედ ილიაში ღვეზელამოხრილი სტუმარი ითვლებოდა. მეკვლე ოჯახიდან ოჯახში გადადიოდა და ზოგან „სკამის ფეხს“ ტოვებდა, ზოგან კი – „საზურგეს“.

ავსტრიაში ყველაზე გავრცელებული საჩუქარია მინის ან ფაიფურისგან დამზადებული ღორის ფიგურა, რომელიც იმავდროულად, ყულაბის ფუნქციასაც ასრულებს.

ჩრდილოეთ ინდოეთის მცხოვრებლები ვარდისფერი, წითელი, იის-

ფერი და თეთრი ყვავილებით ირთებიან. **სამხრეთ ინდოეთში** ოჯახის დიასახლისები ტკბილეულს, ყვავილებსა და მცირე ზომის საჩუქრებს სპეციალურ ლანგარზე ალაგებენ. ახალ წელს, დილით პატარა ინდოელები თვალდაზრუნველ ელიან, როდის მიიყვანენ მათ უფროსები ამ ლანგართან. სწორედ ამის შემდეგ იღებენ ბავშვები მათთვის განკუთვნილ საჩუქრებს.

იაპონიაში არსებული ტრადიციის მიხედვით, ახალი წლის წინ ახლობლები ერთმანეთს იმ ცხოველის გამოსახულებიან ღია ბარათებს სჩუქნიან, რომლის წელიც დგება აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, ხოლო იაპონური სახლის საუკეთესო საახალწლო მორთულობად, კალომაცუ („ფიჭვი შესასვლელთან“) ითვლება. კალომაცუ ახალი წლის დღესასწაულის ღვთაებისადმი მიძღვნილი და ძირითადად, ფიჭვის ტოტების, ბამბუკისა და ბრინჯის დაწნული

ღვთაებისგან მზადდება. მის მოსართავად კი, გვირის რტოებსა და მანდარინს იყენებენ.

ჩინეთში შობის დროს ყველაზე მეხვედებით ნაძვის ხის ანალოგს – შუქის ხეს, რომელიც აღმოსავლური წესის მიხედვით, კაშკაშა ფერის ფარნებით, ყვავილებითა და გირლანდებით არის მორთული. ამგვარ ხეებს ქრისტიანი ჩინელები სახლის მოსართავად იყენებენ. პატარა ჩინელები დღესასწაულის მოახლოებისას, კედელზე წინდებს ჰკიდებენ, რომელშიც დუნ ჩე ლაო რენი (შობის პაპა) საჩუქრებს ათავსებს.

აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებში – **ვიეტნამში, კამბუჯიაში, კორეასა და მონღოლეთში** ახალი წლის განუყოფელ აქსესუარებად, ლამაზად გაფორმებული ნავის ნიჩბები ითვლება. აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული საშობაო ბაზრობები, რომელზეც ტანსაცმელთან, სურსათთან, სადღესასწაულო მოსართავებთან და საჩუქრებთან ერთად, იმედის, ნატურისა და ბედნიერების „შეძენაც“ შეიძლება: ყველაფერ ამას მრავლისმთქმელი სუვენირები გპირდებათ, მაგალითად: დარუმა – პირდაპირ ბუდისტური პანთეონიდან ჩამოტანილი ხის თოჯინაა, ჰამაიუმი – ბლავი ისრები ფრთებით, რომლის მეშვეობითაც ბოროტი ძალების განდევნა შესაძლებელია, ტაკარა-ბუნე – ბრინჯით დატენილი პატარა გემები, რომელშიც კეთილდღეობისა და წარმატების მომტანი შვიდი ღმერთის ფიგურაა მოთავსებული.

ფინეთში საახალწლო ღვინოს განუყოფელი ატრიბუტები, ქლიავის კისე-





ლი და ბრინჯის ფაფაა, ხოლო საშობაო დღესასწაულების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი – ფინელების საყვარელი მოხუცი თოვლის პაპა, რომელსაც ჟოულუპუკი ჰქვია. ძველი თქმულების თანახმად, წინათ მას საჩუქრებთან ერთად, წკეპლაც მოჰქონდა და ვიზიტს შემდეგი სიტყვებით იწყებდა ხოლმე: „ამ სახლში ურჩი ბავშვები თუ გყავთ?“... დღეს აღზრდის ამგვარი მეთოდი დავიწყებულია და საახალწლო საჩუქარს ყველა ბავშვი იღებს.

ამერიკაში საჩუქარზე მეტად ყურადღება მის გაფორმებას – ყუთსა და ლენტებს ექცევა. შობის დამეს ოჯახის წევრები და მათი ახლობლები სიამოვნებით ხსნიან საჩუქრებს, რომელიც შეიძლება, კომპოსტოსავით, ათობით ქაღალდში იყოს შეფუთული.

საზრანგეთში შობას Noel-ი ეწოდება და ახლობლები ერთმანეთს საჩუქრებს გარკვეული წესების დაცვით სჩუქნიან. მაგალითად, ფრანგებს მიაჩნიათ, რომ ქალისთვის სუნამოს ჩუქების უფლება მხოლოდ მის ქმარს აქვს და სხვა მამაკაცისგან მისი მიღება ქალს უხნეობად შეიძლება ჩაეთვალოს...

ავსტრიასა და **შოტლანდიაში** ბედნიერების ნიშნად, ქუჩაში ბუხრის მწმენდავთან შეხვედრაა მიჩნეული, ამიტომ, საუკეთესო საშობაო საჩუქარი, ბუხრის მილის გამურული მწმენდავის ფიგურაა. ყველაზე მოულოდნელ საჩუქრებს ერთმანეთს **ბრანდენბისის ესპიონსაზი** სჩუქნიან. ვინაიდან იქ ზაფხულის პერიოდშიც საკმაოდ ცივა, ყინულისგან გამოკვეთილი ფიგურები წლების მანძილზე კარგად ინახება.

შოტლანდიაში ახალი წლის დამეს ერთმანეთს ღვეხლის ნაჭრით, ჭიქა

ღვინითა და ნახშირის ნატეხით სტუმრობენ. მათი აზრით, ეს საჭმლით, სასმლითა და სითბოთი მთელი წლის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებაა.

შვედიაში, ძველი ტრადიციის შესაბამისად, თვითნაკეთ სანთლებს სჩუქნიან ერთმანეთს. ასეთი საჩუქარი იქიდან მომდინარეობს, რომ ზამთრის პერიოდში, პოლარულ წრესთან ახლოს მდებარე შვედეთში ადრე დამდება, ხოლო სანთელი, მეგობრობის, კეთილგანწყობისა და მხიარულების სიმბოლოა. ოჯახებში, რომლებშიც ბავშვები ჰყავთ, ახალი წლის ზეიმი იმით იწყება, რომ მამა გარეთ გადის ნაგვის გასატანად და სახლში იულ ტომტენის (შვედი თოვლის პაპის) სახით ბრუნდება. შუაღამის დადგომისთანავე, შვედები სერპანტინებს ისვრიან და საყვირზე უკრავენ, ხოლო იულ ტომტენი საჩუქრების დარიგებას იწყებს.

ისპანეთში საახალწლო დღესასწაულის დაწყებამდე, ნებისმიერ სახლ-

ში სტუმრობისას, სასაჩუქრო კალათაში შამპანურის ბოთლისა და ნუგის ნაჭრის ჩადებაა მიღებული. თვით ახალი წელი საყოველთაო ზეიმად ითვლება, ამიტომ შუაღამისას, ტრადიციებისა და რიტუალების მოყვარული ესპანელები ცენტრალურ მოედანზე დადგმულ ნაძვის ხესთან იკრიბებიან და ყურძენს მიირთმევენ. საათის რეკვის დროს, ნაძვის ხესთან შეკრებილი ათასობით ადამიანი ცდილობს, მოასწროს ყურძნის 12 მარცვლის შეჭმა. ყოველი მარცვალი დამღვევი წლის თითოეული თვის სიმბოლოს წარმოადგენს და მას, ვინც 12 მარცვლის გადასასწვლას მოასწრებს, სანუკვარი სურვილის შესრულება გარანტირებული აქვს. ეს ტრადიცია მათზეც ვრცელდება, ვინც შინ ამჯობინებს ახალი წლის შეხვედრას.

პირენეზი შამპანურისა და ღვინის ბოთლებით სავსე ტრადიციულ კალათასთან ერთად, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად სჩუქნიან ერთმანეთს ბანქოს ახალ დასტას.

ისლანდიაში მთელი დეკემბრის განმავლობაში, ბავშვები საოცრად დამჯერნი არიან, სამაგალითოდ იქცევიან და მშობლებს პრობლემებს არ უქმნიან, რადგან იციან, რომ 1-დან 24 დეკემბრამდე თოვლის პაპამ მათ სახლში ნებისმიერ დროს შეიძლება შემოიხედოს და თუ რაიმე არ მოეწონა, ახალ წელს, პატარისთვის განკუთვნილი საჩუქრის ნაცვლად, წინდაში კარტოფილი აღმოჩნდება.

ამრიგად, ჩაიფიქრეთ სურვილები და დაელოდეთ მის ასრულებას. ამისთვის საკმარისია, ახალი წლის პატარა სასწაული იწამოთ!..

მონაგვალა
მანანა ლოლოპერიძე



დასანწყისი იხ. „გზა“ №51

გუშინ კლასელები იყვნენ... ანზორა მოუკლავთ თურქეთში... დაუთვრით... თავი მისკდება და ხელები მიკანკალეებს... წერას ძლივს ვახერხებ.

კიდევ კარგი „ბორჯომი“ დაუტოვებიათ...

ჰო... რაზე გაჩერდი?

იმ ზაფხულს თიკომ ჩააბარა... ბათუმშიც წავიდა დასასვენებლად. უშნოდ გაიწვლა ზაფხულის დღეები...

შედლებისდაგვარად ვცდილობდი, თიკოზე არ მეფიქრა, თორემ საშინელ გუნებაზე ვდგებოდი. წარმოვიდგენდი, როგორ ბანაობდა თიკო ზღვაში, როგორ ჭამდნენ თვალებით ცმაწვილები მის ნორჩ სხეულს და სული ბოდმით მევსებოდა.

იმ ზაფხულს ჩემი სიძეც მარტო იყო ქალაქში, და და დისშვილები ბორჯომში ისვენებდნენ, ასე რომ, მე და სიძე თითქმის ყოველდღე ალკოჰოლში ვკლავდით მარტობით მოგვრილ კაემანს...

მოვიდა შემოდგომა...

სამსახურში გადავწყვიტეთ, საერთო ანგარიშით ყურძენი გვეყიდა და ღვინო დაგვეყენებინა. რადგან ყველაზე ხშირად ჩემთან გვიწევდა შეკრება, ამიტომ სწორედ ჩემთან გადავწყვიტეთ დაყენება, თანაც სარდაფიც მქონდა, შიგ მშენიერი საწინახელიც და ბოცებიც.

— ყურძენის საჭყლეტი თუ გაქვს? — დაინტერესდა უფროსი.

— ყურძენის საჭყლეტი ფეხებია, ბატონო თენგიზ!

— ე.ი. შენი ფეხების ნაბანი უნდა დაგვალეინო? — გაიცინა ბატონმა თენგიზმა.

— ჩემი ფეხები თუ არ მოგწონთ, მაშინ თიკოს დავაწურინოთ, — ძალიან გამიხარდა ასეთი აზრი რომ მომივიდა. რუსულანს გადავხედე.

— თიკომ რა იცის დაწურვა?! — გაიკვირვა რუსომ.

— მაგას რა ცოდნა უნდა, ყურძენზე უნდა გაიაროს და გამოიაროს...

— ოო, თიკოს ფეხის ნაბანის დაღვევა ნამდვილად შეიძლება... უფრო არომატულიც იქნება! — ეშმაკურად ჩამიკრა თვალი უფროსმა.

მეორე დღესვე ვიყიდე ყურძენი და საღამოთი დავადექი რუსულანს.

კარი თიკომ გამიღო.

— ვახო?! შემოდი.

— წამოდი, ყურძენი დავწუროთ.



ნუგზარ ბაგევი

დახეულთა რვეულთა

— რა ვქნათ?!

— ყურძენი დავწუროთ, ღვინო დავაყენოთ, სუფთა ღვინო. ხომ გიყვარს კარგი ღვინო?

— ძალიან! — თიკოს თვალები გაუბრწყინდა.

— ვახო, შენ სერიოზულად ამბობ, თიკო რისი დამწურავია?! რუსულანიც გამოვიდა. გაკვირვებული სახე და შეკრული წარბები ჰქონდა.

— წავალ, რა, დედა! დაწურვას რა უნდა?! ნინოსთან რომ ვიყავით რთველში, იქაც ჩვენ დავაწურინეს, — მაგრამ პასუხს აღარც დალოდებია და ტანსაცმელს დაუწყო ძებნა, — შორტს ჩავიცვამ, არა?

— ჯობია... — ვუპასუხე.

რუსულანი ისევ წარბშეკრული იდგა ნმაამოუღებლად.

თიკო მალე გამოვიდა. ხელკავი გამოძლო.

— თუ დავაგავინდა, არ იდარდო, ხომ ხედავ, სანდო ადამიანთან ვარ! — მიამხა დედას და წამოვედით.

— ჩვენი რთველი არ დავასველოთ? —

მომივიდა აზრად.

— რა თქმა უნდა!

მაღაზიაში შევედით.

— რა გირჩევნია: ლიქიორი თუ ვისკი?

— ვისკი... არ მიყვარს ტკბილი სასმელები, — უცნაურად თამამი და თავისუფალი იყო მისი მოქმედება, — სიგარეტიც იყიდე, რა...

— რა თქმა უნდა, — დაბნეულად ვუპასუხე, — რომელი?

— „მარლბორი“ ლაითი, ოღონდ დედაჩემს არ უთხრა, რომ ვეწვევი... კონსერვატორიაში ისეთი საეიქეთია, რომ არ მოწიო, არ შეიძლება!

— რა თქმა უნდა!..

სახლში ავედით.

— ჯერ ცოტა გრადუსი აკვიროთ, უკეთესად დავწურავთ, — ბოთლს თავსახური მოვხსენი.

— მოდი... ოღონდ, მე ცოტა დამისხი, ერთ ყლუპში რაც ეტევა, თორემ ყლუპყლუპად ვერ ვსვამ.

— შენც დატოვე, — და

ჭიქა ბოლომდე გავუსვსე.

რადაც სადღეგრძელო ვთქვი და დავლიე. უცნაურად შებოჭილი ვიყავი.

სახე ხან წამომიხურდებოდა, ხან ოფლი მინამავდა შუბლს... ის კი პირიქით, არაჩვეულებრივად თავისუფლად იქცეოდა, თითქოს ყოველდღე ჩემთან ქეიფობდა...

მანაც ასწია ჭიქა, სადღეგრძელო გაიმეორა და მთელი ჭიქა ერთ ყლუპად ჩაცალა...

გაოცებისგან პირი დამრჩა ღია.

— მომიკიდე, რა...

მოუკიდე. გემრიელი ნაფაზი დაარტყა.

— კარგია ვისკიზე სიგარეტი... ცოტა დამისხი, თორემ რამდენიც არ უნდა დამისხა, მაინც ერთ ყლუპად მესმევა...

— ამდენი კარგია?

— ჰო... მოდი, ახლა მე ვიტყვი სადღეგრძელოს... მოდი, სიყვარულს გაუმარჯოს!..

ბევრი ილაპარაკა. მე გაოგნებული შევეცქეროდი, ასეთი თიკო მაგარი უცხო იყო ჩემთვის, არ მოველოდი. ასეთი ურთიერთობისთვის არ ვიყავი მზად...

პარადი თიკოს მიჰყავდა...

მეც შევსვი სიყვარულის სადღეგრძელო.

— მუსიკები ჩართე, რა...

— ახლავე, — მაშინვე წამოვხტი და მავნიტოფონი ჩავრთე.

— ეს რა არის?! „ბითლზია“?! აუ, რა ძველია!.. როგორ მომწონს!.. — თიკო უკვე ცეკვავდა.

– რატომ არ ცეკვავ?

– მე ესეთები არ მეხერხება.

თიკო მართლაც კარგად ცეკვავდა, სხეულის ყველა ნაწილი საოცრად ემორჩილებოდა. განსაკუთრებით „ტალღა“ გამოსდიოდა ლამაზად.

– მაგარი სექსუალურია, არა? – მიბნედილი მხერა მომაპყრო, – დედაჩემს აღმოსავლურ ცეკვებზე დაგყავდი და იქ მასწავლეს...

მე კი ენაჩავარდნილი ვიჯექი და წარმოდგენაც არ მქონდა, შემდეგი ნაბიჯი საით უნდა გადამედგა.

ისევ ჩამოვასხი და გავუწოდე. მას ცეკვა არც შეუწყვტია, ეგრევე გადაკრა, შოკოლადი დააყოლა, თვალები დახუჭა და ისევ აპყვა მუსიკის ჰანგებს.

მეც დავლიე...

კასეტა დამთავრდა. გამოცვალე. წყნარმა, საამო ბგერებმა აავსო ოთახი. თიკო მომიახლოვდა და ყელზე ჩამოშეკიდა. მეც გაუბედავად მოვხვიე ხელი წელზე.

ნელა ვირწოდით...

თიკომ ყელზე მაკოცა. შეგვრთი. არ მახსოვს, რა ვიგრძენი... წესით, ნეტარებით უნდა დავმდნარიყავი, მესამე წელი იყო, ამაზე ვოცნებობდი... ყველაფერი ისეთი შორეული, მიუწვდომელი მეგონა... რას ვიფიქრებდი, რომ ეს ყველაფერი ასე მოულოდნელად მოვიდოდა!..

შემდეგ ტურნეზეც ვიგრძენი თიკოს ტურნების შეხება... ჯერ ნაზად, მერე კი გიჟური ვნებებით... მაისური მოიღვლა და შიშველი მკერდიც გამოაჩინა.

მე კი... მე შიგნით ყველაფერი გამყინვოდა...

– ვახო, გამზადე... – ყურში ჩამჩურჩულა და ყურის ბიბილოზე ნაზად მიკბინა.

– თიკო, ცოლად გამომყვები? – ჩემდა უნებურად წამოვროშე.

– კი... – ისევ განაგრძობდა კოცნას, ღილების გახსნაც დამიწყო.

არც გაუაზრებია, ალბათ, რაც ვუთხარი. ან, იქნებ, სულერთი იყო მაშინ მისთვის ყველაფერი? თავისი სურვილის ასასრულებლად, ალბათ, ყველაფერზე დამთანხმებოდა სიტყვით...

ვგრძნობდი, რომ არაფერი გამომივიდოდა. ის, რითაც მისი ნღომა უნდა დამეკმაყოფილებინა, აშკარად არ შემორჩილებოდა...

– ნუ ნერვიულობ, ქალიშვილი კარგა ხანია აღარ ვარ, – რაღაცნაირი სიამაყითაც კი წარმოთქვა...

ყურებს არ ვუჯერებდი... სიტყვებს დავეძებდი, ჩემი უსუსურობა რითიმე რომ გამემართლებინა.

– ჯერ დედაშენს ვთხოვოთ თანხმობა და მერე... – უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

– დედაჩემი რა შუაშია?! შენ მე გინდივარ, თუ დედაჩემი? – ეჭვნარევედ შემომხედა, – სანამ წამოგყვები, ხომ უნდა ვიცოდეთ, სექსუალურად ვეწყობით თუ არა ერთმანეთს?..

– შევეწყობით, აუცილებლად შევეწყობით... – და ჩემი ნათქვამის მეც აღარ მჯეროდა...

– კარგი გამაცილე...

გარეთ უკვე კარგად ბნელოდა. ხმაამოუღებლად მივდიოდი.

– პირველი შემთხვევაა, როცა უარი მითხრეს... – სიჩუმე დაარღვია თიკომ და უცნაურად ჩაიცინა, – ლამისაა პირველივე შემხვედრს მივახტე!

ყინულივით ცივმა ტალღამ გამიბრინა კანქვეშ...

– დედაჩემს ნურაფერს ეტყვი, მე თვითონ მოველაპარაკები...

რუსუდანი გაბრაზებული დავგვხვდა.

– სად იყავით ამდენ ხანს?!

– სანამ დავწურეთ, რამე... მერე ცოტა რთველიც დავასველეთ... – მივედ-მოვედე რაღაცას...

იმ ღამეს მკვდარივით მეძინა. ღილით თვალის გახელაც არ მინდოდა. არასდროს ვყოფილვარ საკუთარ თავზე ასეთი იმედგაცრუებული...

სამსახურში აღარ წავსულვარ. სარდაფში ჩავედი და ყურძნის დაწურვა დავიწყე. დანა პირს არ მიხსნიდა.

შემდეგ ერთი აზრი მომივიდა და ქუჩაში გამოვედი. იქვე ნაცნობი ქალი ცხოვრობდა. სტუდენტობისას არაერთხელ დამიოკებია მასთან ჩემი მამაკაცური ყინი... სასმელ-საჭმელი ვიყიდე და იქით გავეშურე.

– ვა, ვახო?! – ძლივს მიცნო.

მეც ძლივს ვიცანი, ისე გამოცვლილიყო და გაბანძებულიყო. კინაღამ უკან გამოვბრუნდი...

მაგრამ არა... მე სულ სხვა რამ მაინტერესებდა!

დალია...

დავლიე...

რაღაცები მოვიგონეთ...

შემდეგ განდა დავუწყე. სულ დასტკნობოდა ბუბუბუ... ზიზღს ძლივს ვძლიე... ყველაფერი ჩინებულად გამომივიდა! შინ კმაყოფილი დავბრუნდი... დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიხეზე ტანი...

მაღლე რუსუდანი ბათუმში წავიდა რაღაც საქმეზე. გამიხარდა. გადავწყვიტე, მეორე დღესვე მივსულიყავი თიკოსთან და ყველაფერი გამომესწორებინა...

მოსაღამოვდა. ვიყიდე ვისკი და შოკოლადი და თიკოს დავადექი.

თიკოს არ გაღიძვინა.

– შეიძლება?..

– მოდი...

სარაფანი ეცვა თიკოს, „ლიფტიკის“ შავი სამხრეები მოუჩანდა...

– ეს, შენი საყვარელი ვისკი...

– იმ დღეს მაგრა დავთვერი, მგონი რაღაც ზედმეტები გელაპარაკე, არ მახსოვს...

– არაფერი... – წავილულულე.

– ახლავე მოვალ, – სააბაზანოში შევიდა.

იქიდან რომ გამოვიდა, „ლიფტიკის“ სამხრეები აღარ მოუჩანდა.

„გაინადა“, – გამიღვია თავში და საამო ჟრუანტელმა დამიარა.

– დავლით? – ბოთლი ვაჩვენე.

– რა ვიცი...

გავხსენი. დავასხი. მან ძველებურად გადაჰკრა, ჩართო მაგნიტოფონი და ისევ ცეკვა დაიწყო.

მივედი. წელზე ხელი მოვხვიე. არ გამძალიანებია. ღილები შევუხსენი. დავუკონე ყელი, მხრები, ვარდისფერი მუტუები, მარწყვივით ტურები, შემდეგ ხელში ავიყვანე და საწოლ ოთახში შევიყვანე.

მაგრამ რა!..

მივხვდი, რომ არც ახლა გამომივიდოდა რამე. სიმწრის ოფლმა დამასხა.

– რა მოგივიდა?.. – ცივად შემეკითხა თიკო.

– არ ვიცი... მაკომპლექსებ... არასდროს მომხვლია ასე...

– სამწუხაროა...

– ცოლად რომ წამომყვები, ყველაფერი გაივლის, შეგეჩვევი... იცი, თიკო, ყველაფერი ძალიან უცბად მოხდა, გადახარშვა ვერ მოვასწარი... ძალიან მიუწვდომლად მეჩვენებოდა და იოლად რომ მოგწვდი, დავიბენი.

– იოლად?! მერე ვინ გითხრა, რომ მომწვდი?! სხეული – ეს არაფერია, ეს ხორცია მხოლოდ, – მუხლზე ხელი დაირტყა, – მთავარი სულ სხვა რამაა!.. ცოლობა კიდევ, რა ვიცი... ჯერ ვსწავლობ, ვახო...

– სწავლაში ხელს არ შეგიშლი, თიკო. რაც პირველად გნახე, იმის შემდეგ სულ შენზე ვფიქრობ, სიგიჟემდე მიყვარხარ... შენც და დედაშენიც...

გაბრაზებულმა შემომხედა.

– ვინ უფრო მეტად, – მე თუ დედაჩემი?

– შენ... – დავიბენი.


ავდექი. ტანსაცმელი გავისწორე.

– ზეგ მამუკას დაბადების დღე აქვს, წამოდი, გადასარეე დროს გავატარებთ.

– არ ვიცი...

– აუცილებლად წამოდი... ყველაფერი კარგად იქნება... – ლოყაზე ვაკოცე და წამოვედი.

ვგრძნობდი, რომ ეს დასასრული იყო, მაგრამ არ მსურდა ამის დაჯერება... და არავინ იყო ამაში დამნაშავე, არავინ! ჩემ



გარდა!..

დადგა მამუკას დაბადების დღეც. აღელვებულმა მიუუკაკუნე რუსუდანის კარს. კარი რუსუდანმა გამიღო.

– თიკო სახლშია?

– თიკო მეგობრებთანაა, – მიპასუხა მკაცრი სახით.

– მამუკას დაბადების დღეზე უნდა წამოსულიყო. მამუკამ დაპატიჟა, – ვიცრუე.

– არ ვიცი, ჩემთვის არაფერი უთქვამს...

– კარგი... ბოდიში...

სასოწარკვეთილი გამოვბრუნდი. აღარც მე მიმიწევდა გული დაბადების დღეზე, მაგრამ მაინც წავედი. ჩემს თავთან მარტო რომ დავრჩენილიყავი, ალბათ გავვიფლებოდი!

მამუკასთან ღორივით გავიღეშე და სახლში წამოვბარბაცდი. გზაში სასმელი საშინლად მომეკიდა. აღარაფერი მახსოვს...

როცა აზრზე მოვედი, ცის კიდეს უკვე ნაცრისფერი ეპარებოდა. თიკოს სახლთან გზისპირას ვიჯექი, თიკოს ჩაბნელებულ ფანჯრებს გავცქეროდი და ცრემლები დაბალუბით ჩამომდიოდა...

მივხვდი, რომ ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ნათელი სიყვარულის გამოტირება...

სამსახურს გულს ველარ ვუღებდი. რუსუდანს თვალს ველარ ვუსწორებდი. ასე შეგონა, ყველამ ყველაფერი იცოდა და საშინლად მრცხვენოდა...

გადავწყვიტე, ცოლი მომეყვანა, რათა როგორმე გამეღწია ამ მოჯადოებული წრიდან, მომეყვანა ვინმე პროვინციელი, რომლისთვისაც სხეული „მხოლოდ ხორცი“ არ იქნებოდა.

მეგობრის ქორწილი მომაგონდა, თაზოსი, მისი მეუღლის მეჯვარე – დიდის ამბით ცოლად რომ მირჩევდნენ... მართლაც

კარგი გოგო იყო... წყნარი, რაც მთავარია. რომ ვესაუბრებოდი, ოდნავი სიწითლე გადაურბენდა ხოლმე სახეზე. გარეგნობაც სადღომიანი ჰქონდა.

მომაგონდა და ამ იდეამ მთელი არსებით გამიტაცა. თან იმ დღეებში მეგობარიც მესტუმრა, ირკუტსკში მუშაობდა, ერთ ფირმაში მთავარ არქიტექტორად. სამუშაო ბევრი გვაქვსო და ხელფასიც დიდიაო – მითხრა და თავისთან დამპატიჟა სამუშაოდ. ბავშვობიდანვე ერთად ვიყავით გაზრდილნი, მისი იმედი მქონდა...

მალე ცოლს მოვიყვან და წამოვალ-მეთქი... გაუზარდა.

მეც გამიხარდა. მისი გამოჩენა განგების მინიშნებად ჩავთვალე და შევუღდექი საქმეს...

თაზო ვნახე. გამოვიკითხე მისი მეუღლის მეჯვარის შესახებ ყველაფერი და ჩემი გეგმებიც გაუშმხილე.

– ასეთი კარგი ჯერ არაფერი მოგიფიქრებია. ძალიან გამიხარდა. აბა, როდემდე უნდა გეველო ასე მარტოს, თან გადასარევი გოგოა, წყნარი. ჩემსას კი არ ჰგავს „ავჩარკას“! – მითხრა თაზომ, – ხვალვე გავაგზავნი ცოლს და ჩამოვაყვანინებ. ამ დღეებში ჩემს ზარს დაელოდე.

მართლაც, მეორე დღის საღამოს დამირეკა.

– ცოლი გინდა? – მკითხა.

– ჰო, – გამეცინა.

– ჰოდა, მოდი.

რადაც-რადაცები ვიყიდე და წავედი. სუფრა უკვე გაშლილი დამხვდა. დავსხედით. ჩუმად ვჭამდით, ყველანი უცნაურად დამაბულები ვიყავით.

თაზომ ერთი-ორი სადღეგრძელო დალია. დამაბულობა მაინც ვერ მოიხსნა. მერე ველარ მოითმინა, ადგა, დიდი ყანწი აიღო, მეორე მე მომაწოდა, ორივე ღვინით გაავსო და მითხრა:

– მოკლედ, ძალიან რომ არ გავახურო, აგერ არის ნელი... პატარები აღარ ხართ და ორივემ კარგად იცით, აქ რატომ შევხვდით. მეც შენხელა ვარ, ვახო, და ხომ ხედავ, უკვე ათი წლის ვაჟკაცი მყავს, მალე სიმაღლეში გამასწრებს!

– შენც, ახლა ორმეტრიანი ხარ... – ვიხუმრე ვითომ.

– რაც ვარ, მყოფნის! ჰოდა, შენც გეყოლება, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! ლამაზი, ქართული ოჯახის შექმნას გისურვებთ! აბა, თქვენ იცით!

ნელის სახეზე სიწითლემ გადაურბინა.

დიდხანს არ გავჩერებულვართ. ნელიმ – დეიდა ინერვიულებსო და წასვლა გადაწყვიტა.

– აბა, შენ იცი! – მხარზე ხელი დამკრა თაზომ და თვალი ჩამიკრა.

რა თქმა უნდა, გავაცილე. გაბუტულელებით მივდიოდით. შემდეგ ხელკავის გამოღება ვცადე. მომიცილა.

– არ გინდა, – ისევ წამოწითლდა, – არ ვარ მიჩვეული...

– ნელი, მოდი, პირდაპირ ვიტყვი, რა... პატარები მართლა არ ვართ და შორიდან აღარ მოვუვლი... რომ გითხრა, სიგიჟედ მიყვარხარ-მეთქი, შენ თვითონაც არ დამიჯერებ, მაგრამ იმის პირობას გაძღვე, რომ გადასარევი მეუღლე ვიქნები, სიცოცხლეზე მეტად მეყვარება შეილება და ოჯახი... გამომყევი ცოლად...

ნელი დუმდა. თვალები მორცხვად ჰქონდა დახრილი და ჩემკენ არც იყურებოდა.

– აქამდე რატომ არ მოიყვანე ცოლი? – თავი არ აუწვია, ისე მკითხა.

– რა ვიცი... ვინც მიყვარდა, იმან უარი მითხრა, – ჩავიცინე.

ნელის დედის სახლსაც მივადექით.

– მეტზე ნულარ გამაცილებ... – ნელი, როგორია შენი პასუხი?

– არ ვიცი... მშობლების გარეშე ვერ გადავწყვეტ. იმათ დაველაპარაკები... მალე ახალი წელია... ახალი წლის შემდეგ შეგატყობინებ...

ძალით ვაკოცე ლოყაზე და ყურში ჩაჩურჩულე:

– შენ ძალიან კარგი გოგო ხარ! ნელი სახეზე აიღეწა და სწრაფი ნაბიჯით გამცილდა.

მე ვიდექი და ვუცქერდი... როგორ არ ჰგავდა იგი თიკოსს!.. მორცხვი, უთქმელი... და ძალიან მომინდა მისი მფარველი გავმხდარიყავი...

მესამე სართულზე შუქი აინთო. ნელის სახე შევიცანი, ჩემკენ იყურებოდა და მივხვდი – იგი უკვე ჩემი ცოლი იყო...



რეჟისორ ბრიუს ბირსფორდის ფილმში – „ორმაგი გათვლა“ ემლი ჯადმა ოსტატურად შეასრულა ქალის როლი, რომელსაც ქმრის მკვლელობაში ბყუილად სდებენ ბრალს. ამის შემდეგ ბევრმა აღნიშნა, რომ მართალია, ემლი ჯადი „ჯახიანი კლინტ ისტუდი“ არ არის, მაგრამ თუ ამგვარადვე გააგრძელებს ძლიერი ქალების ეკრანზე განსახიერებას, რომლებიც დამოუკიდებლად ახერხებენ შეურაცხყოფელთან გამკლავებას (კიდევ ერთ, ადრინდელ ფილმში – „აყოცე გოგონებს“ მისი გმირი მანიაკის წინააღმდეგ იბრძოდა), სულ მალე ემლი ნამდვილად შეძლებს ჰოლივუდელი სუპერგმირი მამაკაცებისთვის კონკურენციის განწევას.

ემლი ჯადი:

ქინოში გაღალახა იმისთვის შინა, რომ ჩაბეჭდო ხალისიანი თვე გავატარო...

„ორმაგი გათვლაში“ მონაწილეობას იმიტომ დავთანხმდი, რომ ჩემი როლი განსხვავებული იყო იმისგან, რასაც ჩვეულებრივ სთავაზობენ ხოლმე ქალებს ჰოლივუდში. აქაც და ფილმშიც „აყოცე გოგონებს“ შემეძლო ვყოფილიყავი სხვანაირი და არ მეთამაშა უბრალოდ „კარგი გოგონა“ ან „მოწყენილი გოგონა“, და კიდევ – თვით შურისძიების თემა თავისებურ ენერგეტიკულ მუხტს ატარებს“, – აღნიშნავს ჯადი.

თავიდან, ეს როლი „ორმაგი გათვლაში“ ჯოდი ფოსტერს შესთავაზეს, მან სტუდია-სთან კონტრაქტსაც კი მოაწერა ხელი და გადაღებისთვის მთელი ექვსი თვე ემზადებოდა, მაგრამ ორსულობის გამო, მუშაობა ვეღარ შეძლო, ასე რომ, ჯადს გაუმართლა: სწორედ ამ როლის წყალობით მოხვდა იგი ჰოლივუდის ძვირად ღირებულ მსახიობ ქალთა სიაში.

მოუხედავად იმისა, რომ ფილმში მრავლად არის ავტომობილით დევნისა და სროლის ეპიზოდები, ემლის ყველაფერი ეს დიდ ფიზიკურ დატვირთვად არ მოსჩვენებია: „დიდი ხვეწნის შემდეგ, ნება დამრთეს, ყველა ტრიუკი თავადვე შემესრულებინა, მაგრამ კატეგორიულად ამიკრძალეს სკოლის შენობის სახურავიდან გადმოხტომა. იცოდნენ, რომ ამასაც დაუინებოთ მოვითხოვდი, ამიტომაც ეს სცენა ჩემგან მალულად გადაიღეს, როცა გადაღება არ მქონდა“.

რაოდენ ძნელი დასაჯერებელიც არ უნდა იყოს, სცენა, რომელშიც ფილმის გმირები ოკეანეში მანქანით იძირებიან, სწორედ მსახიობთა მონაწილეობით – ლუბლიორების გარეშე გადაიღეს. „ჩვენთვის

სპეციალური კონტეინერი ააგეს, რომელშიც წყალი არ ცივდებოდა, მაგრამ რაღაც არ გამოუვიდათ და სამინლად გავითოშეთ“.

კიდევ უფრო მწარედ, მსახიობი იმ სცენას იხსენებს, როცა დახურულ კუბოში მოუწია წოლა. „ამის შემდეგ მთელი დღე ვტიროდი. შეიძლება, იმიტომაც, რომ ეს, ბოლო სცენა იყო და გადაამღებ ჯგუფს უნდა დაგმორებოდი, – თუმცა, იმანაც იმოქმედა, რომ კუბოში დიდხანს და გაუნძრევლად წოლამ სიკვდილზე ფიქრი დამაწყებინა“.

ბევრი სხვა სახელგანთქმული მსახიობისგან განსხვავებით, ცხოვრებაში ემლი ჯადი მართლაც ჰგავს თავის საეკრანო გმირებს: ის თანამედროვე, ნებისყოფიანი, ჭკვიანი და დამოუკიდებელი ქალია. „როცა ვიზრდებოდი, მუდამ თვალწინ მდებნენ ისე-

თი ქალები, რომლებიც ყოველთვის იმას აკეთებდნენ, რაც სურდათ“, – ჰყვება ემლი ჯადი, რომელმაც ბოლო პერიოდში მიღწეული წარმატებით, როგორც იქნა, დაჩრდილა მისი მომღერალი ნათესავების – დედის ნაომისა და დის უაინონას პოპულარობა.

მანამდე, სანამ ემლის დედა და უფროსი და, ქანთრი-მუსიკის ვარსკვლავები განდებოდნენ, ოჯახი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა და კენტუკისა და კალიფორნიაში ხშირად იცვლიდა საცხოვრებელს. ამის გამო, ემლის სწავლის პერიოდში 12 სკოლის გამოცვლა მოუხდა. ბავშვობაში გოგონა ხსნას მხოლოდ ოცნებებში პოულობდა: „ხშირად ვესაუბრებოდი გამოგონილ მეგობრებს, დედაჩემი ამას არ მიშლიდა, პირიქით – მეუბნებოდა, რომ წარმოსახვა შემდგომში, შთაგონებად შეიძლება

„ორმაგი გათვლაში“ გომი ლი ჯონსთან ერთად



ქვეულიყო. შემოდლო წამეკითხა წიგნი გოგონას შესახებ და წარმოძღვინა, რომ წიგნის გმირი — მე ვიყავი. ასე რომ, არასოდეს მიფიქრია, რომ მსახიობი უნდა გავმხდარიყავი — უბრალოდ, ეს ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული მქონდა“.

ემლიმ უარი განაცხადა, ენაზა ტელეფილმი თავისი ოჯახის შესახებ: „ნაომი და უაინონა: სიყვარულს ხიდის აგება შეუძლია“, რომელიც დედამისის ავტობიოგრაფიის მიხედვით შეიქმნა (სხვათა შორის, ფილმში ემლის მამინაცვლის როლს, „ორმაგ გათვლაში“ მისი პარტნიორი ბრიუს გრინვუდი ასრულებს). „ამ ფილმს არაფერი აქვს საერთო ჩემს ნამდვილ ბავშვობასთან. ის სცენარისტების, პროდუსერების, რეჟისორებისა და ტელევიზიის ხელმძღვანელთა შეხედულებებით არის შექმნილი. დედაჩემის წიგნი სატელევიზიო ვარიანტის შესაქმნელად გაამართლებს“, — აღნიშნავს ემლი. როცა ეს ავტობიოგრაფია გამოცა, ემლი და უაინონა ზუმრობდნენ, რომ ახლა საჭირო გახდა, დები ერთად დამსხდარიყვნენ და დაეწერათ წიგნი სათაურით — „სიმართლე“. და მაინც, ტელევიზიის წარმატებისთვის, გოგონებს თოქ-შოუებში მონაწილეობა და ინტერვიუების მიცემა უხდებოდათ.


კენტუკის უნივერსიტეტში სწავლის შეწყვეტის შემდეგ, სადაც იგი ფრანგულ ენას ეუფლებოდა, 1992 წელს ემლი ჰოლივუდში გაემგზავრა და პირველივე სინჯების შედეგად, ფილმში „კაფისი“ მიიწვიეს, სადაც მას პარტნიორობა კრისტინ სლეიტერმა გაუწია. რამდენიმე სატელევიზიო სერიალში („დები“, „ვარსკვლავეთის გზა: მომავალი თაობა“) გადაღების შემდეგ, მან ისევ მიიპყრო ყურადღება და ფილმში — „ნორმა ჯინი და მერილინი“ მონროს როლის შესრულებისთვის პრემია „ემიზეც“ იქნა წარდგენილი. ამას მოჰყვა სამაგალითო ცოლების როლები, კერძოდ: „მკვლელობის დრო“ — მეთიუ მაკონაჰისთან და „შერკინება“ — ველ კიდმერთან ერთად. თუ ჭორებს დაეუფვებოდნენ, ფილმის „მკვლელობის დრო“ გადაღებისას, ემლისა და მეთიუს, ვნებიანი სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდათ განაღებული. საკმაოდ ხმაურიანი რომანი ჰქონდა ჯადს რობერტ ლე ნიროსთან, რომელსაც შემდგომში ემლი მუდამ თავის დიდ მასწავლებელს უწოდებდა. და საერთოდ, დედამისიც კი გაკვირვებით აღნიშნავდა — როგორ შეეძლო ემლის, ყველა იმ პარტნიორის შეყვარება, რომელთან ერთადაც კამერის წინ მოუხდებოდა დგომა?!

ემლი ჯადის ნიჭიერებასა და მომხიბლაობას ადრეც ყველა აღიარებდა და, როგორც იქნა, მან მთავარი როლი შეასრულა იმდროინდელ ჰიტში — „აკოცე გოგონებს“, რომელმაც დიდი წარმატება

მოუტანა. „არის ფილმები, რომელზეც უარს ვაცხადებ ხოლმე, თუმცა ვიცი, რომ გამოვლისთანავე, ტონობით ფულს მოიტანს, — ამბობს ემლი, — მაგრამ როლის არჩევისას უპირველესად, იმ სურვილით ვხელმძღვანელობ, რომ გადაღებისას რამდენიმე ხალისიანი თვე გავატარო, ის კი ნაკლებად მალეღვებს, თუ რა შემოსავალს მოიტანს ფილმი. ცხოვრებით ისედაც კმაყოფილი ვარ, ამიტომ ვცდილობ, სიამოვნებისთვის ვითამაშო“.

მას შემდეგ, რაც 1993 წელს ემლის მალიბუში მღებარე სახლი დაეწვა, ის დედასთან და დასთან ახლოს, ნეშვილში, 1819 წელს აგებულ სახლში დაბინავდა, რომელსაც მანამდე დიდხანს არემონტებდა. „ისიც ვიცი, როგორ შეიძლება სახელმა და თაყვანისმცემლებმა ცხოვრება გაგიმწარონ, — ჰყვება ჯადი, რომელსაც კარგად ახსოვს, თუ როგორი სტრესის გადატანა მოუხდა, როცა სახლში ფანატი შეეჭრა, — ამიტომ, მირჩევნია, ვიცხოვრო არა ლოს-ანჯელესში, არამედ ნეშვილში — შოუბიზნესიდან მოშორებით. ჩემი სახლი ჩემივე პოპულარობისგან მიცავს. სხვათა შორის, სავსებით ვეთანხმები ოდრი ჰეპბერნს, რომელმაც თქვა: „ამქვეყნად არაფერია ისეთი, რისი მორჩენაც ბუნებას არ შეუძლია“.

მეთიუ მაკონაჰისთან განშორების შემდეგ, ემლის ხანმოკლე რომანი ჰქონდა მოძღვრალ მაიკლ ბოლტონთან, ხოლო შემდეგ, როგორც იქნა, ცხოვრების მეზობური ავტობიოგრაფიული დარბო ფრანჩიტი იპოვა. წვეილი საკმაოდ დიდხანს ხვდებოდა ერთმანეთს და ემლი აღნიშნავდა, რომ ცოლად მხოლოდ იმ ადამიანს გაჰყვებოდა, რომელიც შეუძლებამდე მასთან ერთად ეწე. „ქორწინებამდელ გასაუბრებას“ გაივლიდა. „იქ ადამიანები ერთმანეთს ისეთ აზრებს უზიარებენ, რაზეც ვაზში ის ან ფილმის ყურების დროს არ საუბრობენ: ეს ოცნებები, სურვილები და შიშები. თუ ადამიანთან ერთად დარჩენილი ცხოვრების გატარებას აპირებ, აუცილებლად უნდა იცოდე მის შესახებ ასეთი წერილმანებიც კი“. გაიარეს თუ არა შეყვარებულებმა გასაუბრება — უცნობია, მაგრამ ცნობილია ის ფაქტი, რომ 12 დეკემბერს შოტლანდიურ ციხესმაგარეში ემლი ჯადისა და დარბო ფრანჩიტის გრანდიოზული ქორწილი გაიმართა. წვეილს ბედნიერება ახლობლებმა და სტუმრად მოწვეულმა 300 ადამიანმა ერთხმად უსურვეს!



Porsche-ს ოჯახში მატებაა



911-ე სერიის სპორტული ავტომობილები გერმანული ფირმა „პორშეს“ მთავარი სიამაყეა, თანაც, სწორედ ამ მანქანებს მოაქვს მისთვის წლიური ბრუნვის მესამედი, რომელიც საერთო ჯამში, 8,5 მლრდ მარკას (დაახლოებით 4 მლრდ დოლარს) შეადგენს. სულ ცოტა ხნის წინ, დეკემბრის შუა რიცხვებში, ფირმამ 911-ე ოჯახის ორი ახალი მოდელის – Porsche Carrera 4S-სა და Porsche Targa-ს – წარმოება დაიწყო. Carrera 4S-ი სრულამძრავიანი ავტომობილია, რომელიც გარეგნულად, ძალიან ჰგავს სერიის ფლაგმანს – Porsche Turbo-ს. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, რომელიც სპორტული სტილის მართვის უკომპრომისო მიმდევრებისთვის არის გათვალისწინებული, „კარერა“ ნაკლები სიმძლავრის ძრავით არის აღჭურვილი: თუ „ტურბო“ 420 ცხ.ძ-ს ავითარებს, „კარ-

ერა“ 320 ცხ.ძ-ს სჯერდება. მიუხედავად ამისა, 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 5,1 წმ-ში აღწევს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 280 კმ/სთ-ია.

სრული ამძრავის წყალობით, ავტომობილი აბსოლუტურად გაწონასწორებულია მოძრაობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს მაინც მოუვა შეცდომა, მას უმალ გამოასწორებს ელექტრონული მასტაბილიზებელი სისტემა PSM (Porsche Stability Management). რისკის მოყვარულთ მისი გამორთვაც შეუძლიათ, თუმცა მუხრუჭზე დაჭერისთანავე, ელექტრო სისტემა კვლავ ჩართვება და კონტროლიდან მანქანის გამოსვლას არ დაუშვებს.

გერმანიაში „კარერა“ გაცილებით ნაკლები ელირება, ვიდრე „ტურბო“, – დაახლოებით 80.000 დოლარით.

მეორე მოდელი – „პორშე ტარგა“

ორიგინალური დიზაინით გამოირჩევა: გამჭვირვალე სახურავი კაბრიოლეტის ეფექტს ახდენს. ელექტროამძრავის მეშვეობით სახურავი ადვილად იხდება, მაგრამ „ტარგას“ აეროდინამიკა იმგვარად არის შესრულებული, რომ თავახდელი ავტომობილით სიარულის დროსაც, მგზავრთა ვარცხნილობას არაფერი ემუქრება. „ტარგა“ „კარერაზე“ რამდენადმე იაფი – 70.000 დოლარი ელირება.

ფირმა „პორშე“ საერთო ჯამში, 60 ათასამდე ავტომობილს აწარმოებს. კარგა ხნის წინ თითქმის საკულტოდ ქცეული მარკის ფასი, 62.000-დან (Porsche Carrera Coupe) 160.000 (Porsche GT2 - სპორტული ავტომობილი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ნამდვილ სარბოლო მანქანებს) დოლარამდე მერყეობს. ■


ქადაქში სასიხუდო Hyundai TB

თუმცა ახალი კომპაქტური ავტომობილი Hyundai TB ჯერჯერობით მხოლოდ კონცეპტუალური მანქანის სახით არსებობს, კორეული კომპანიის ხელმძღვანელობამ უკვე გამოაცხადა, რომ მისი სერიული წარმოებაც არის დაგეგმილი, ევროპაში გაყიდვა კი, 2002 წლის აგვისტოში დაიწყება.

ეს ოთხკარიანი მოდელი თავიდანვე იქმნებოდა, როგორც ტიპური ქალაქისთვის განკუთვნილი ავტომობილი, რაც კონსტრუქტორებს საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე აყენებდა: გარეგნულად საკმაოდ კომპაქტურ გაბარიტებთან ერთად, სალონის მაქსიმალური კომფორტისთვის უნდა მიეღწიათ. კორეელმა სპეციალისტებმა ტევადობის პრობლემას სიმაღლის ხარჯზე გადაწყვიტეს (1,60 სმ); მანქანის სიგრძე 4 მ-ზე ნაკლებია, სიგანე კი 1,5 მ-საც არ აღწევს. უკვე ცნობილია, რომ ამ ავტომობილისთვის ბენზინის სამნარი ძრავა არის შექმნილი: 1,1 ლ (60 ცხ.ძ.), 1,3 ლ (80 ცხ.ძ.) და 1,6 ლ (103



ცხ.ძ.). ლიტრ-ნახევრიანი ტურბოდიზელი ცოტა მოგვიანებით – 2003 წლის გაზაფხულისთვის დამზადდება. ევროპელ ავტომოყვარულებს კორეული მწარმოებლები ამ მანქანის, როგორც ოთხ, ისე ორკარიან ვარიანტს შესთავაზებენ. ■



Zonda – ნინასნაიჩი ჩანეხით შესაძენი ავტომობილი

სატიუნინგო ატელიე, რომელიც მზად არის, ყველაზე პრეტენზიულ ავტომოცვარულთა გემოვნება დააკმაყოფილოს, დიდი ხანია, იტალიის სავიზიტო ბარათად იქცა. ასეთი ატელიეს ერთ-ერთ მკაფიო ნიმუშს, ფირმა Pagani წარმოადგენს, რომელიც ქალაქ მდინაში – სახელგანთქმული „ლამბორჯინის“ მეზობლად მდებარეობს და კლიენტებს, მასზე არანაკლებ სწრაფ მანქანებს სთავაზობს. Zonda C 12S – ასე ეწოდება ფირმა „პაგანის“ ახალ ქმნილებას, რომელიც 1250 კგ-ს იწონის და „ფორმულა 1“-ის ბოლიდებისთვის ჩვეული ტექნიკური მახასიათებლებით გამ-

ორჩევა, კერძოდ: 3,7 წმ – 100 კმ/სთ სიჩქარემდე, 340 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარე. ავტომობილი 7 ლ მოცულობისა და 550 ცხ.ძ-ის მქონე 12 ცილინდრიანი ძრავით არის აღჭურვილი, რომელიც ამ კონდიციამდე გერმანული სატიუნინგო კომპანია AMG-ის ინჟინრებმა მიიყვანეს. ელევანტური სალონი ძვირფასი ტყავით, ალუმინითა და იშვიათი ჯიშების ხის მასალით არის მოპირკეთებული. სუპერმანქანის შექმნის იდეა ფირმის ფუძემდებელს ჰორაციო პაგანის მისმა მეგობარმა, „ფორმულა 1“-ის ლეგენდარულმა პილოტმა (ერთადერთმა, ვინც სუთი

მსოფლიო ჩემპიონატის მოგება მოახერხა) არგენტინელმა მანუელ ფანსიომ უკარნახა. როცა 1995 წელს ფანსიო გარდაიცვალა, „ლამბორჯინის“ სკოლაგამოვლილი პაგანისთვის, „ზონდის“ შექმნა ღირსების საკითხად იქცა. დღესდღეობით, ამ ავტომობილის წარმოება მხოლოდ შეკვეთით ხდება, მისი შეძენის მსურველთა რაოდენობა კი იმდენად დიდია, რომ რიგში ნახევარი წლით ადრე ეწერებიან. Zonda C 12S 330.000 ევრო ღირს, მასზე იაფი – 6 ლიტრიანი (450 ცხ.ძ-იანი) ძრავით აღჭურვილი C12 კი – 260.000 ევრო. ■

ტემპეჩამენტელი Seat Ibiza

სტრუქტურულად „ფოლკსვაგენის“ სამრეწველო ჯგუფში შემავალი ესპანური ფირმა „სეატი“ მალე ახალ მოდელის – Ibiza-ს წარმოებას დაიწყებს. „ფოლკსვაგენ პოლოს“ პლატფორმაზე შექმნილი ავტომობილის პრემიერა იტალიის ქალაქ ბოლონიამში, მიმდინარე თვეში ჩატარებულ მოტორშოუზე შედგა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, გარეგნულად მანქანა „სამხრეთევროპული“ გახდა, ამასთან, იტალიური მოდელებისთვის დამახასიათებელი მარის ტემპერამენტული მონახაზით გამოირჩევა. ამაში „სეატის“ მთავარი დიზაინერის ვალტერ დე სილვას ხელწერა გამოვლინდა, რომელმაც მანამდე „ალფა რომეოს“ არაერთი მოდელი შექმნა. „იბიზას“ დიზაინი მოკლებულია იმ პრაგმატიზმს, რომელიც დამახასიათებელია იმავე პლატფორმაზე დაპროექტებული სხვა ავტომობილებისთვის – „ფოლკსვაგენ პოლოს“ და „შკოდა ფაბიასთვის“. „პოლოსთან“ შედარებით, ახალი „იბიზა“ 5 სმ-ით გრძელია, მისი საბარგულის მოცულობა 267 ლიტრს აღწევს და ამ მარკის წინა მოდელისას 17 ლ-ით აღემატება. ძრავების პალიტრა, 1,2 ლ (3-ცილინდრიანი, 64 ცხ.ძ-იანი) და



1,4 ლ (4-ცილინდრიანი, 100 ცხ.ძ-იანი) ბენზინისა და 1,9 ლ (130 ცხ.ძ-იანი) ტურბოდირექციისას აერთიანებს. ეს უკანასკნელი, საუცხოო ტექნიკური მახასიათებლებით გამოირჩევა: მაქსიმალური სიჩქარე – 209 კმ/სთ, 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების დრო – 9,4 წმ, 100 კმ-ზე საწვავის საშუალო ხარჯი – 5 ლ. საბაზო კომპლექტაციაში შედის მუხრუჭების ანტი-ბლოკირებისა და ელექტრონული სტაბილიზაციის სისტემები, უსაფრთხოების 4 ბალიში. „სეატ იბიზას“ ოფიციალური რეალიზაცია მომავალი წლის მარტში დაიწყება. ■



მაძიკა თხელიძემ პტუჯიდრენცის მისალთცი მიიღო

ნიჭიერმა, ნორჩმა მომღერალმა პრეზიდენტის საშობაო მისალოცი ბარათი მიიღო. ბატონი ელუარდ შევარდნაძე მარიკას მიღწეულ წარმატებებს ულოცავს და წინსვლას უსურვებს. როგორც მომღერლის ოჯახის წევრებმა გვითხრეს, პრეზიდენტის მისალოცი ძალზედ სასიხარულო სიურპრიზი იყო მარიკასა და მთელი მისი ოჯახისათვის.

მომღერლის თავყანისმცემლებს ვაუწყებთ, რომ მისი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისა და გეგმების შესახებ „გზის“ მომავალ – ახალი წლის პირველ ნომერში თავად მარიკა და ღელამისი მოგვითხრობენ.

თამბიკთ ქთხთნელიძეს მუკულოთმა იგიდიკუს

როგორც შევიტყვეთ, შარშანდელისგან განსხვავებით, წელს თამბიკო ჭოხონელიძე არც ერთ საახალწლო ღონისძიებაში არ მიიღებს მონაწილეობას: მომღერალს გადაწყვეტილი აქვს, საკუთარ ოჯახში გაატაროს ახალწლის ღამე. მას სურს უკვე ტრადიციად ქცეულ ჩვევას არ უღალატოს და თავისი ოჯახის შეკვლეობა იკისროს, რადგან, მისი თქმით, ეს სასიამოვნოც არის და კარგადაც აქვს დაცდილი. მისი ხელოვნების თავყანისმცემლებს დავამშვიდებთ და ვაცნობებთ: როგორც მომღერალმა გვითხრა, მისი პროფესიული საქმიანობა გრძელდება, თუმცა – „რაჭული ტემპით“.

ფონოგრამების თაობაზე შემუშავებული სკანდალურ კანონთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება მომღერალმა ლაკონიურად ჩამოაყალიბა: „საქმე აქამდე არ უნდა მიგვეყვანა, მაგრამ მჯერა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. სიმღერა უამრავი იწერება, მაგრამ კარგი – ძალიან ცოტა. ვიმედოვნებ, მომავალი წელი თითოეული ქართველისთვის სიხარულის, ბევრი კარგი სიმღერისა და ბედნიერების მომტანი იქნება. მეც, ჩემი მხრივ, ვეცდები, იმედები არ გაუუცრუო მსმენელებს“.



მთღრლომის საშთმათ ჩუნრმა

საშობაოდ, მოდელიერმა ლიკა ჯანგულაშვილმა კლუბ „ჯოიში“ თავისი ნამუშევრების დიდი ჩვენება მოაწყო. ეს ახალგაზრდა დიზაინერის მიერ თბილისში ჩატარებული მესამე ჩვენებაა, რომელშიც 2002 წლის ზამთრის კოლექციაა წარმოდგენილი. მოდელეების სააგენტო „იმიჯ-ცენტრის“ მიერ საუცხოოდ ორგანიზებული ეს საღამო, ქართული ესტრადის ვარსკლავების – მერაბ სეფაშვილის, თემურ თათარაშვილის, კახა ცისკარიძის, დავით გომართელისა და ნინო არაზაშვილის გამოსვლებით დაიწყო. მოდელეების ჩვენების დაწყებისთანავე, დამსწრე საზოგადოებამ დიდი აღტაცება გამოხატა. ლიკას მიერ შექმნილი კოსტიუმები „იმიჯ-ცენტრის“ მოდელეებმა წარმოადგინეს, რომლებმაც პროფესიონალიზმითა და მოხდენილობით მოხიბლეს მყურებელი. საღამო გვიანობამდე გაგრძელდა და სტუმრებიც ნასიამოვნები ტოვებდნენ დაბაზს.



„სეთი“ საახალწლოდ მაქთში მიემგზაკრმა

პოპულარული ქართული მუსიკალური ჯგუფი ახალ ალბომს ამზადებს, რომელშიც თავის საუკეთესო სიმღერებს მოუყრის თავს, თუმცა არც ბოლოდროინდელი რეპერტუარის სიმღერებს დატოვებს უყურადღებოდ. „სეთის“ წევრებმა ისიც გვაუწყეს, რომ ახალ სიმღერებზეც ინტენსიურად მუშაობენ და შესაძლოა, უახლოეს მომავალში კლიპიც გადაიღონ. გოგონებმა ისიც გავვიწყლილეს, რომ ამჟამად მუშავდება კონტრაქტი, რომელსაც ისინი ბაქოში, ერთ-ერთ იქაურ კომპანიასთან გააფორმებენ. ის ახერბაიჯანში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით მზადდება. სწორედ ამ ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული „სეთის“ რამდენიმე გამოსვლა ბაქოში, სადაც ჯგუფი 28 დეკემბერს გაემგზავრება.

ლიზ ჰერლი სასამართლოში ჩივილს ატ აპიტუმს

ლიზ ჰერლი თავისი შვილისთვის ალიმენტის მისაღებად, ბავშვის მამასთან სასამართლო პროცესის წამოწყებას არ აპირებს: ქალს იმედი აქვს, რომ ცნობილი პროდიუსერი, მილიონერი სტივენ ბინგი, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე იზრუნებს პატარაზე. ცნობილმა მსახიობმა და მოდელმა განაცხადა, რომ მას ძალიან ატყინა გული მამაკაცის მიერ გამოთქმულმა ეჭვმა, რომ სწორედ ის არის ლიზის მომავალი ბავშვის მამა.

ამერიკული ტელეარხის NBC პროგრამა Today -ისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰერლიმ განაცხადა: „ბავშვის მამის ვინაობის საკითხის განხილვა უბრალოდ, სასაცილოა“.



ლიზმა განაცხადა, რომ ის ძალიან ბედნიერი იყო, როცა ერთი წლის მანძილზე სტივენ ბინგს ხვდებოდა და დასძინა, რომ იმ პერიოდში წყვილი ერთმანეთის ერთგული იყო.

მსახიობმა მონაწილე უწოდა ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს მან გადაწყვიტა, ყოფილ შეყვარებულს – ჰიუ გრანტს გაჰყვეს ცოლად. ჰერლიმ აღნიშნა, რომ ის და ჰიუ ერთმანეთს 13 წლის ერთობლივი ცხოვრების შემდეგ დაშორდნენ, მაგრამ კვლავ საუკეთესო მეგობრებად რჩებიან. ■

პრინცი ანკესზე წამთეგო

ბრიტანეთის სამეფო კარის კიდევ ერთი წარმომადგენლის სახელი კიდევ ერთი სასიყვარულო კავშირის გამო გამოჩნდა პრესის ფურცლებზე. ამჯერად ლაპარაკია არა ჩარლზზე, – რადგან საზოგადოების თვალში ის და მისი სატრფო კამილა პარკერ-ბოულზი თითქმის ცოლ-ქმრად ითვლებიან, – არამედ მის ძმაზე – პრინცი ენდრიუზე, რომელმაც ბოლო უიქ-ენდი ამერიკელ მსახიობთან და მოდელთან – ლაიზასთან ერთად გაატარა, რომელიც შესრულებულ როლებზე მეტად, თავისი ყოფილი საყვარლებით არის ცნობილი: თავის დროზე ქალი მიკ ჯაგერს, ბრიუს უილისსა და მიკ ჰოკნალს ხვდებოდა. ლაიზას ბადეში მოქცეული ოქროს თევზი ამჯერად, პრინცი ენდრიუ აღმოჩნდა.

წყვილმა სასამართლოდ გაატარა დრო Sandringham-ის სამეფო რეზიდენციაში და დაინტერესებული პუბლიკისა და პრესის წარმომადგენლებისგან დამალვა არც უცდია. ამ ფაქტმა საბოლოოდ გააქრო პრინცი ენდრიუსა და მისი მეუღლის, იორკის ჰერცოგინიას სარა ფერგიუსონის შერიგების ბოლო იმედი. ოფიციალურად, სარა და ენდრიუ ჯერ კიდევ ცოლ-ქმრად ითვლებიან, რადგან სამეფო ოჯახის განქორწინება უბრალო საქმე არ არის. თუმცა, იმის თქმაც შეუძლებელია, რომ ლაიზა პრინციის პირველი გატაცება და მანამდე ენდრიუ სამაგალითო ქცევით გამოირჩეოდა: სხვადასხვა დროს ენდრიუს მეგობარ ქალთა სიაში ირიცხებოდნენ: ყოფილი „მის ამერიკა“ – კაპრისი, სუპერმოდელი კრისტი ტარლინგტონი (ამბობენ, რომ მას ენდრიუმ ცოლობაც სთხოვა, მაგრამ კრისტიმ სხვა მამაკაცი არჩია და ენდრიუ ქორწილშიც კი არ დაპატიჟა) და ჰიტერ მანი. რა იქნება მომავალში – ძნელი სათქმელია, რადგან ლაიზა თითქმის 30 წლისაა და პრინცი მას შესანიშნავ ვარიანტად ესახება. ■



ჰენლოპა კრუსი თხთუდება!

ტომ კრუსმა გადაწყვიტა, პირადად აცნობოს ყოფილ მეუღლეს – ნიკოლ კიდმანს თავისი მომავალი ქორწინების ამბავი და ამ მიზნით, სიდნეიში გაემგზავრა.

თავად პენელოპა, ტომ კრუსის თვითმფრინავით ლოს-ანჯელესში, ფილმის – „ვანილიანი ზეცის“ პრემიერაზე დასასწრებად გაემგზავრა, კრუსი კი შობის გასატარებლად, თავის ყოფილ ოჯახში დარჩა. როგორც ჩანს, ტომისა და პენელოპას ქორწილი მართლაც მალე შედეგება. ნათქვამია, რომ კაცს არავინ იცნობს ისე კარგად, როგორც მისი პირველი მეუღლე. მართლაც – სულ ორიოდე კვირის წინ ტომ კრუსის პირველმა ცოლმა, მსახიობმა მიმი როჯერსმა მეგობრების წრეში ავტორიტეტულად განაცხადა: „მე კარგად ვიცნობ ტომს, ამიტომ შემიძლია განვაცხადო, რომ ქორწილი ძალიან მალე გაიმართება“.

თავის დროზე, მიმისთან გაქორწინებიდან სამიოდე თვეში ტომმა ნიკოლზე იქორწინა, ხოლო თავად ნიკოლისა და ტომის გაყრის პროცესი სულ რაღაც ერთი თვის წინ დასრულდა.

ბოლო ინფორმაციით, საქორწინო ცერემონია ტომის მამულში, კოლორადოს შტატის სათხილამურო კურორტ ტელურიდში გაიმართება. ტომი იმედოვნებს, რომ იქ თავს დააღწევს ახეზარ ყურნალისტებს, მაგრამ პენელოპას, მომავალი ქმრის არჩევანი მაინცდამაინც არ მოსწონს, რადგან 10 წლის წინ სწორედ იმ ადგილას გაატარეს პირველი საქორწინო ღამე ტომმა და ნიკოლმა. ■

თქვენი პატარა

როგორ უძღვება ეჭმი თამარ მამასაშვილი

როგორ მოეუწყოთ ბავშვს საახალწლო დღესასწაული

ახალი წელი ოჯახური დღესასწაულია და ყველა ასაკის ადამიანებს აერთიანებს, მაგრამ ამ დღეს უფროსებისა და ბავშვების ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს: ბავშვებს უნდათ, ითამაშონ, იცულონ, ისტუნონ, ხოლო უფროსებს კარგი ჭამა-სმა, დროს ტარება ან ტელევიზორთან ჯდომა ურჩევნიათ.

როგორ მოვიქცეთ, რომ ყველას ინტერესი გავითვალისწინოთ და ამასთან, ჩვენს პატარასაც ნამდვილი დღესასწაული მოეუწყოთ?

ახალი წლის ღამეს დაივიწყეთ დიქტატი და გახდით ლმობიერი შვილების მიმართ. უნდა შეეგუოთ იმას, რომ ბავშვს შესაძლოა დაერღვეს ჩვეული დღის რეჟიმი. თუ ზედმეტი აგზნების გამო, იგი დღისით ვერ დაიძინებს, ნურც დაამალვებთ. ეცადეთ, დაასაქმოთ იგი რაიმე იოლი სამუშაოთი.

თუ ღამით სტუმრებს ელოდებით, ეცადეთ, საქმე დროულად მოითავოთ და მათ მოსვლამდე პატარას მიუწვეთ – იქნებ დაიძინოს. თქვენ ჩავთვლინათ, ის კი წამოდგომას ლამობს? ნუ გაგიკვირდებათ, აგზნების ასეთ ზღვარზე ბავშვს შეუძლია დაუსვენებლად გაატაროს მთელი დღე. თანაც იგი 12 საათს ელოდება უფროსებთან ერთად. მას არც დღისით უძინია, ახლაც გვიან უნდა დაწვეს. რას იზამ?! – ასეთი დღე ხომ წელიწადში ერთხელ დგება.

დღესასწაულზე უმჯობესია, ბავშვი მშობრივ დარჩეს, ვიდრე ზედმეტი ჭამოს

სადღესასწაულო სუფრას ხშირად ისეთი კერძებიც ამწვენებს, რომლის მიღება

თქვენი ბავშვისათვის შესაძლოა, საზიანო გახდეს, ამიტომ ნუ მოაღუნებთ ყურადღებას – თავის დროზე ავახშმეთ პატარა მისთვის ჩვეული პროდუქტით, ხოლო საერთო სუფრიდან შესთავაზეთ ხილი, წვენი, ნამცხვრის ნაჭერი.

საჩუქარი ძალზედ მნიშვნელოვანია

საახალწლო საჩუქრის შერჩევა უფრო იოლია, ვიდრე დაბადების დღის, რადგან პატარა მას თქვენგან კი არა, თოვლის პაპისგან ელის.

თქვენ შეგიძლიათ ერთად დაწეროთ წერილი თოვლის პაპისათვის, რომელშიც ბავშვი თავის ნატვრას გაგიმხელთ. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ საჩუქრის შერჩევისას შემდეგი წესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ:

თუ საჩუქარი, რომელსაც ბავშვი ელის, ძალიან ძვირია, მაშინ შესთავაზეთ მას, სთხოვოს თოვლის პაპას სათადარიგო ვარიანტები. რამდენიმე ვარიანტის განხილვა ყოველთვის საჭიროა, რადგან, იქნებ, რაც მას სურს, ვერც კი იშოვოთ. რამდენიმე ვარიანტის დროს კი თქვენი არჩევანი დიდია, ხოლო ბავშვისთვის ის მაინც სიურპრიზი იქნება.

საჩუქარი დღესასწაულის ის პატარა ნაწილია, რომელიც მისი დამთავრების შემდეგაც რჩება ბავშვს ახალი წლის ზეიმის სამახსოვროდ. ამიტომ ნუ უყიდით ისეთ ნივთს, რომელსაც სხვა დროსაც ყიდულობთ ხოლმე: ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, სახელმძღვანელოებს... არც ტკბილეულია კარგი საჩუქარი, რადგან იგი უკვალოდ გაქრება. ასე რომ – ეძებეთ სასწაულებრივი საჩუქარი.

ბავშვი მეტ-ნაკლებად თითოეულ ჩვენგანშია, მაგრამ დღესასწაულზე მართლაც უნდა იქცეთ ბავშვებად. დაივიწყეთ ამ საღამოს თქვენი წოდება, თანამდებობა და გულთანად იმხარულეთ ბავშვებთან ერთად, მოაწყვეთ კარნავალი, ითამაშეთ სხვადასხვა თამაში, ხოლო შუალამის შემდეგ, გადით ქუჩაში ფეიერვერის მოსაწყობად. ბავშვები აღტაცებულნი

იქნებიან.

ღამის გასეირნება – საუცხოო საშუალებაა თავდავიწყებული მხარულუბიდან, ძილისკენ გადასასვლელად, მშვენიერია ყინვიანი ჰაერის ჩასუნთქვა, ჩახუთული ბინიდან გამოსვლისას, მით უმეტეს, რომ სახლში შუშუნის, საახალწლო ასაფეთქებლის, სასმლის სუნი დგას. არც უფროსებს აწყენთ „განიაგება“ გადამეტებული სმის შემდეგ.

გასეირნების შემდეგ, როგორც წესი, ბავშვები უსიტყვოდ წვებიან დასაძინებლად, ხოლო

უფროსებს შეუძლიათ, გააგრძელონ მხარულება.

უსაფრთხოების ზომები

ახალ წელს თითქმის ყველა სახლში ინთება შუშუნები, სანთლები, ფეთქება საახალწლო ასაფეთქებლები, ქუჩებში ეწყობა ფეიერვერკები... ასეთი გასართობი განსაკუთრებით, ბავშვებს ახარებს, უფროსებს კი ებადებათ კითხვა: უნდა მივცეთ თუ არა ბავშვს ხელში ჰიროტექნიკური სათამაშოები?

მიეცით, მაგრამ – არა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს. დაბალკლასელებს კი უნდა ასწავლოთ, რომ არ შეიძლება ანთებული სანთლით ოთახში სირბილი, შუშუნა არ უნდა მიიტანოს სახესთან, ტანსაცმელთან, რბილ ავეჯთან ახლოს, ცეცხლის „ფანტანი“ ხალიჩაზე კი არ უნდა დადგას, არამედ შეშის ან რკინის თასზე, ხოლო სალუტი უფროსებთან ერთად უნდა გაისროლოს და აუცილებლად დაიცვას ინსტრუქცია.

თუ ბავშვს სახიფათო საგნებთან მოქცევას ასწავლით, ამით მას მხოლოდ მაშინ კი არ დაიცავთ, როცა თქვენ გვერდით იმყოფება, არამედ ყოველთვის ეცოდინება, რომ უნდა იყოს წინდახედული და ფრთხილი, სახიფათო სათამაშოს ხმარებისას. ის ხომ სულ მალე უთქვენოდ, თავის თანატოლებთან ერთად მოაწყობს ფეიერვერკებს.



ქეიფის ღამე

ახალი წლის ღამე ქეიფის ღამეა და ამას ვერსად გავუქცევით. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ გვერდის ავლას და ამით სადღესასწაულო განწყობას უფუჭებენ საკუთარ თავსაც და გარშემოყოფებსაც. არაფერია იმაზე უსიამოვნო მხიარული სუფრისათვის, ვიდრე სტუმარი, რომელიც უარს ამბობს გამრეიელ საჭმელზე მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ღამით ჭამა მავნებელია. ამით უხერხულ მდგომარე-

ობაში ვარდება მასპინძელიც. ამიტომ, თუ ჩვეულებრივ, ჯანსაღი ცხოვრების წესის მომხრე ხართ, დაემორჩილეთ ახალი წლის კანონს. ბოლოს და ბოლოს, ჯანმრთელობისათვის ცუდი განწყობა უფრო მავნებელია, ვიდრე ერთი ღამის ღვინო.


ახლა გთავაზობთ ტრადიციული ევროპული საახალწლო კერძების რეცეპტებს, რომელიც უკვე გამოცდილია და არც თქვენს ჯანმრთელობას ავნებს.

ფინეთი

თოვლის პაპა თევზის სუნზე მოდის

ფინელები დარწმუნებულიან არიან, რომ სანტა-კლაუსი ფინეთში ცხოვრობს და მათ არაფერს ეღაპება, გარდა გრუნლანდიელებისა, რომლებსაც თოვლის პაპის საცხოვრებელ ადგილად თავიანთი სამშობლო მიაჩნიათ.

ყოველი ფინური ოჯახი დღესასწაულისთვის მზადებას ადრევე იწყებს. შობის ღამეს ფინელები რძიან ბრინჯის ფაფას ჭამენ, ქლიავის წვეს სვამენ და იწყებენ ნაძვის ხის მორთვას. შუადღისთვის ისინი სადღესასწაულო სუფრას მიუსხდებიან, რომელიც ქათმით, ინდაურით, სხვადასხვა სალათით არის დამშვენებული. საღამოს ბევრი მათგანი სასაფლაოზე, ხსოვნის სანთლების დასანთებლად მიდის, ხოლო ღამით, საჩუქრებით დატვირთულ თოვლის პაპას ელან და ამ მოლოდინისა შეძლები საჭმელებით იხალისებენ ცხოვრებას:



პიკანტური ფინური სალათი

მასალა: 150 გ ქაშაყის ფილე, ერთი დიდი ვაშლი, 2 მოხარშული კარტოფილი, საშუალო თავი ხახვი, 2 მოხარშული კვერცხი, 5 გ ძმარი, 5 გ ზეთუნის ზეთი, 50 გ ნაღები, მწვანე ხახვი (ერთი კონა), მლოგვი, შავი პილპილი, შაქარი, მარილი — გემოვნებით.

თევზის ფილე თხელ ნაჭრებად დაჭერით, აურიეთ დაჭრილი ვაშლი, ხახვი, მოხარშული კარტოფილი და წვრილად დაჭრილი, მოხარშული კვერცხის ცილა. ცალკე ჭურჭელში დაამზადეთ საკაზმი: აურიეთ ზეთუნის ზეთი, ძმარი, დაჭყლეტილი მოხარშული კვერცხის გული, მა-

რილი, შავი პილპილი, შაქარი, მლოგვი და ნაღები. მოასხით ეს მასა სალათს და მორთეთ წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვით.

იატეაუკო

მასალა: 500 გ ფქვილი, 800 გ თევზის ფილე, 300 გ სალა, 2 კვერცხი, 100 გ დაჭრილი ხახვი, 150 გ ნაღების კარაქი, 100 გ წყალი, 1/2 ჩ/კ მარილი

მოზილეთ ცომი ფქვილისგან, კვერცხისგან, წყლისგან, შერბილებული კარაქისგან და მარილისგან. შედეთ მიღებული მასა მაგივარში ნახევარი საათით. ცომის გამოღებამდე დაჭერით თევზის ფილე, სალა და ხახვი წვრილ ნაჭრებად, ხახვი ჩახრაკეთ სალაში, შემდეგ აურიეთ თევზთან, მოაყარეთ მარილი და პილპილი. ცომი გააბრტყელეთ ოთხკუთხედი ფორმის თხელ ფენად. მის ერთ ნახევარზე მოათავსეთ თევზიანი ნარევი, მეორე ზევიდან დააფარეთ და ბოლოები კარგად ამოუკარიეთ. ზევიდან წაუსვით კარაქი ან ათქვეფილი კვერცხის გული და გამოაცხვეთ ნელ ცეცხლზე ღუმელში. მზა ღვეზელს რამდენიმე წუთით გადააფარეთ ჩაის ტილო, რათა დარბილდეს.

იგალია

წვნიანი საახალწლო სუფრაზე

ამ დღეს იტალიელები სტუმრებს პიცით, მშრალი ფინიკით, კაკლის ტორტით უმასპინძლებიან, მაგრამ დიასახლისი სუფრაზე აუცილებლად მიიტანს ბარდის წვნიანს, რომელიც ჯანმრთელობის, დღეგრძელობისა და კეთილდღეობის სიმბოლოა.

ნეაპოლიტანური წვნიანი-პიურე ბარდისაგან

მასალა: 100 გ ბარდა, 50 გ მოხარშული სპაგეტი, ხახვი, სტაფილო (საშუალო ზომის), ოხრაზუმი ან ნიახური, 1 ს/კ კარაქი, 3 ს/კ ნაღები, მარილი გემოვნებით.

გაარჩიეთ ბარდა, გარეცხეთ 2-3-ჯერ ცივ წყალში. მოხარშეთ ცოტა წყალში, შემდეგ კი გადაიტანეთ საწურზე და გახ-



ეხეთ. პიურე ნახარშ წვენიში მოათავსეთ, დაუმატეთ დაჭრილი ხახვი, სტაფილო, ნიახური და მარილი. როცა ბოსტნეული მოიხარშება, დაუმატეთ დამტკვრეული სპაგეტი, კარაქი, ნაღები და მიიყვანეთ აღულებამდე.

პოლონეთი

ახალი წელი უხორცოდ

პოლონელი დიასახლისები საახალწლო სუფრისათვის 12 ტრადიციულ კერძს ამზადებენ და მათ შორის არც ერთი არ არის ხორციანი! სამაგიეროდ, აუცილებელია უჩვეულო თევზიანი კერძები, ქერის ფაფა შავი ქლიავით, სოკოს წვნიანი, ხოლო სადესერტოდ — შოკოლადის ტორტი.

თევზის ბიგოსი

მასალა: 400 გ ფარგა თევზი, 300 გ კომბოსტო, 50 გ ახალი ან დაკონსერვებული ქაშა სოკო, ხახვი (საშუალო თავი), დიდი ვაშლი, 10 გ ფქვილი, 1 ს/კ ტომატ-პასტა.

გასუფთავეთ თევზი ფხებისაგან და დაჭერით, თითოეული ნაჭერი ამოავლეთ ფქვილში და შეწვით. აკუწეთ კომბოსტო მოგრძო ნაჭრებად, ხოლო ხახვი — რგოლებად. ბოსტნეული სოკოსთან ერთად შუშეთ 10 წთ. შემდეგ ტაფაშივე დაუმატეთ მსხვილ ხახვზე გახეხილი ვაშლი, ტომატ-პასტა, მარილი და პილპილი, აურიეთ კარგად, ზევიდან დააწყვეთ შემწვარი თევზის ნაჭრები და კიდევ 15 წთით შუშეთ თავდასურული. სუფრაზე მიიტანეთ ცხელი ან ცივი.

საფრანგეთი ბედნიერების ჩიტი გაზქურაში

ფრანგები დახვეწილი სამზარეულოს კარგი მცოდნეები და თავყვანილმცემლები არიან. მათ საახალწლოდ მრავლად აქვთ სხვადასხვა პროვინციის კერძი, მაგრამ ყოველი ოჯახის სუფრაზე საპატიო ადგილი უკავია შემწვარ ფრინველს – ინდაურს, ბატს ან იხვს. ფრანგებს ძველუბურად სწამთ ბედნიერების ჩიტის არსებობისა, რომელიც ყოველ ოჯახში უნდა შეფრინდეს ახალი წლის ღამეს და ფრთებით მიიტანოს წარმატება და კეთილდღეობა. ტკბილეულიდან კი ძალიან პოპულარულია შესანიშნავი ვაშლის ღვეზელი, რომელიც გასულ საუკუნეში გამოიგონეს ღებმა ტატენებმა.



ბატი ფრანგულად

მასალა: ბატი წონით 4 კგ, 500 გ ძროხის ფარში, 1 კგ მჟავე კომბოსტო, 2 თავი ხახვი, 1 ჩ/კ შავი პილპილი (დაფქული), 3-4 კბილი ნიორი, მარილი გემოვნებით. ამოაჭერით ბატს შიგნითა ცხიმის დიდი ნაწილი, გამოშვინული ბატი გარეცხეთ ცივი წყლით, შემდეგ შეამრეთ. ზევიდან წაუსვით მარილი, პილპილი და დანაყილი ნიორი. ტაფაზე გააღებთ ბატის ცხიმი და მასში მოხრაკეთ ოთხკუთხედად დაჭრილი ხახვი შევარდისფერებამდე, აურიეთ ხორცის ფარშს და ამ მასით გამოტენეთ ბატი, რომელიც ბოლოს უნდა გაკეროთ. ღუმელი წინასწარ კარგად გააცხელეთ, ბატის შეწვას 2,5-3 საათი დასჭირდება. კერძი რომ წვნიანი გამოვიდეს, დროდადრო გადაასხით გამოღობილი ცხიმი. მომზადებამდე 1 საათით ადრე, ბატს გარშემო შემოუწვევთ მჟავე კომბოსტო, რომელიც აქვე ფრთხილად უნდა აურიოთ ცხიმში. შემწვარი ბატი სუფრაზე უნდა მიიტანოთ ჩაშუშულ კომბოსტოსთან ერთად.

ჩეხეთი

მურაბების დღე

შობის მოახლოებისას პრადის ქუჩებში იწყება გლინტვენის, რომის, პუნშის, გრეგის და მოხალული თხილის გაყიდ-

ვა. პატარა ბაზრობებზე მთელ ქალაქში იყიდება ტრადიციული საჩუქრები: მოქსოვილი ხელთათმანები, ხის სათამაშოები და ცნობილი ჩეხური ბროლი. ჩეხებს ძალიან უყვართ დაჭრილი ჩეხური ხის სათამაშოს ფორმის ნამცხვრები და მას ყველა კარგად აცხობს.

სამობაო ჩეხური ნამცხვარი

მასალა: 2,5 ჭიქა გაცრილი ფქვილი, 250 გ კარაქი, 3/4 ჭიქა შაქრის პუდრი, 3 კვერცხის ცილა, ვანილი, 1 ლიმონის წვენი და ცელრა, სქელი მურაბა ან ჯემი გემოვნებით (უმჯობესია მარწყვის ან შავი მოცხარის), ცხიმი – გაზქურის ტაფაზე წასასმელად.

აურიეთ ერთმანეთში ფქვილი, შაქრის პუდრი, ვანილი, ლიმონის წვენი, დაუმატეთ შერბილებული კარაქი და ცილა, მოზილეთ. ცომი რბილი და ელასტიკური უნდა გამოვიდეს. მოათავსეთ მიღებული მასა მაცივარში 1 საათით. შემდეგ დადეთ ფქვილმოყრილი ფიცარზე და გააბრტყელეთ 3 მმ სისქეზე. გამოჭერით სხვადასხვა ფორმის ფიგურები, გადაიტანეთ ისინი აკურატულად ცხიმწასმულ ტაფაზე და გამოაცხეთ საშუალო ცეცხლზე შეყავისფრებამდე. გაცივებული ნამცხვრის ნაჭრები შეაწებეთ ჯემით. შეგიძლიათ, მორთოთ თეთრი გლახურით ან ზევიდან მოაყაროთ გახეხილი ქოქოსი.

რა სდება ჩვენში

გოზინაყი

გოზინაყი ქართული საახალწლო სუფრის მშვენიერებაა. კარგი გოზინაყი თეთრი, მშრალი და მსხვრევადი უნდა იყოს, ზოგს იგი რბილი გამოსდის, ზოგს – მუქი. ამ რეცეპტით და თქვენი მონდომებით კი, შეძლებთ, ნუგბარი გემრიელიც იყოს და შესახდევადაც სათანადო.

მასალა: 1 კგ თეთრი ნიგოზი, 800 გ თეთრი თაფლი, ნახევარი ჩ/კ შაქარი.

მომზადების წესი: მჭრელი დანით ძალიან თხლად დაჭერით ნიგოზი, მოათავსეთ გაზქურის ტაფაზე და შედგით წინასწარ ძლიერ გახურებულ და მერე ჩამქრალ გაზქურაში. გაზქურა რომ გაცივდება, ტაფა გამოიღეთ და ნიგოზი რომ შეგრილდება, სულის შებერვით მოაშორეთ კანი, თან ნახად აურიეთ. თუ კანი მთლიანად არ მოშორდა, კვლავ შედგით გახურებულ ღუმელში და იგივე პროცედურა გაიმეორეთ.

თაფლის მოყვანა: სპეციალურ საგოზინაყე ტაფაზე მოათავსეთ თაფლი, დადგით ძალიან ნელ ცეცხლზე (ძლივს რომ ბუქუტავდეს, თორემ თაფლი სწრაფად აქაფდება და გაშავდება) და გამუდმებით ურიეთ ხის კოვზით. თაფლის მოყვანას 1,5-2 საათი სჭირდება. მოყვანის შუა პროცესში ჩაყარეთ შაქარი და კვლავ გამუდმებით ურიეთ. რომ გაიგოთ, მოყვანილია თუ არა თაფლი, ცივწყლიან ჭიქაში ჩაუშვით რამდენიმე წვეთი და მაშინვე ამოიღეთ. თუ ხრაშუნაა, თაფლი მოყვანილია. მოყვანილ თაფლში ნელ-ნელა ჩაყარეთ ნიგოზი, მოხერხებულად და ენერგიულად აურიეთ (2-3 წუთის განმავლობაში), სწრაფად გადმოიღეთ წინასწარ მომზადებულ სველ ფიცარზე, თანაბრად გააბრტყელეთ და მაშინვე დაჭერით.

ინდაურის ან ქათმის საცივი

გასუფთავებული, გარეცხილი ფრინველი მოათავსეთ ქვაბში, დაასხით წყალი, დადგით ცეცხლზე და ნახევრად მოხარშეთ. შემდეგ ამოიღეთ ქვაბიდან, ცოტა ხანს გააჩერეთ და შედგით აირღუმელში შესაწვავად. ბულიონის მოხადეთ ცხიმი და მასში მოშუშეთ ხორცისაკე მანქანაში გატარებული ხახვი. შუშვის დროს დაამატეთ ბულიონიდან მოხდილი ცხიმი და თან ურიეთ, რომ არ დაიწვას. როცა შევარდისფრდება, ჩაასხით ბულიონში. ნიგოზი ხორცსაკეპში გაატარეთ ორჯერ, ყვითელი ყვავილი კარგად დანაყეთ მარილთან ერთად. აურიეთ ნიორი ნიგოზში და ხელით სრისეთ, სანამ საკმაო რაოდენობის ზეთს არ გამოხდით. ცალკე დანაყეთ ნიგოზთან ერთად უცხო სუნელი, დარიჩინი, მიხაკი, ქინძი, წიწკა. ყველაფერი გახსენით თბილ ბულიონში, კარგად მოურიეთ, გაატარეთ საცერში და დადგით ნელ ცეცხლზე მოსახარმად.

ორი კვერცხის გული გათქვიფეთ ერთ სუფრის კოვზ ძმარში და როცა საცივი თითქმის მზად იქნება, ნელა ჩაასხით და თან სულ ურიეთ, რომ არ აგეკრათ. აღუღებამდე შიგ ჩააწვევთ ნაჭრებად დაჭრილი შემწვარი ინდაური ან ქათამი და წამოღულებითანავე გადმოდგით ცეცხლიდან (ღუღილის შემთხვევაში, ძმარი გაამაგებს), როცა მზად იქნება, საცივი ამოიღეთ ლანგარზე და სუფრაზე მიტანის წინ მოასხით ნიგოზიდან გამოხდილი ზეთი.

მასალა: ინდაური ან ქათამი, ნიგოზი – 500 გ, ხახვი – 4-5 თავი, ყვითელი ყვავილი – 2 ჩ/კ, უცხო სუნელი – 2 ჩ/კ, ხმელი ქინძი – 2 ჩ/კ, მიხაკი – 3-4 ცალი, დარიჩინი – 1/3 ჩ/კ, ნიორი – 4 კბილი, ძმარი – 1 1/კ, ნახარში წვენი – 10 ჩ/კ, მარილი, წიწკა – გემოვნებით.

როგორ შეხვდეთ ზეიმს?

თუ როგორ უნდა დაგვე-
მოთ საახალწლო დღესასწაუ-
ლი, ამაში ჩვენ მიერ შემოთ-
ავაზებული ჰოროსკოპი დაგეხ-
მარებათ, რომელშიც იანვარ-
ში თქვენი ორგანიზმის სა-
ვარაუდო მდგომარეობაა ასახ-
ული.

თხის რქა: „ყურადღების ცენ-
ტრში“. დღესასწაული თქვენ ირგე-
ლივ იტრიალებს, მაგრამ ბევრი ძალები-
სა და სახსრების დახარჯვა მოგიწი-
ვით, რათა ყველაფერმა ისე ჩაიაროს,
როგორც საჭიროდ მიგანიათ. 19-მდე
შეგიძლიათ კარგად იქეიფოთ, თუმცა,
დროდადრო შეგიძლიათ განიმუხტოთ
თხილაძურების და ცივის მეშვეობით.
9, 25, 27, 28 იანვარს დაკვირვებით
შეარჩიეთ ალკოჰოლური სასმელები.

მეჩრდილო: „ჯადოსნური სიზმ-
რები“. მნიშვნელობა არა აქვს, თქვენმა
წარმოსახვამ შექმნა იგი თუ ცისფერმა
ეკრანმა, მაგრამ ეს საუკეთესოა, რაც ახალ-
წლის ღამეს გელოდებათ. ნაკლებ სიამ-
ონებას მოგიტანთ ქეიფი და სუფრასთან
ჯდომა. თვის პირველ დღეებში შეუძლოდ
იგრძნობთ თავს. 4 იანვრიდან ბურანიდან
გამოსვლას დაიწყებთ და 19-20 იან-
ვრისთვის, საბოლოოდ გამოფხიზლდებით.

თევზები: „ცეცხლოვანი დღე-
სასწაული“. მოაწყვეთ ფიერვერკი, კარ-
ნავალი: რაც უფრო აქტიურად შეხვდები-
თ შობა-ახალწელს, მით მეტ სიამონებას
მიიღებთ. 19, 25, 27 და 28 იანვარი –
შესანიშნავი დღეებია ნათესავების მო-
სანახულებლად და ბრძნული აზრების
მოსასმენად, ხოლო თუ ოჯახურ გარე-
მოში ყოფნამ დაგაღალათ, ასტროლოგებს,
ფსიქოლოგებსა და ფსიქოანალიტიკო-
სებს გაეხსებოთ.

ვერძი: „წარმატების ფორმულა“. სა-
ახალწლო დღესასწაული წარმატებ-
ის მოახლოებისა და ფრენის შეგრძნებას
მოგიტანთ, მაგრამ ნუ შეჭამთ ზომაზე
მეტს საახალწლო სუფრაზე. განსაკუთრე-
ბით მოერიდეთ ზედმეტად ცხიმოვან და
ცხარე კერძებს, სოკოს. 4 იანვრიდან
უარს ნუ იტყვით მიწვევებზე, მეტი დრო
გაატარეთ მეგობრების წრეში, იარეთ წარ-
მოდგენებზე. ნუ შეგემინდებათ ენერჯის
დაკარგვისა, რადგან იგი მხოლოდ და
მხოლოდ მოგემატებათ. 19-დან 30-მდე
ძალების გაორმაგებას იგრძნობთ.



კურო: „გემების საყვირები“. გული
სამოგზაუროდ გაგიწევთ, მაგრამ ახალი
წლის შეხვედრა შინ სჯობს. მთელი
თვე მიუძღვნით გამაკაფებელ პროცე-
დურებს, ბევრი ისეირნეთ სუფთა ჰაერზე,
განსაკუთრებით ეფექტური იქნება საკუ-
თარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა 4-დან 10-
მდე და 23-დან 27 იანვრამდე. 28-ში კი
ფრთხილად იყავით, რადგან დიდია
ტრავმებისა და ვირუსული დაავადებე-
ის რისკი.

მარჩბივი: „ვახშამი სანთლებზე“. რაც
მეტი იღუმალება და ინტიმურობა
იქნება ახალი წლისა და შობის შეხ-
ვედრისას, მით უკეთესია. 4 იანვრიდან
მოყოლებული, მთელი თვე წარმატებუ-
ლი იქნება სამოგზაუროდ. შეგიძლიათ
დაისვენოთ სანატორიუმში, გაემგზავროთ
ეგზოტიკურ ტურნეში, მაგრამ სადაც არ
უნდა იყოთ, ყურადღება მიაქციეთ კვებას
და გაუფრთხილდით ღვიძლს. გან-
საკუთრებით 1,2,3,10,27,28 იანვარს.

პირნიზი: „ტრადიციები“. ეცა-
დეთ, მისდით ზამთრის დღესასწაულებ-
ის ძველებურ ტრადიციებს თუ 9, 27 და
30 იანვარს თავბრუს სვევას შეიგრძნობთ,
ნუ ინერვიულებთ – ეს ღრობითი მოვ-
ლენაა. 19-დან 30-მდე კარგი დროა
სამარდე სისტემის სამკურნალოდ.

ლომი: „სადღესასწაული ეტლი“. დღესასწაულზე
შეგიძლიათ კარგად იმ-
ხიარულოთ, მაგრამ უნდა დაიცვათ ხილ-

ბოსტნეულის დიეტა შობამდე მაინც,
უმჯობესია – 19 იანვრამდე. რაც უფრო
ხმაურიან კომპანიაში შეხვდებით ახალ
წელს, მით უკეთესი, მაგრამ ნუ მი-
იღებთ ზომაზე მეტ ალკოჰოლს და ნუ
გამოავლენთ თქვენს აგრესიულობას, გან-
საკუთრებით 1-3-ში. 14-ში კი თოვლ-
ში სრიალს მოერიდეთ.

ძალწული: „მასკარადი“. თეა-
ტრალური წარმოდგენები და საღამოე-
ბი თქვენთვის საუკეთესო იქნება ახა-
ლი წლის შესახვედრად, მაგრამ სასკო-
ლო და სტუდენტური არდადეგების
დროს მეტი იმობრავით, ისეირნეთ სუფ-
თა ჰაერზე, მონაწილეობა მიიღეთ
სპორტულ ღონისძიებებში. გამონაკლი-
სა მხოლოდ 14 და 28 იანვარი, როდესაც
ტრავმების, მოტენილობის, ტემპერატურ-
ის მომატების საშიშროება მეტია. 23
კარგი დღეა ახალი დიეტის დასაწყე-
ბად.

სასწორი: „პატარა სკამი ბუხ-
ართან“. ეს საუკეთესო ადგილია ახალი
წლის შესახვედრად და საჩუქრებით
დატვირთული თოვლის პაპის დასალოდე-
ბლად. გული ნუ დაგწყვდებათ, თუ ისეთ
საჩუქარს ვერ მიიღებთ, რაც გსურდათ.
საშობაო არდადეგებზე ბევრი საინტერესო
რამ გელით. 25 და 28 იანვარს კი
შესაძლოა, გადაღლა და ძილის სურ-
ვილი იგრძნობთ.

ღრიანბალი: „სადღესასწაული
სეირნობანი“. სუფთა ჰაერზე ახალი
წლის შეხვედრა, რა თქმა უნდა, კარგია,
მაგრამ სახლიდან შორს ნუ წახვალთ.
შობაზე და ნათლისღებაზე დაიცავით
აუცილებელი წეს-ჩვეულებანი. პატივი
ეცით ტრადიციულ სამზარეულოს. 25-
დან 28-მდე იგრძნობთ გადაღლას
დღესასწაულებისაგან, მოგეძალებათ ძილი
და აპათია. შველა – რეჟიმის მოწეს-
რიგებასა და ალკოჰოლის უარყოფაშია.

მზვილდოსანი: „საშობაო საჩუ-
ქრები“. ბევრ და მრავალფეროვან საჩუ-
ქარს მიიღებთ. 4-დან 14-მდე ახალი
შენაძენი გელით. თითქმის მთელი თვე
შეგიძლიათ იცეკვოთ და იმხიარულოთ,
თუმცა, 1 იანვარს ახალი წლის შეხ-
ვედრისა და ალკოჰოლის მიღების შემ-
დეგ, ნუ დაიტვირთებით ფიზიკურად –
ამან შეიძლება ზედმეტად გადატვირთოს
გული. 3 იანვარს მოერიდეთ ყინვაში
სიარულს.



ლომების მომთვინიერებელი, კრიმინალური ფოტოგრაფი, მოჩვენებებზე მონადირე, ცირკის ტაპიორი... ყმანვილი ანტონ შანდორ ტავისთვის ვინმეს რომ ეთქვა, რომ მისი პროფესიების ნუსხაში მომღვეწო სტრიქონს „სატანის ეტელისის ფუქემდეხელი“ დაემატებოდა, ის ალბათ სკეპტიკურად ჩაიცინებდა. თავდაპირველად მას ხომ მხოლოდ მასხარაობა სწადდა და მეტი არაფერი, ყველაფერი კი სულ სხვაგვარად შეგრიხადლა...

eSmakis advokati

დასაწყისი ის. „გზა“ №51

ცირკი ის ადგილი იყო, სადაც მოქმედებდა პრინციპი – ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის, სადაც ნაცრისფერი ყოველდღიურობა ზღურბლს მიღმა რჩება და თითოეული ადამიანი დღევანდელი დღით ცხოვრობს, რადგან კარგად აქვს გაცნობიერებული: ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაწყდეს სადაზღვევო ბაგირი, ან სხვა რეკვიზიტმა გიმტყუნოს, ან ლომმა გამოგიქანოს ტორი... ანტონი 17 წლის გახდა, ქვეყნიერება მისკენ რაღაც უჩვეულო, ძალზედ საინტერესო მხარით შემობრუნდა და მანაც მიატოვა მშობლიური სახლი, ჩვეულებრივი ყოფა და მოხეტიალე ცირკის – „კლაიდ ბიუთის“ დასს შეუერთდა, სადაც ცხოველების მომვლელად მოეწყო. ის ვეფხვის გალიებს წმენდდა, საკვები დაჰქონდა ლომებთან, ლოთობდა ჯამბაზებთან ერთად და გოცებულები იყო იმით, რომ ისინი საკმაოდ საინტერესო თანამოსაუბრეები იყვნენ. „მე არ მეწერა ნორმალური ცხოვრება, მერილინ, – ეუბნებოდა ქალს ლავეი. – უკეთესი სამყარო – თავისუფალი, პატიოსანი, ის, რომელიც ყველაზე მიმზიდველი იყო ჩემთვის, – იქ, 30-იან წლებში დარჩა, ე.ი. იმ დროში, რომელსაც ვერ მოვესწარი. ამიტომაც, მუდამ ჩემზე გაცილებით ასაკოვან ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა, რომლებსაც დიდი ცოდნა ჰქონდათ, გეს-

მის? – ჯამბაზებთან, მეფოკუსებთან, ჰიპნოზის ოსტატებთან, რომლებიც გაცილებით უკეთ ერკვეოდნენ ადამიანებში, ვიდრე შეგიძლია ეს წარმოიდგინო.

... აბა, თუ იცი, როგორ შეიძლება ვეფხვებთან საერთო ენის გამოხატვა, მერილინ? მათთან ბევრად მეტ დროს ვატარებდი, ვიდრე ადამიანებთან, – ვაჭმედი, ვეთამაშებოდი, მათ გალიებში მიძინებდა კიდევ იმისთვის, რომ შემჩვოდნენ. ისინი რამდენიმე წლის შემდეგაც კი მცნობდნენ, ვუყვარდი – თუმცა, ცხადია, თავისებურად... ვეფხვს ხომ ვერ ასწავლები იმას, რისი კეთებაც მას არ სურს, ასე რომ, მათი გაწვრთნა, ეს ყბადაღებულები ჰოპლა და მისთანანი – თაღლითობა და მეტი არაფერი: მტაცებლებთან ერთად შესრულებული ყველა საცირკო ნომერი მხოლოდ იმაზეა აგებული, რაც მათ მოსწონთ. მათ უყვართ რგოლში გაძრომა, ტუმბაზე ჯდომა, გესძის? არანაირი საიდუმლო აქ არ არის, ნებისმიერს შეუძლია ამის სწავლა. აი, ნამდვილი მომთვინიერებელი – ეს უკვე, ნებისმიერ შემთხვევაში, ჰიპნოზიორია. ვეფხვი კი, უბრალოდ, კატა, მერილინ, კატა, რომელსაც თამაში უნდა და მას არ ესმის, რომ ადამიანი სუსტი და ნაზია, რომ არ შეიძლება, ის თათით დაკაწრო ან იატაკზე დაანარცხო, რადგან ის ამას ვერ გაუძლებს. და როცა შენ ვეფხვი დაგახტება, იატაკზე დაგაგდებს და კისერზე კენას (ალერსიანად, მოფერების მიზნით)

დაგიპირებს, შენ მხოლოდ ერთი წამი გრჩება იმისთვის, რომ მისი ნება დათრგუნო და შოლტის ადგა მოასწრო. ერთი ან ორი წამი – ეს საუკეთესო შემთხვევაში. შენ ჩააშტერდები თვალბეჭდში, კონცენტრირებას ცდილობ – და თუ ძალა არ გეყო, ხვალ უკვე კუბოში ჩაგაწვენენ. ჩანს, მე ძალა მეოფნიდა...“

17 წლის ბიჭი დამლაგებლად მოეწყო, მაგრამ მომთვინიერებელი გახდა. ერთხელ, მორიგი წარმოდგენის შემდეგ, ძველ კალიოპას – ორგანის მაგვარ რაღაც საკრავს მიუჯდა, რომელიც მარშებისა და ალღუმების ჩასატარებლად იყო მოგონილი... საკუთარი სიამოვნებისთვის უკრავდა გამოსვლების შემდეგ, მაგრამ მალე ცარიელ არენაზე, ნელ-ნელა თავმოყრა დაიწყეს ვარჯიშისგან თავისუფალმა ცირკის მსახიობებმა, ძველი ორგანისტი – გოლიათი, საშინელი ხეპრე და ლოთი, ლანდლაგინებით უმასპინძლებოდა ახალბედა მუსიკოსს და ცდილობდა, ინსტრუმენტისთვის მოეშორებინა. ყმაწვილი იღრინებოდა, უცნაურ სიტყვებს ლულულულებდა და რამდენიმე დღეში ორგანისტი გაურკვეველი სენით დაავადდა და ლოგინად ჩავარდა, ორიოდე დღე იწვალა და დილით ველარ გაიღვიძა... ასე გახდა ანტონ შანდორ ლავეი „კლაიდ ბიუთის“ ოფიციალური ორგანისტი, ახალდასტამბულ აფიშებზე ის „სახელგანთქმულ პროფესორ ლავეი“ შერაცხეს, მისი წინამორბედის მოულოდნელი სიკვდილი კი მალე დაივიწყეს: ვინ იცის, რა მოუვიდა, თანაც, ის ხომ ძალზედ ბევრს სვამდა...

სამხრეთის შტატების პატარა ქალაქებში ცირკთან ერთად ხეტილისას „სახელგანთქმულმა პროფესორმა“ შეიტყო, რომ ვეფხვებს მინორული აკორდები უფრო უყვართ, სპილოებსა და ჰიპოპოტამებს კი – მაჟორული, შემდეგ მოხეტიალე კარნავალს გადაეყარა და მთელი წელიწადი აკომპანემენტს უწევდა მეფოკუსებისა და ჰიპნოზიორების მარტივ ტრიუკებს და ამასთან ერთად, სტრიპტიზსაც, ურომლისოდაც, ცხადია, ვერც ერთი წარმოდგენა ვერ გაიმართებოდა. „იღუმალი ჰიპნოზის“ და „ეგვიპტური გაუჩინარების“ სენსებიტის თვალყურის დევნებისას ლავეიმ ერთი მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინა: ადამიანებს ყველაზე მეტად ის სურთ, რომ მოატყუნონ, თანაც ისე, რომ ამაში ფული გადაიხადონ. ეს აღმოჩენა ალბათ, ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანი იყო მის ცხოვრებაში...

უცნაური ადგილები, უჩვეულო ადამიანები და ქალები – ლავეი, თითქოს რაღაც პარალელურ სამყაროში ცხოვრობდა: თითქოს ეს იგივე ამერიკა იყო, ოღონდ აქ არავის აღიქვამდა კარიერა, ოჯახი და პოლიტიკა, არავინ ფიქრობდა მომავალზე, სამაგიეროდ, იყვნენ მოცეკვავე ჯუჯები, ბუზების შოუ და მოლიმარი, წვეროსანი დეიდები...

ამ ალიაქოთში შეხვდა ლავეი მერილინს – მიმზიდველ, დაბნულ ქერა ქალს – და ასევე ადვილად დაკარგა იგი: მათი რომანი მხოლოდ რამდენიმე კვირა გაგრძელდა. ამის შემდეგ ანტონი გატაცებული იყო ლოს-ანჯელესელი ბიზნესმენის ქალიშვილით, მერილინმა კი, სამასოვროდ, მისი ძვირად ღირებული შარფი წაიღო და განაგრძო გზა, საქვეყნო სახელის მოსახვეჭად, სადაც მას ღამის კომპარები, დეპრესია, ტეკილა და საძილე აბები ელოდა. მრავალი წლის შემდეგ ლავეის ფოსტით მოუვიდა შიმშილი მერილინის გამოსახულებით დამშვენებული კალენდარი. მისთვის კარგად ნაცნობი სხეულის ფოტოზე ასეთი წარწერა ამოიკითხა: „მეორეა თუ გინდა, ნეტავი თუ გახსოვს ეს ყველაფერი? სიყვარულით, მერილინი“.

არა, მას ქალი არ დავიწყნია და ყველა მისი ქალი, მონროს მსგავსი იქნება...

მეორე, პარალელურ სამყაროში კი, რომელიც ანტონს სრულიად არ აინტერესებდა, დაიწყო ომი კორეასთან: ვაჟებს გასაწვევ პუნქტებში იძახებდნენ და ლავეი, საზარბაზნე ხორცს რომ არ შემატებოდა, სან-ფრანცისკოს კოლეჯის კრიმინოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა, დაამთავრა კიდევ და შემდეგ, კრიმინალურ ფოტოგრაფად მუშაობდა პოლიციაში და საუცხოო ფოტოსურათებსაც იღებდა! უცნაურ ყმაწვილზე, რომელმაც ყველაფერი იცოდა ჯადოქრებზე, მაქციებსა და მოჩვენებებზე, მალე მთელი დეპარტამენტი ალაპარაკდა (მის ხელში ყოველთვის ხედავდნენ რაღაც წიგნს ოკულტიზმის შესახებ), რამდენიმე ხნის შემდეგ კი, ლავეის უკვე რეგულარულად ავზავნიდნენ სხვადასხვა იდიოტის გამოძახების შესამოწმებლად, რომლებიც პოლიციას მათი სახლიდან მოჩვენების განდევნას ევედრებოდნენ. „ჩვენ აქ უამრავი სერიოზული საქმე გვაქვს, შენ კი გაერთობი“, – ეუბნებოდნენ კოლეგები „სერიოზული“ განყოფილებიდან. „მოჩვენებები“ კი, რომლებიც კანონმორჩილ მოქალაქეებს შიშის ზარს სცემდნენ, როგორც წესი, ან სახურავის მოგლეჯილი ნაჭრის ბრახუნნი, ან მიღში მოზუზუნე ქარი იყო, მაგრამ ეს ბრიყვული სიმართლე არავის სჭირდებოდა, რაშიც ლავეი ძალიან მალე დარწმუნდა: ადამიანებს არ სურდათ, ერწმუნათ, რომ მათი შიშის მიზეზი, უბრალო მილი ან სახურავი იყო – მათ სურდათ, რომ ვინმეს მოჩვენებისგან გაეთავისუფლებინა... ასე გადაიქცა ლავეი ეგზორცისტად: მან ხომ შესანიშნავად იცოდა უძველესი ლოცვები და შთამბეჭდავი რიტუალები, რომელიც დიდ ეფექტს ახდენდა ადამიანებზე, ოღონდ არ უნდა დავიწყნოდა და ჩვარით ამოევსო მო-

ზუზუნე მილი... მადლიერი მოქალაქეებისგან მიღებული ფულის დათვლისას ანტონი სერიოზულად ფიქრობდა იმის თაობაზე, რომ ამ სფეროში მის მიერ დაგროვილი თითქოს ფუჭი ცოდნა, მოულოდნელად, დივიდენდების მომტანი აღმოჩნდა. რადგან ასეა, იქნებ ღირდა, რაიმე მეტად სერიოზული და პომპეზური მოეფიქრებინა?

ლავეი წავიდა პოლიციიდან, შეიძინა უხეში ქვით ნაშენი ძველი სახლი, შავად შეღება იგი (საუცხოოდ პირქუში რამ გამოვიდა) და იმ „სამინელებათა ლაბირინთების“ სტილში დაიწყო მისი მოწყობა, რომელიც ცირკთან ერთად ნეტივალისას ენახა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში: წითელი ჭერი, პენტაგრამებით დამშვენებული კედლები, წიგნით ხელში გამოსახული ჩონჩხები და იდუმალი ნივთები, რომლის დანიშნულება თავად ლავეისთვისაც კი გაურკვეველი იყო. ერთ ოთახში მან ნამდვილი კუბო დაასვენა, მეორეში, კარადაზე პლასტიკისგან გაკეთებული ბუ იყო შესკუპებული, მესამეში თავის ქალები და ღემონური ქანდაკებები იყო დახვავებული და მგლის ფიტული ილრიჭებოდა. ახალი პატრონისდა სასიხარულოდ, სახლში ფარული ოთახები და საიდუმლო გასასვლელ-გამოსასვლელელებიც იყო: როგორც მეზობლები ჰყვებოდნენ, უწინ იქ ბორდე-ლი იყო, მოგვიანებით კი, აკრძალული სპირტიანი სასმელების იატაკქვეშა სავაჭრო. და აი, მალე ქალაქში გავრცელდა ხმები იდუმალი ლექციების თაობაზე, რომელსაც შავი ქვით ნაშენებ სახლში ხუთშაბათობით კითხულობს ვინმე ანტონ შანდორ ლავეი. ის მსმენელს ესაუბრება ჯადოქრებსა და ვულფებზე, ინკუბებსა და სუკუბებზე, იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოაჯადოო მამაკაცი ან გათვალ ვინმე, აგრეთვე – XIX საუკუნის საიდუმლო საზოგადოებებზე. ლექციაზე დასასწრებად ბევრი ფული არ იყო გადასახდელი – სულ 2 დოლარს ითხოვდნენ, ლავეი გატაცებით კითხულობდა იუმორგარეულ ლექციებს და მალე მის გარშემო მოგროვდა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც თავად ანტონმა „მაგიური წრე“ უწოდა. ის ბედნიერი იყო: თუ რაიმეს ეძებდა ცხოვრებაში, უპირველესად ეს საინტერესო ურთიერთობები იყო. ბოლოს და ბოლოს, მართლაც ძალზედ საინტერესო კომპანიას მოუყარა თავი – ერთ მაგიდას უსხდნენ: მსახიობი და ადვოკატი, პლას-



ჯინ მენსფილდი



1970 წელს გამოვიდა ანტონ ლავეის „სატანისტური ბიბლია“, რომელიც გასაგები ენით და მახვილგონივრულად იყო დაწერილი: საკმარისი იყო, სიტყვა „სატანა“ ამოგებულთ და წიგნი ბავშვსაც კი არ დააფრთხობდა

ტიკური ქორუგი და სექს-შოპის მეპატრონე. ამ წრეში შედიოდნენ აგრეთვე: რეჟისორი კენეტ ენგერი და დიდი უძრავობის მესაკუთრე დონალდ ვერბი, აშშ-ის პრეზიდენტის შვილიშვილი და ტატუირების პოპულარული ოსტატი, ფაბრიკის ნამუშევრების კოლექციონერი და ქალაქის საგადასახადოს მთავარი ინსპექტორი... ჭკვიან ადამიანებთან მთათბირების შემდეგ ლავეიმ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ღეჭილებით შორს ვერ წახვალ, – საჭირო იყო გაცილებით სოლიდური რამის ჩამოყალიბება – ვთქვათ, „მაგიური საზოგადოების“, „საიდუმლო კავშირის“... ან იქნებ, ეკლესია სჯობს?..

1967 წლის 1 თებერვალს შავ სახლთან საოცარი ბრბო შეიკრიბა. რეპორტიორებს, ფოტოგრაფებს, უბრალოდ ცნობისმოყვარე ადამიანებს – ყველას სურდა, დასწრებოდა „მსოფლიოში პირველ სატანისტურ ქორწილს“, რომლის ორგანიზატორი იყო ცოტა ხნით ადრე ჩამოყალიბებული სატანის ეკლესიის უზენაესი ქურუმი – ანტონ ლავეი. ქორწინდ-

ებოდნენ სოციალისტი ქალი და ცნობილი სასამართლო მსაჯულის ქალიშვილი – ჯუდიტ კეისი და პოპულარული ჟურნალისტი – ჯონ რეიმონდი. ყველას მზერა უპირველესად, ლავეისკენ იყო მიმართული: გაპარსული თავი, მეფისტოფელისებური წვერი, ყორნის ფრთის ფერის მოსასხამი, რაღაც უცნაური ჟღარუნები კისერზე... „არ გაგივათ? – მას ხომ ცოცხალი ლომი ჰყოლია შინ!..“

სატანისტური ქორწილი, პოპულარობის მოსახვეჭი პირველი აქცია იყო, რომელმაც მიზანს მიაღწია: ამ ღონისძიების ამსახველი რეპორტაჟი ყველა წამყვანმა გაზეთმა და ჟურნალმა დაბეჭდა, ამრიგად, „მაგიური წრის“ წევრი მამლარი მამაკაცების ჩანაფიქრი რეალობად იქცა.

იმ დროს ყველა, სატანის ეკლესიაზე ლაპარაკობდა, უხვად იბეჭდებოდა ლავეის ინტერვიუები. ის რომან პოლანსკის ფილმის „როზმარის შვილის“ ოფიციალური კონსულტანტი გახდა და ამ სურათში თვით ეშმაკის ეპიზოდურ როლში გამოჩნდა. 1970 წელს გამოიცა ანტონ ლავეის წიგნი „სატანისტური ბიბლია“, რომელიც ძალზე გასაგები და მახვილგონივრული ენით იყო დაწერილი: საკმარისი იყო, სიტყვა „სატანა“ ამოგებულთ, რომ ეს წიგნი ბავშვსაც კი არ დააფრთხობდა. ეს თხზულება ნიც-შეანობისა და თვითკმაცოფილების, ეგოცენტრიზმის პრაქტიკული ფილოსოფიისა და თავდაჯერებულობის ძველ, სავსებით ნაცნობ ნაზავს წარმოადგენდა, რომელსაც, ზოგი ფარულად, ზოგი კი აშკარად აღიარებდა, მათ შორის – სან-ფრანცისკოსა და ლოს-ანჯელესის ადვოკატები, ჟურნალისტები და რეჟისორები. ლავეი სავსებით ღიად ამბობდა, რომ თავადაც არ სჯეროდა სატანის და არც ემონებოდა მას, ეს მხოლოდ მოსახერხებელი სიმბოლო იყო, – მაგრამ ცოტა ხანში,

პირქუშ დამთხვევათა მზარდმა ტენდენციამ თავადაც დააფრთხო. მარტო კინოვარსკვლავ ჯეინ მენსფილდის ამბავი რად ღირდა...

1967 წლის 29 ივნისი, ღამის 2 საათი. ჯეინი საკუთარი მანქანით ნიუ-ორლეანში მიემგზავრება. საჭეს მისი მეგობარი – რონი ჰარისონი უხის, წინა სავარძელში – მსახიობის ადვოკატი სემ ბრუდი. შუადღეს ჯეინი ტელევიზიით უნდა გამოვიდეს და ახლა, თავის შვილებთან – მარიასთან, ზოლტანთან და მიკი-უმცროსთან ჩახუტებული, მშვიდად თვლემს უკანა სავარძელზე. გზა თითქმის ცარიელია, ცა – მოკრიალებული. მოულოდნელად, გზატკეცილზე საიდანდაც, ბურუსი ჩამოწვა. რონი გაკვირვებით შესცქერის გზას. ვიდრე რამეს მოისაზრებდეს, ბურუსიდან სატვირთო მანქანა გამოდის, რონი მუხრუჭს აჭერს, მაგრამ უკვე დაგვიანებულია – მანქანა კონსერვის ქილასავით იჭყლიტება და ჯეინი, რონი და სემი ადგილზევე იღუპებიან. უცნაური, მისტიკური მიზეზით, მხოლოდ ბავშვები გადაურჩნენ სიკვდილს. უბედურების ადგილას მისული პოლიციელები ნაღვლიანად აფიქსირებენ: „ავარიის შედეგად ქალის თავი მთლიანად განცალკევდა სხეულისაგან. სიკვდილის დრო – ღამის 2.25 სთ.“

ზუსტად იმავე დროს კი, სან-ფრანცისკოში, თავის სახლში ლავეი რუდუნებით აგროვებდა სტატიებს საკუთარ თავზე, ალბომში შესატანად. მან გერმანული ჟურნალიდან ამოჭრა ფოტოსურათი, რომელზეც მერილინ მონროს საფლავზე ყვავილების დადების მომენტში იყო აღბეჭდილი და უეცრად შეამჩნია, რომ ფურცლის მეორე მხარეზე ჯეინ მენსფილდის პორტრეტი იყო გამოსახული. ლავეი შეკრთა: მან პირდაპირ ჯეინის კისერთან გადაჭრა ქაღალდი...

ჯეინ მენსფილდი ალბათ ყველაზე ცნობილი ადამიანი იყო სატანის ეკლესიის წევრებს შორის. მსახიობმა ქალმა, რომელსაც ყველაზე ხშირად უწოდებდნენ ამერიკის მთავარ სექს-სიმბოლოს, რომელიდაც გადაღებისას გაიცნო ლავეი, წაიფლურტულა, რომ ბევრი რამ სმენოდა მის შესახებ და სიამონებებით ესტუმრებოდა ერთხელ მაინც. ესტუმრა კიდევ. მამაკაცებისთვის გონების არევა მისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სიამონებას წარმოადგენდა, ლავეი კი საკმაოდ წარმოსადგეი მამაკაცი იყო.

ქალის მეორე ჰობი, პრესის ალაპარაკება იყო – და აი, უკვე ყველა ჟურნალი წერდა, რომ მეინსფილდი სახეიმიდ ეკურთხა, როგორც სატანის ეკლესიის ერთ-ერთ უზენაესი ქურუმი და ლავეის სახლში შეჭრილმა პოლიციელებმა (რომლებიც მისი მეზობლების გამოძახებით რეგულარულად მიდიოდნენ მასთან), ვარსკვლავი სრულიად შიშველი იხილეს, თანაც ის ტყავის ღვედებით ყოფილა როიალზე მიბმული. ლავეი ერთობოდა, თავს იქცევდა ჯეინიც და მხოლოდ მეინსფილდის ადვოკატსა და საყვარელს – სემ ბრუდის არ ჰქონდა საქმე სასაცილოდ. ამ უკანასკნელმა მთელი თავისი იურიდიული არსებით შეიძულა შარლატანი და ერთი-ორჯერ ისტერიკაც გაუმართა მას, ერთხელ კი ნამდვილი დებოშიც კი მოაწყო შავ სახლში: მაშინ განრისხებულმა ლავეიმ ადვოკატის დაშინება განიზრახა და საკმაოდ ნატურალურად ჩაატარა უძველესი შელოცვის რიტუალი, რომლის შედეგადაც უწინასწარმეტყველა, რომ სემი ერთ წელიწადზე მეტს არ იცოცხლებდა. „წელიწადი! – გადაიხარხარა ბრუდიმ. – რას ბრძანებთ? მე თქვენს საფლავზე უნდა დავაფურთხო!“ მის წადილს აღსრულება არ ეწერა...

ვერც ჯეინი მივა მის საფლავზე. ვერც ზოპარკის დირექტორი, რომლის დაფინებული მოთხოვნითა და ლავეის სურვილის საწინააღმდეგოდ, ანტონის საყვარელი ლომი, ტოგარე სამხეცეში გადაიყვანეს, – მეზობლები ჩიოდნენ, რომ მისი ღრიალის ატანა აღარ შეეძლოთ. დირექტორი აფრიკული ჯიშის მაიმუნებმა დაგლიჯეს... რაში დასჭირდა შუალამეზე მათ გალიაში შესვლა, არავინ უწყობდა. ამას გარდა, სხვა დამთხვევებიც მომხდარა: ანტონის მტრები სნეულდებოდნენ, საშიშროების თავიდან ასაცილებლად სხვა ქალაქში გადადიოდნენ, აივნებიდან ცვიოდნენ და საკუთარ აუზებში იხრჩობოდნენ. ხუმრობით დაწყებული „კანტორა“ თანდათან მეტიმეტად საშიში გახდა.

ყველაფერთან ერთად, სატანის ეკლესიამ დიდ პოპულარობას მიაღწია სხვადასხვა ჯურის ნაყარნუყარ არსებებს შორის: ლამის ეტმასნებოდნენ როკერები, „ჯოჯოხეთის ანგელოზები“, შავ პერანგებში გამოწყობილი ვილაც თავგადაპარსული ბიჭები... MTV-ისა და „მძიმე მეტალის“ მიმდინარეობის გაჩენის დროიდან კი მას საერთოდ დაეკარგა

მოსვენება: ყველა უზრდელი თინეიჯერი უაზროდ დიგმიგებდა, თხასავით დახტოდა და უსაძაგლესი მუსიკის თანხლებით ღრიალებდა სატანის შესახებ. მის სახელს ტელეშოუებში ატრიალებდნენ, კატის რიტუალურ მოკვლას უკავშირებდნენ, რომელსაც გონებაჩლუნგი ღლაპები სწადიოდნენ და თანდათან, ლავეი მთელი ამერიკის საფრთხობელად იქცა...

არადა, რა შუაში იყო ის – კაცი, რომელიც მუდამ აფასებდა ძველებურ მუსიკას, მივიწყებულ სენტიმენტალურ სიმღერებს? ლავეიმ საკუთარი ეკლესია იმისთვის გამოიგონა, რომ საინტერესო ადამიანებთან ჰქონოდა ურთიერთობა, ის კი ნამდვილ ბალაგანად აქციეს, – და მან შეიძულა ადამიანები, დახურა თავისი „დუქანი“, თავისი უკანასკნელი თაყვანისმცემლები კი საბოლოოდ დააშინა შმაგი პროექტებით: ყველას სთავაზობდა, ხელი მოეკიდათ ანდროიდების წარმოებისთვის, დაბურულ „ტრაპეზოიდის კანონებს“ ადგენდა, მთელ ქალაქში დაძრწოდა, რათა უსწორმასწოროკუთხეებიანი სახლები მოეძებნა (ისინი სრულიად განსხვავებული აურით გამოირჩევა) და კომპაქტდისკიც კი გამოუშვა, რომელზეც ორგანზე დაკვირისა და მისი სასიამოვნო ბარიტონით შესრულებული სიმღერის ჩანაწერი იყო აღბეჭდილი. 1997 წლის 29 ოქტომბერს ლავეი ჩუმად აღესრულა, მისი ამაღლის შემორჩენილმა წევრებმა

კი, ჩუმად, 31 ოქტომბრად გადააკეთეს მისი სიკვდილის თარიღი, იმისთვის, რათა ის, ჰელოუინის – შავი ჰაპის აღსასრულის დღე, დღესასწაულს დამთხვეოდა.

P.S. ანტონ შანდორ ლავეის ოფიციალური ბიოგრაფიის ფაქტების უარყოფის ან დადასტურების ყველა მცდელობა, რომელსაც არაერთგზის შეეცადნენ ჟურნალისტები, ამაღლონდა. არც სან-ფრანცისკოს პოლიციის, არც მეიენის თეატრისა და ცირკ „კლაიდ ბიუთის“ არქივებში არ აღმოჩნდა (ან არ შემოუნახავთ) მონაცემები ფოტოგრაფ ანტონ ლავეიზე. „სან-ფრანცისკოს ბალეტის“ ორკესტრი საერთოდ არარსებულა ბუნებაში. რაც შეეხება შიშველი მერილინის გამოსახულებიან კალენდარზე გაკეთებული წარწერის ნამდვილობას – მასზე რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება არსებობს: რომელია სიმართლე და რომელია მონაგონი, შეხვედრია თუ არა საერთოდ ლავეი მერილინ მონროს, უხეტიალია თუ არა მომთაბარე ცირკის მსახიობებთან ერთად – ამ ყველაფერს უკვე ალბათ ვერავინ დაადგენს. საბოლოოდ, დარჩა მხოლოდ ეგზოტიკური გარეგნობის ყმაწვილის უცნაური ამბავი, რომელსაც ახალ ნაცნობთა გამოძებნა ეწადა, ცხოვრება კი ეშმაკის ადვოკატად, შავმოსასხამიან საფრთხობელად დაასრულა.

ლავეის ქალიშვილი კარლა, თავისი სახელგანთქმული მამის ცვილის ფიგურის ფონზე. 1997 წ.



ხართ თუ არა ქედგაღალი?

ეს საკითხი ალბათ ბევრისთვის იქნება საინტერესო, რადგან ყველას შეხვედრია ისეთი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი თავი სხვებზე ჭკვიანი, ლამაზი და გამორჩეული ჰგონიათ. იმაზე, რომ ეს გარშემომყოფთათვის საკმაოდ გამაღიზიანებელი თვისებაა, არავინ დაობს, — ისინც კი, ვინც თავად არიან დარწმუნებულნი საკუთარ უპირატესობაში... შეამოწმეთ თქვენი თავი წინამდებარე ტესტის მიხედვით და შესაბამისი დასკვნების გამოტანაც არ გაგიჭირდებათ.

1. რას მოიძიებდებო, თუ ქუჩაში მათხოვარი შეგეხება?

ა) დემონსტრაციულად ამოიღებ ცხვირსახოცს და სწრაფად გაიწმენდო ტანსაცმელს — 1;

ბ) არაფერს შეიმჩნევთ და გზას მშვილად განაგრძობთ — 2;

გ) დიდილით მიუბრუნდებით და ჰკითხავთ, ხომ არ სჭირდება თქვენი დახმარება — 3.

2. როგორ იქცევით, როცა მათხოვარი ფულს გთხოვთ?

ა) ცივად, ურეაქციოდ ჩაუვლით — 2;

ბ) ეტყვი, რომ მათხოვრობას სვობს, რაიმე საშუალო იშოვოს — 1;

გ) აუცილებლად მისცემთ ხურდა ფულს — 3.

3. როგორი იქნება თქვენი რეაქცია, თუ ერთ დილას სამსახურში თანამშრომელი გვერდით გაგინმობთ და თავისი უსიამოვნებების გაზიარებას მოინდომებს?

ა) ლაპარაკს არ დააყალიბებთ და აგრძნობინებთ, რომ მისი პრობლემები თქვენ არანაირად არ გეხებათ — 3;

ბ) გულისყურით მოუსმენთ, შეეცდებით მის პრობლემებს ჩასწვდეთ და კარგი რჩევაც მისცეთ — 2;

გ) ყველაფერს ხუმრობაში გაუტარებთ და იმით დაამშვიდებთ, რომ ყველა უსიამოვნება, ბოლოს და ბოლოს, მთავრდება — 1.

4. როგორ მოიქცევით, თუ ახალ სამსახურში მისულს არავინ მოგაქცევთ ყურადღებას, თითქოს ცარიელი ად-

გილი იყო?

ა) თანამშრომლებს ასევე მოექცევით — 3;

ბ) ვერ დააკვირდებით — იქნებ, ეს მათი სტილია და შემდეგ შეეცდებით, ნელ-ნელა შეეწყოთ კოლექტივს — 2;

გ) ძალიან გაღიზიანდებით და გაგიკვირდებათ, როგორ ვერ შეძლეს თანამშრომლებმა თქვენი ნიჭიერების დანახვა — 1.

5. როგორია თქვენს წარმოდგენაში იდეალური მეუღლე?

ა) ღამიერი და ღამთობი — 1;

ბ) დამოუკიდებელი და თქვენი სწორი — 2;

გ) ძლიერი და მბრძანებლობის მოყვარული — 3.

6. როგორ იქცევით, როცა ახლობლები რჩევისთვის მოგმართავენ?

ა) ცდილობთ, როგორმე სწრაფად მოიშორთ თავიდან — 1;

ბ) მონდომებით და გულმოდგინედ დაარიგებთ ჭკუას — 2;

გ) ეცდებით, მართლაც სასარგებლო რჩევა მისცეთ — 3.


7. რას ფიქრობთ გარშემომყოფთა შესახებ?

ა) მათ მიმართ ყოველთვის გადაჭარბებული მოთხოვნები გაქვთ — 1;

ბ) მათი უმეტესობა ნორმალური, ჩვეულებრივი ადამიანია — 2;

გ) ადამიანებს სიყვარულით ექცევით და მიგანიათ, რომ გარშემომყოფთა უმეტესობა თქვენზე უკეთესია — 3.

8. როგორი რეაქცია გაქვთ, როცა



ვინმე ცდილობს, ჭკუა დაგაროგოთ?

ა) ყურადღებით მოუსმენთ და ეცდებით, რჩევები აუცილებლად გაითვალისწინოთ — 3;

ბ) ჭკუის ღარიგება არ გჭირდებათ, ყველაფერი თავადაც კარგად იცით — 1;

გ) მშვილად მოუსმენთ და ნათქვამს მალევე დაივიწყებთ — 2.

9. უმეტესად, როგორ იქცევით ხოლმე უცნობი ადამიანების გარემოცვაში?

ა) ხართ თქვენთვის წყნარად — 3;

ბ) თუ რაიმეს გკითხავენ, უპასუხებთ, მაგრამ საკუთარი ინცივატივით საუბარში არ ჩაერთვებით — 2;

გ) ყველანაირად ეცდებით, მიიპყროთ ყურადღება — 1.

10. როგორ ტანსაცმელს შეარჩევთ, თუ კარნავალზე მიგიწვევენ?

ა) მეფის ან დედოფლის ტანსაცმელს, გვირგვინითა და კვრთხით — 1;

ბ) კლოუნის ჭრულ კოსტიუმს — 2;

გ) ჯინსს, მაისურს და ნიღაბს — 3.

დააჯავიეთ ქულები

10-16 ქულა: დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი თავის შესახებ გადამეტებული წარმოდგენა გაქვთ და ამპარტავანი ადამიანიც ბრძანდებით. თავმოყვარეობის გრძობაც ზომაზე მეტად გაქვთ განვითარებული და ამის გამო, ხშირად თქვენს ახლობლებსა და სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ტკივილს აყენებთ. შესაძლოა, ნიჭიერი და გამორჩეული მართლაც ხართ, მაგრამ ნუ ცდილობთ, გამუდმებით იმეორით ეს და თავს მოახვიოთ სხვებს თქვენი შეხედულებები. გაითვალისწინეთ, რომ ადამიანებზე ზემოდან ცქერისა და მათი დაცინვის უფლება არ გაქვთ! საკუთარ თავს ღრმად ჩაუკვირდით და მიხვდებით, რომ ბევრი რამით სხვა, ჩვეულებრივ ადამიანებს ჰგავხართ.

17-23 ქულა: ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანი ხართ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ თავი სხვებზე ჭკვიანი და მომზიბლავი გგონიათ, მაგრამ ამის საჯარო დემონსტრირებას არ ახდენთ და გარშემომყოფების გაღიზიანებასაც არ იწვევთ. თქვენში არსებული ყველა დადებითი თვისების წყალობით, მეგობრებსა და ახლობლებს ძალიან უყვარხართ და გაფასებენ კიდევ.

24-30 ქულა: თქვენარი ადამიანები დიდი იშვიათობაა: საკუთარ თავზე ბევრად ნაკლები წარმოდგენა გაქვთ, ვიდრე სინამდვილეში ბრძანდებით. რატომ ფიქრობთ, რომ გარშემომყოფთა უმეტესობა თქვენზე უკეთესია? ეცადეთ, შეიყვაროთ საკუთარი თავი და ყველას ნუ მოუხრით ქელს!


სხენის წელიწადი

აღმოსავლური თქმულებების მიხედვით, ბუდამ დედამიწიდან წასვლამდე ცხოველები მიიწვია და თითოეული მათგანის „პერსონალური“ წლით დასაჩუქრება გადაწყვიტა. ბუდას მხოლოდ 12 ცხოველი ეახლა და საჩუქრებიც სტუმრებს ცოცხალი რიგის მიხედვით გაუნაწილდათ. ძღვენი მიიღეს: ვირთხამ, ხარმა, ვეფხვმა, კურდღელმა, დრაკონმა, გველმა, ცხენმა, თხამ, მაიმუნმა, მამალმა, ძაღლმა და ღორმა.

ცხენი რიგში გველის შემდეგ – მეშვიდე აღმოჩნდა. ის, რომ გველი ცხენს ვერ მიასწრებდა, ცხადია, – უბრალოდ, ცხენს ზომაზე მეტად ახასიათებს წესიერების და სამართლიანობის გრძნობა, მაგრამ დიდსულოვნებასა და შემწყვანარებლობას ყველას მიმართ როდი იჩენს. ცხენს უყვარს მშრომელი ადამიანები და მათ წყალობის თვალთ შესცქერის, არ უყვარს უსაქმური და მატყუარა ხალხი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცხენი საქმეზე თავგადაკლულ ადამიანებზე მეტად მათ აფასებს, ვისაც შრომისა და დასვენების ჰარმონიული შერწყმა შეუძლია.

ცხენის ბუნებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუ ახალ წელს შინ, ოჯახის წევრებთან ერთად შეხვდებით, სუფრას ვეგეტარიანული სალათით, შვრიის ნამცხვრით დაამშვენებთ და სადღესასწაულო სუფრას განსაკუთრებული გემოვნებით მორთავთ.

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, ცხენის საამებლად, ჩაცმულობაში რაიმე წითელი დეტალის შეტანა რეკომენდებული, თუმ-



ცა ჩინური კალენდრის მონაცემებით, 2002 წელი წყლის სტიქიის მფარველობის ქვეშ იმყოფება და აქტუალურ ფერებად, შავი და ლურჯი ითვლება.

თუ ახალ წელს შესაბამისად მოზადებული შეხვდებით და ზოგიერთ მიღებულ წესსა და რიტუალს დაიცავთ, ბედნიერი, შემოსავლიანი და მშვიდი წელიწადი გარანტირებული გაქვთ.

– თუ ახალ წელს ახალი ტანსაცმლით ან რაიმე ახალი აქსე-

სუარით შეხვდებით – წინ ბედნიერი წელი გელით (ითვლება, რომ ეს წესი ქალების გამოგონილია).

– თურმე მომავალი წელი მხოლოდ ერთ – საახალწლო ღამეზე კი არ ყოფილა დამოკიდებული, არამედ წლის პირველ 12 დღეზე. ყოველი დღე გარკვეულ თვეზეა პასუხისმგებელი, ე.ი. თუ გსურთ, რომ აგვისტოში, დასასვენებლად გაემგზავროთ, აუცილებლად დაისვენეთ 8 იანვარს მთელი დღის განმავლობაში.

– საახალწლო სუფრის სიუხვე და სილამაზე მთელი წლის მანძილზე ოჯახის ბარაქიანობის განმსაზღვრელად ითვლება.

– არავითარ შემთხვევაში არ ისესხოთ ფული ახალი წლის წინა პერიოდში: ამ შემთხვევაში თურმე მთელი წელიწადი ვეღარ დაიძვრენთ ვალებიდან თავს.

– გაითვალისწინეთ, რომ ოჯახურ სიმყუდროვესა და სიტბოს ახალ წელს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, ამიტომ ამ პერიოდში განსაკუთრებით ერიდეთ ჩხუბსა და კამათს.

– ითვლება, რომ ახალ წელს განსაკუთრებული წარმატება და ბედნიერება მას ელის, ვისი სასმისიც სადღესასწაულო შამპანურით შევსების დროს ბოლო აღმოჩნდება.

ცხენი ამაყი და ლამაზი არსებაა, მის წელს წარმატება მოაქვს ყველა მამაცი და ავანტიურული სურვილებით შეპყრობილი ადამიანისთვის. ამას ყველა ჰოროსკოპი აღიარებს. და მაინც, რას გვამცნობენ აღმოსავლური კალენდარი და ვარსკვლავები, როგორ დავეგემოთ ცხოვრება და რას უნდა მივაქციოთ უფრო მეტი ყურადღება?! ■

აღმოსავლური ჰოროსკოპი

მითხა (1936, 1948, 1960, 1972, 1984, 1996)

ცხენის წელიწადში მხოლოდ ისეთი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებთ, რომელზეც დიდხანს გაქვთ ნაფიქრი და ნაღვაწი. ეცადეთ, სძლიოთ თავს და არ დაინტერესდეთ სხვა ადამიანების პირადი ცხოვრებით, თორემ უსიამოვნებები გარანტირებული გექნებათ. რეალურად შეხედეთ ფაქტებს, ნუ შეიქმნით ილუზიებს და გაითვალისწინეთ, რომ ეს წელიწადი თქვენთვის არცთუ ისე დიდი წარმატებების მომტანი იქნება.

ხარი (1937, 1949, 1961, 1973, 1985, 1997)

თავი დაანებეთ წუწუნს, ღმერთი წყალობას არ გაკლებთ. ეს წელი თქვენთვის შემოსავლიანი იქნება, თუ ხასიათის სიმტკიცესა და ერთუზიანობას დროულად გამოიჩინებთ. ენდეთ საკუთარ გამოცდილებას და ნურაფრის შეგეშინდებათ!

გეგხე (1938, 1950, 1962, 1974, 1986, 1998)

მიღწეულით ნუ დაკმაყოფილდებით და გამუდმებით იარეთ წინ. ამ წელიწადში ნებისმიერი თქვენი წამოწყება წარმატებით დავერგვინდება. განსაკუთრებულ იღბალს სასიყვარულო საქმეებში უნდა ელოდოთ, მაგრამ ოჯახის შექმნისას გაფრთხილდით...

გორდელი (1939, 1951, 1963, 1975, 1987, 1999)

თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი ცხენის წელიწადში მთელი სისრულით გამოვლინდება. საქმიანობაშიც წარმატებები გელით, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც უნდა ელოდოთ და საერთოდ, გაითვალისწინეთ, რომ ცხენის წელი იდეალურია თქვენთვის ოჯახის შესაქმნელად.

ღაბი (1940, 1952, 1964, 1976, 1988, 2000)

თანამდებობის პირთათვის ხელსაყრელი წელიწადია. თუმცა, გარშემომყოფთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა გმართებთ. ერიდეთ ახალი მტრების შექმნას. გამოიჩინეთ დიდსულოვნება, აკეთეთ სიკეთე და ადამიანებიც სათანადოდ დაგიფასებენ.

გვილი (1941, 1953, 1965, 1977, 1989, 2001)

ეს მეტისმეტად აქტიური წელი იქნება თქვენთვის. ყველა უსიამოვნებას, თქვენთვის დამახასიათებელი მოქნილობის წყალობით აცილებთ თავიდან. თქვენ ბრძენი და გამბედავი ადამიანი ბრძანდებით. გირჩევთ, არ აჩქარდეთ და წარმატებაც არ დააყოვნებთ, მათ შორის – პირად ცხოვრებაშიც.

გნებო (1942, 1954, 1966, 1978, 1990, 2002)

აქტიურობა თქვენი წარმატების საწინდარია. ამ წელიწადში ყველაფერი თქვენდა სასიკეთოდ წარიმართება. ერთადერთი, რაც მოგეთხოვებათ, – ნუ იქნებით ზედმეტად აგრესიული და სხვებსაც მიეცით აზრის გამოთქმის საშუალება. ცეცხლოვან ცხენებს კი განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ – ეს წელი მათთვის დრამატული შეიძლება აღმოჩნდეს.

თხა (1943, 1955, 1967, 1979, 1991, 2003)

ამ წელს თქვენი ყველა სანუკვარი ოცნების ასრულება შეგიძლიათ. განსაკუთრებულ წარმატებას მეცნიერების, დიზაინისა და ჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწე „თხები“ მიაღწევენ. მთავარია, გამოიჩინოთ მოთმინება და დაელოდოთ შედეგებს. პირად ცხოვრებაში კი, ძირეული და მოულოდნელი ცვლილებები გელით.

ბაიბუგი (1944, 1956, 1968, 1980, 1992, 2004)

რთული პრობლემების გადაჭრა მოგიწევთ, მაგრამ სიტუაციიდან თავის დირსეულად დაღწევაში, სწრაფი აზროვნების უნარი, ოპტიმიზმი და მახვილი გონება დაგეხმარებათ. შესაძლოა, სასურველი მიზნის მისაღწევად, ცოტაოდენი ეშმაკობაც კი დაგჭირდეთ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს.

ბაბალი (1945, 1957, 1969, 1981, 1993, 2005)


წლის დასაწყისში მოგეჩვენებათ, რომ გარშემომყოფებს თქვენი არ ესმით, მაგრამ ეს მცდარი აზრი იქნება. თქვენ გვერდით მუდამ დგანან ერთგული მეგობრები. სწორედ ისინი დაგეხმარებიან სიძნელეების დაძლევაში და წლის მეორე ნახევარს სრულ ჰარმონიასა და ბედნიერებაში გაატარებთ.

ქალი (1946, 1958, 1970, 1982, 1994, 2006)

უკუაგდეთ თქვენთვის ჩვეული პესიმიზმი და ახალ წელს იმედიანად შეეგებეთ. მთელი ძალები მოახმარეთ საქმიანობას, რადგან ცხენის წელიწადში წამოწყებული პროექტები შემოსავლის მომტანი იქნება თქვენთვის, დიდ და მტკიცე დასაყრდენს კი, საყვარელი ადამიანი და ოჯახი შეგიქმნით.

ღობი (1947, 1959, 1971, 1983, 1995, 2007)

ნუ მისცემთ უფლებას გარშემომყოფებს, ძველებურად ისარგებლონ თქვენი სათნოებით და უბრალოებით და მუდამ მეორე პლანზე გამოყოფონ. ცხენის წელიწადი ყველა რისიკანი წამოწყებისთვის განსაკუთრებული წარმატების მომტანია. თამამად იარეთ წინ და ნაკლებად იფიქრეთ წარსულზე. პირად ცხოვრებაში ნანატრი ჰარმონიის მიღწევა შეგიძლიათ.



ავახია საუკუნოვანი იუბილის „აღსანიშნავად“

სწორედ ასეთი კურიოზი დაემართა ერთ ბრიტანელ ქალბატონს, რომელიც 100 წლისა რომ მოიყარა, ცხოვრებაში პირველად სწორედ მაშინ გაჰკრა თავისი ავტომობილი ჭიშკარს. ლედი მორტონს, როგორც თავად ამბობს, ეს საკუთარი დაუღვერობით კი არა, უბრალოდ, იმიტომ მოუვიდა, რომ იმ დღეს მას ზურგი აქცია ფორტუნამ. თუმცა, მისი ახლობლები ვარაუდობენ, რომ მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ ქალბატონი მისთვის ახალი მანქანის საჭეს მიუჯდა: საუკუნოვანი იუბილის აღსანიშნავად, ავტომწარმოებლებმა „როლს-როისი“ უსახსოვრეს.



„ოსკარი“ ჯანმრთელობას ვნებს...

ამერიკის კინოაკადემიის პრესტიჟული ჯილდო „ოსკარი“ თავისებური წყველის მომტანი ყოფილა: ამერიკელი სოციოლოგების განცხადებით, „ოსკაროსნები“ თურმე ნომინანტებზე ნაკლებხანს ცხოვრობენ.

მკვლევარებმა ჩაატარეს გამოკითხვა იმ სცენარისტებს შორის, რომლებსაც ან მიუღიათ „ოსკარი“, ან ნომინირებულნი ყოფილან. 850 სცენარისტს შორის ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გაირკვა: ლაურეატები, დაჯილდოების შემდეგ, თურმე უფრო მალე კვდებიან, ვიდრე ნომინანტები. სოციოლოგებმა ყურადღებით შეისწავლეს სცენარისტთა ცხოვრება პრემიის მიღების შემდეგ და დაასკვნეს, რომ ოქროს ქანდაკების მფლობელები, თავიანთ უიღბლო კოლეგებთან შედარებით, 4 წლით ნაკლებს ცოცხლობენ. მეცნიერები შედეგებმა გააოცა, რადგან მანამდე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წარმატებული კარიერა ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარად არის. თუმცა „ოსკაროსანი“ სცენარისტები, როგორც წესი, წარმატებით მოღვაწეობდნენ და მათი სცენარებით ბევრი ფილმი იქმნებოდა, უმეტესობას ჯანმრთელობა აწუხებდა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ისინი, როგორც წესი, ცხოვრების ჯანსაღ წესს არ მისდევდნენ, რაც, ბუნებრივია, დიდ ზიანს აყენებდა მათ ჯანმრთელობას...

ხელოვნების დამსახურებულ ჯილდოს ელოდება

წარსულში მოცურავემ და ამჟამად მწვრთნელმა, 46 წლის თურქმა მეხმეთ გედიქმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: გერმანიაში გამართულ ფესტივალზე, უამრავი მაყურებლის თვალწინ მან 51 წუთი გაძლო ყინულის ნატეხებით სავსე აბაზანაში, სადაც 9 გრადუსი ყინვის ტემპერატურა დაფიქსირდა.



ახლა გახარებული მეხმეთი მოუთმენლად ელოდება გინესის რეკორდების წიგნში თავისი გვირის შეტანას: წინა რეკორდი, რომელიც ფრანგს ეკუთვნოდა, მხოლოდ 42 წუთსა და 7 გრადუსიან ტემპერატურას აღწევდა.



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ავთანდილ ჯორბენაძემ.

ვულოცავთ ბატონ ავთანდილს და ვუსურვებთ წარმატებებს!

წლის რაინდი

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (2002 წლის 1 იანვრის) 13 საათამდე.

ება



„ფანტაზია“

წლის რაინდი



„ფანტაზიორებს
გაითხვები“

ვის უნდა რეფორმა?!

